ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

სახალხო კომისართა საბჭოს და ეკონომიური საბჭოს
საქმეთა მმართველობის გამოცემა

1931 წ. ოქტომბრის 1. № 19 ნაწილი პირველი

შინაარსი

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება.

205. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი.

სასამართლო წყობილება და სამართლის წარმოება

205. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრ. 1924 წ. 1-ლი №-ი, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი ახალი რედაქციით და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1931 წლის ნოემბრის 1-დან მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, მასში შემავალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიებითურთ.

შენიშვნა. საკასაციო-სარევიზიო ფუნქციებს, აფხაზეთის ავტ. სსრ-ისა, აჭარისტანის ავტ. სსრ-ისა და სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის ტერიტორიაზე ანხორციელებენ შესაბამისობით აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის უმაღლესი (უზენაესი) და მთავარი სასამართლოები. ამ სასამართლოების უფლებანი უმაღლესი სასამართლო ზედამხედველობის სფეროში განისაზღვრება მათი ცალკეული დებულებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. გაუქმებულ იქნეს 1924 წ. აპრილის 11-ს დამტკიცებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი ყველა შემდგომი ცვლილებებით.

სრ. საქ. ც. ა. კ-ის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე **ლ. სუხიშვილი.**

სრ. საქ. ც. ა. კ-ის მდივანი **ს. თოდრია.**

1931 წ. მაისის 17.

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოციალისტ. საბჭოთა რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი

ნაწილი პირველი

თავი I.

ძირითადი დებულებანი.

1. სამოქალაქო სამართლის პროცესის წესები, რაც ამა კოდექსშია, სავალდებულოა საქართველოს სსრ-ის ერთიანი სასამართლოს სისტემის ყველა დაწესებულებისათვის.

2. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება მხოლოდ დაინტერესებული მხარის განცხადებით.

პროკურორს უფლება აქვს დაიწყოს საქმე და აგრეთვე ჩაერიოს საქმეში, პროცესის რა სტადიაშიაც უნდა იყოს იგი, უკეთუ, მისი აზრით, ამას მოითხოვს სახელმწიფოს ან მშრომელთა ინტერესების დაცვა.

შენიშვნა. განცხადება შრომის დავაზე, რაც აღიძვრის ინდივიდუალურ შრომითს საგლეხო მეურნეობაში დაქირავებულ მომუშავესა (მოჯამაგირე და მწყემსი) და დამქირავებელს შორის, შეუძლიან შეიტანოს არა მარტო თვით მოჯამაგირემ და მწყემსმა, არამედ აგრეთვე პროფესიონალურმა კავშირმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ.

3. მოსარჩელეს უფლება აქვს მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც საქმე არსებითად ირჩევა, შესცვალოს სარჩელის საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს თავისი სასარჩელო მოთხოვნა.

სარჩელზე უარის თქმა ან მოპასუხესთან მორიგება მოსარჩელეს ყოველთვის შეუძლიან, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს საქმე.

სასამართლო ამტკიცებს მორიგების აქტს ან იღებს მოსარჩელის უარის თქმას სარჩელზე, მთლად ან ნაწილობრივ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს, სახელმწიფოს ინტერესებს ან მშრომელთა ინტერესებს.

ის სარჩელი, რაც გადაწყვეტილია სასამართლოს ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან მოსპობილია სასამართლოს მიერ დამტკიცებული მორიგების აქტის საფუძველზე ან იმის გამო, რომ მოსარჩელემ უარი განაცხადა სარჩელზე და ეს უარი სასამართლომ მიიღო, არ შეიძლება ხელახლა აღძრულ იქნეს.

4. სასამართლო მოვალეა საქმე გადასწყვიტოს მუშათა და გლეხთა მთავრობის მომქმედ კანონთა და განკარგულებათა თანახმად, აგრეთვე ხელისუფლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის ადგილობრივი ორგანოების დადგენილებათა თანახმად, რაც გამოცემულია მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგალში.

5. უკეთუ კანონი და განკარგულება საკმაო არ არის რომელიმე საქმის გადასაწყვეტად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საბჭოთა კანონმდებლობის ზოგადი საფუძველნი და მუშათა და გლეხთა მთავრობის საერთო პოლიტიკა.

6. სასამართლო მოვალეა ყოველი ღონე იხმაროს, რათა გამოარკვიოს მოდავეთა ნამდვილი უფლებანი და ურთიერთობა; ამიტომ იგი არ უნდა დასჯერდეს წარდგენილ ახსნა-განმარტებასა და მასალას და მხარეთათვის მიცემული კითხვებით ხელი უნდა შეუწყოს იმ გარემოებათა გამორკვევას, რასაც საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა აქვს, და აგრეთვე იმას, რომ ეს გარემოებანი დადასტურებულ იქნეს დამამტკიცებელი საბუთებით; ამასთანავე, ყოველ მშრომელს, რომელიც სასამართლოს მიმართავს, მან აქტიური დახმარება უნდა გაუწიოს უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, რათა იურიდიული მოუმზადებლობა, უცოდინარობა და სხვა ამგვარი გარემოება მისდა საზიანოდ არ იქნეს გამოყენებული. ამავე დროს სასამართლომ უნდა განუმარტოს მხარეებს მათი საპროცესო უფლებანი და საჭირო ფორმალობა და თანაც გააფრთხილოს, თუ რა შედეგი მოჰყვება საპროცესო მოქმედებას ან ამ მოქმედების შეუსრულებლობას.

7. მხარე მოვალეა სინდისიერად გამოიყენოს ყოველი საპროცესო უფლება, რაც მას ეკუთვნის. სასამართლომ დაუყოვნებლივ უნდა აღკვეთოს ყოველგვარი ბოროტი ხერხი და განცხადება, რასაც მიზნად ექნება პროცესის გაჭიანურება ან გაბუნდოვანება.

8. უკეთუ სასამართლო იხილავს დავას ისეთი სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობის შესახებ, რაც აღიძრა კავშირის სხვა სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში, შეფარდებულ უნდა იქნეს იმ რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი კანონი, სადაც აღიძრა ეს უფლებრივი ურთიერთობა.

9. საზღვარგარეთ დადებული ხელშეკრულების ან აქტის განხილვის დროს სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ხელშეკრულების ან აქტის დადების ადგილას მომქმედი კანონი, უკეთუ თვით ხელშეკრულება ან აქტი თავისი შინაარსით არ ეწინააღმდეგება სსრკ-ისა, ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის კანონებს, ან უკეთუ მათი დადება შეიძლება თანახმად სსრკ-ის შეთანხმებისა იმ სახელმწიფოსთან, სადაც აღნიშნული აქტებია დადებული.

10. უკეთუ უცხო სახელმწიფოს კანონის შეფარდება საძნელო იქნება, სასამართლო მიმართავს საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს, რომელიც უშუალოდ მისცემს საჭირო ცნობას და განმარტებას, ხოლო, თუ საჭიროა, სთხოვს სსრკ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს ა/კსფსრ-ში, რათა მან მიმართოს სათანადო უცხო სახელმწიფოს მთავრობას დასკვნისათვის აღძრული საკითხის გამო.

11. საქმე წარმოებულ უნდა იქნეს ქართულ ენაზე ან სათანადო ადგილის მოსახლეობის უმეტესობის ენაზე. უკეთუ მხარემ, მოწმემ და ექსპერტმა არ იცის ის ენა, რომელზედაც საქმე სწარმოებს, სასამართლო მოვალეა მოიწვიოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარჯიმანი და მისი შემწეობით გააგებინოს დაინტერესებულ პირთ ყოველი თავისი მოქმედება.

12. უკეთუ სამოქალაქო სარჩელი იმ ზარალის შესახებ, რაც მიყენებულ იქნა დანაშაულებრივი ქმედობით, არ ყოფილა აღძრული და გადაწყვეტილი საქმის სისხლის სამართლის წესით გარჩევის დროს, შეიძლება იგი აღძრულ იქნეს ცალკე, სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების წესით.

13. მხარეს და იმ მესამე პირს, რომელსაც საქმეში მონაწილეობის ნება მიეცა, და მათ წარმომადგენელთ, აგრეთვე პროკურატურას, შეუძლიანთ გადაათვალიერონ დედანი საქმე, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს საქმე, ამოიწერონ საჭირო ცნობები და მიიღონ საქმეში ჩართული ყველა ქაღალდისა და დოკუმენტის ასლი, რისთვისაც მხარე თუ მესამე პირი სათანადო შემთხვევაში გადაიხდის დაწესებულ გამოსაღებს.

თავი II.

წარმომადგენლობა სასამართლოში.

14. მხარეს შეუძლიან სასამართლოში საქმე აწარმოოს პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით.

15. იმ პირის საქმის გამო, რომელიც გამოცხადებულია არაქმედობაუნარიან პირად ან ისეთ პირად, რომელსაც ქმედობაუნარიანობა კანონით შეზღუდული აქვს (სამოქალაქო კოდექსის 7, 8 და 9 მუხ.), სარჩელს აღძრავს მისი კანონიერი წარმომადგენელი. ამავე კანონიერი წარმომადგენლის სახით აღიძვრის სარჩელი აღნიშნული პირის წინააღმდეგ.

16. სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც გამოყოფილია დამოუკიდებელ საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო ერთეულად (სახალხო კომისარიატი, აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილება, საავადმყოფო, სკოლა, საცდელი სადგური და სხვ.), აღძრავს სარჩელს და პასუხს გასცემს სარჩელზე თავისი სახელით, თავისი ხელმძღვანელის მეშვეობით.

სახელმწიფო დაწესებულება, სახელმწიფო საწარმო, კოოპერატივი, არტელი, კომუნა, სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი, ამხანაგობა, კავშირი და სხვა შენაერთი, რომელსაც იურიდიული პირის უფლება აქვს, სარჩელს აღძრავს და პასუხს გასცემს სარჩელზე კანონში ან წესდებაში გათვალისწინებული ორგანოს მეშვეობით.

17. მხარის წარმომადგენლად შეიძლება იყოს:

ა) დამცველთა კოლეგიის წევრი;

ბ) პროფესიონალური კავშირის რწმუნებული—კავშირის წევრის საქმეზე და მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კომისიის რწმუნებული—მშრომელი ქალის საქმეზე;

გ) მე-16 მუხლში აღნიშნული დაწესებულებისა და შენაერთის ხელმძღვანელი და მუდმივი თანამშრომელი—ამ დაწესებულებისა და შენაერთის საქმეზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ნავჭურჭლის კაპიტანი—სსრკ-ის სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის 67 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366);

ე) მეურვე—მის მეურვეობაში მყოფი პირის საქმეზე;

ვ) მშობელი, მეულლე, შვილი, ღვიძლი ძმა და და;

ზ) ის, ვისაც საქმის გამრჩევი სასამართლო ამ საქმეში წარმომადგენლობის ნებას მისცემს;

თ) კოოპერატიული კავშირი—მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირის სახით—იმ კოოპერატიული ორგანიზაციის საქმეზე, რომელიც შედის ამ კავშირის მიერ გაერთიანებულ კოოპერატიულ სისტემაში;

ი) სხვა ორგანიზაცია, რომელსაც სპეციალური კანონით უფლება აქვს დაიცვას თავისი წევრების ინტერესები,—თავისი რწმუნებულის სახით.

18. მხარის წარმომადგენელს უნდა ჰქონდეს სათანადო უფლებამოსილობა, რომელსაც მხარე მისცემს ან სასამართლოში სიტყვიერად, ოქმში შეტანით, ან ცალკე რწმუნებულობით, რაც დამოწმებულ უნდა იქნეს არსებული წესისამებრ. მუშა-მოსამსახურეს შეუძლიან დაამოწმებინოს რწმუნებულობა საქმის წარმოებისათვის აგრეთვე თავის დაწესებულებას ან საწარმოს, ხოლო წითელარმიელს—თავის სამხედრო ნაწილს.

დამცველთა კოლეგიის წევრების კოლექტივის მეშვეობით მიღებულ საქმეზე დამცველთა კოლეგიის წევრისათვის საქმის წარმოების უფლებამოსილობად ითვლება კოლექტივის მიერ ამ საქმეზე გაცემული ორდერი.

19. უფლებამოსილობა წარმომადგენელს ნებას აძლევს შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება, გარდა საქმის მორიგებით გათავებისა, დავის სამედიატორო სასამართლოსათვის გადაცემისა, სარჩელის მოთხოვნის აღიარებისა, სარჩელის მოთხოვნაზე მთლად ან ნაწილობრივ ხელის აღებისა, თავის უფლებამოსილობის სხვა პირზე გადაცემისა და ქონების თუ ფულის მიღებისა. წარმომადგენლის ეს უფლებანი რწმუნებულობაში სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული. დავა სიყალბის შესახებ შეიძლება განცხადებულ იქნეს მხოლოდ სპეციალური საამისო უფლებამოსილობით ამა თუ იმ საქმის გამო.

20. მე-17 მუხლის „ბ“, „თ“ და „ი“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში წარმომადგენელი შეასრულებს ყველა საპროცესო მოქმედებას დაინტერესებული პირის სპეციალური რწმუნებულობის გარეშე.

21. მე-15 მუხლში გათვალისწინებული საქმის გამო უფლებამოსილობას გასცემს კანონიერი წარმომადგენელი, ხოლო მე-16 მუხლში გათვალისწინებული საქმის გამო—კანონით ან წესდებით გათვალისწინებული ორგანო დაწესებულებისა, საწარმოსი და შენაერთისა.

22. მხარის წარმომადგენლად არ შეიძლება იყოს:

ა) ის პირი, ვისაც 18 წელიწადი არ შესრულებია;

ბ) ის პირი, ვისაც სასამართლოს განაჩენით შეზღუდული აქვს პირადი ან საზოგადოებრივი უფლება,—იმ ხნის განმავლობაში, რა ხნითაც იგი უფლებაშეზღუდულია;

გ) ის პირი, ვისაც საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად ჩამორთმეული აქვს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება, მე-17 მუხლის „ვ“ პუნქტში გათვალისწინებული შემთხვევების გარდა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ვინც მეურვეობაში და მზრუნველობაშია მიცემული;

ე) დამცველთა კოლეგიიდან გამორიცხული პირი;

ვ) სახალხო მოსამართლე, სასამართლოს წევრი, გამომძიებელი და პროკურორი; ეს უკანასკნელი—იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საქმეში მონაწილეობას იღებს ამა კოდექსის მე-2 და 175 მუხლის წესისამებრ.

თავი III.

ქვემდებარეობა.

23. სახალხო სასამართლოს ექვემდებარება:

ა) სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა საქმე, იმ საქმეების გარდა, რაც ექვემდებარება საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს—სამოქალაქო სასამართლო კოლეგიის ხაზით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—ამ რესპუბლიკებისა და ოლქის უმაღლეს, უზენაეს და მთავარ სასამართლოებს, სახელმწიფო არბიტრაჟს, სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს და საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოში;

ბ) ყველა დავა მიწის შესახებ, რაც აღიძვრის მიწათმოწყობის გარეშე, სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს ქვემდებარე დავათა გარდა;

გ) დაქირავებული შრომის გამოყენების ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი, რაც აღიძვრის შრომის კანონთა, კოლექტიურ და შრომის ხელშეკრულებათა და შინაგანრიგების წესების შეუსრულებლობის გამო, ან გადასახდელთა ტაბულის არასისწორით შეფარდების გამო, იმ შემთხვევაში: 1) როდესაც კონფლიქტი, რომლის განხილვაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში სავალდებულოა, გადაწყვეტილ არ იქნა ამ კომისიაში; 2) როდესაც კონფლიქტის განხილვა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიაში თუ სასოფლო-საზოგადოებრივ სასამართლოში სავალდებულო არ არის და მომუშავე მიმართავს სახალხო სასამართლოს; 3) როდესაც კომფლიქტი, რომელიც სასოფლო საზოგადოებრივმა სასამართლომ უნდა განიხილოს, გადაეცა სახალხო სასამართლოს სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს დებულების მე-4 მუხლის წესისამებრ; 4) როდესაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის თუ სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს გადაწყვეტილება გაუქმებულია ზედამხედველობის წესით; 5) როდესაც შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა, მომრიგებელი კამერისა და სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებაში მომუშავისა თუ პროფესიონალური კავშირის ხელმძღვანელობით არ არის განსაზღვრული; 6) როდესაც შრომის დავა აღიძვრის კულაკურ მეურნეობაში დაქირავებულ მომუშავესა (მოჯამაგირე და მწყემსი) და დამქირავებელს შორის, რა თანხაზედაც უნდა იყოსდავა.

შენიშვნა. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს ან ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოსთან არსებული საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს ქვემდებარე საქმეს, რაც სახალხო სასამართლოს გადაეცა სასოფლო საზოგადოებრივი სასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლოს დებულების მე-4 მუხლის ან ფაბრიკასა, ქარხანასა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებასა და საწარმოსთან არსებულ საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს დებულების მე-5 მუხლის წესისამებრ, აგრეთვე იმ საქმეს, რომლის შესახებაც სასოფლო-საზოგადოებრივი სასამართლოს ან საწარმოო-საამხანაგო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმებულია ზედამხედველობის წესით, სახალხო სასამართლო განიხილავს საერთო წესისამებრ.

24. სახალხო სასამართლო თავის ქვემდებარე საქმეს, გარდა 25 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, განიხილავს სახალხო მოსამართლისა და ორი სახალხო მსაჯულის შედგენილობით.

25. სახალხო მოსამართლე ერთპიროვანად განიხილავს:

ა) სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა სარჩელს, რომლის ფასიც 100 მან. არ აღემატება, და აგრეთვე ყველა საქმეს წანახედის შესახებ, რა თანხისაც უნდა იყოს იგი, ხოლო უმეტეს 50 მანეთისა;

ბ) საჩივარს სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებლის მოქმედების შესახებ (მუხ. 317);

გ) განსაკუთრებული წესით საწარმოებელ საქმეს (ამა კოდექსის მესამე ნაწილი), გარდა უზენაესი სასამართლოს ქვემდებარე საქმისა რელიგიური რწმენის გამო სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ;

დ) სხვა საქმეს, რომლის განხილვაც დაეკისრება სახალხო მოსამართლეს კანონით განსაკუთრებულად გათვალისწინებულ შემთხვევაში.

26. საქართველოს სსრ უზენაეს სასამართლოს—სამოქალაქო სასამართლო კოლეგიის ხაზით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში—უმაღლეს, უზენაეს და მთავარ სასამართლოებს ექვემდებარება;

ა) საქმე კერძო (ფიზიკური თუ იურიდიული) პირის სარჩელის გამო, რაც აღძრულია სახალხო კომისარიატისა და მისი თანაბარი ცენტრალური დაწესებულებისა და ტფილისის საქალაქო საბჭოს წინააღმდეგ, როდესაც ეს სარჩელი მიმართულია მთელი დაწესებულებისა და არა მისი განყოფილებისა თუ ნაწილის წინააღმდეგ და დაკავშირებულია მის უშუალო ფუნქციებთან;

ბ) საქმე განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრული 5.000 მანეთზე ნაკლები დავის გამო, რომელშიაც ერთ ერთი მხარე სსრკ-ის ცენტრალური ორგანოა ან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმოს ცენტრალური ორგანო, აგრეთვე რომელშიაც მხარეები სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური ორგანოებია;

გ) საქმე განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრული 3.000 მანეთზე ნაკლები დავის გამო, რომელშიაც ერთ-ერთი მხარე რესპუბლიკის ცენტრალური ორგანოა, ტფილისის საქალაქო საბჭო და ა/კსფსრ-ისა, სხვა მოკავშირე რესპუბლიკისა ან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სხვა რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო, აგრეთვე რომელშიაც მხარეები საქართველოს სსრ შედგენილობაში შემავალი სხვადასხვა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის ორგანოებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ავტონომიური რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა შორის აღძრულ 1.000 მან. ნაკლებ დავას, რომელშიაც ერთ-ერთი მხარე ავტონომიური რესპუბლიკის ან ოლქის ცენტრალური ორგანოა და რომელზედაც ამა მუხლის „ბ" და „გ" პუნქტები არა ვრცელდება, გადასწყვეტს ამ რესპუბლიკის ან ოლქის უმაღლესი (უზენაესი) ან მთავარი სასამართლო—კუთვნილებისამებრ;

დ) საქმე სახელმწიფო საწარმოს და შერეული საააქციო საზოგადოების არაშემძლეობის შესახებ, აგრეთვე საქმე კოოპერატიული ორგანიზაციის არაშემძლეობის შესახებ, გარდა პირველადი კოოპერატიული ორგანიზაციისა, უკეთუ ეს უკანასკნელი დამოუკიდებელი წევრის სახით არ შედის ამიერკავკასიის სამომხმარებლო კოოპერაციის კავშირში;

ე) საქმე, რელიგიური რწმენის გამო, სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ.

ამის გარდა, უზენაესი (უმაღლესი, მთავარი) სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს ჩამოართვას სახალხო სასამართლოს და გადასცეს განსახილველად უზენაეს (უმაღლეს, მთავარ) სასამართლოს სახალხო სასამართლოს ქვემდებარე ყოველი საქმე.

შენიშვნა 1. ამა მუხლის „ბ" და „გ" პუნქტებში აღნიშნული დავანი არ უნდა განიხილოს უზენაესმა (უმაღლესმა, მთავარმა) სასამართლომ იმ შემთხვევაში:

ა) როდესაც საქმეში ერთ-ერთი მხარე სსრკ-ის დაწესებულებაა ან საერთო-საკავშირო მნიშვნელობის საწარმო და სსრკ-ის ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელი მოითხოვს, რომ დავა განსახილველად სსრკ-ის უზენაეს სასამართლოს გადაეცეს;

ბ) როდესაც საქმეში მხარეები სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების დაწესებულებათა ან საწარმოთა ცენტრალური ორგანოებია და ისინი ვერ შეთანხმდნენ, რომ დავა საქართველოს სსრ სასამართლომ განიხილოს.

შენიშვნა 2. ამა მუხლის „ბ" და „გ" პუნქტების წესები არა ვრცელდება საქმეზე:

ა) ერთი და იმავე უწყების სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის აღძრული დავის შესახებ, უკეთუ ორივე მოდავე მხარე საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზეა;

ბ) სახელმწიფო ბანკისა და სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველოს ოპერაციების გამო აღძრული დავის შესახებ, როდესაც სახელმწიფო ბანკი ან სახელმწიფო დაზღვევის მთავარი სამმართველო მოსარჩელეა ან მოპასუხე;

გ) ისეთი სარკინისგზო გადაზიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის შესახებ, რაც რეგულირდება რკინის გზების წესდებით, და აგრეთვე ისეთი დავის შესახებ, რაც რეგულირდება განსაკუთრებული წესებით საფოსტო გზავნილისათვის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების პასუხისმგებლობის შესახებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) განპროტესტებულ თამასუქზე დამყარებული სარჩელის შესახებ, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც სათამასუქო სარჩელის წინააღმდეგ, მომქმედი კანონის თანახმად, შეიძლება იქნეს ისეთი გარიგებიდან გამომდინარე მისაგებელი, რაც საფუძვლად დაედვა თამასუქის გაცემას ან გადაცემას;

ე) ისეთი სარჩელის შესახებ, რაც გამომდინარეობს ტიპური ხელშეკრულებიდან მუნიციპალიზებული სადგომის სარგებლობის თაობაზე და აგრეთვე კომუნალური მომსახურეობის: ტელეფონისა, ელექტრო-განათებისა, წყალსადენისა და სხვა ამისთ. სარგებლობის თაობაზე;

ვ) ისეთი დავის შესახებ, რაც აღიძვრის ყოველგვარი, როგორც საერთო-სახელმწიფოებრივი, ისე ადგილობრივი გადასახადის და ბეგარის დადების გამო, და აგრეთვე საფინანსო ორგანოებთან ბიუჯეტის აღსრულების გამო აღძრული დავის შესახებ;

ზ) ისეთი დავის შესახებ, რაც გამომდინარეობს საკრედიტო დაწესებულების ოპერაციებიდან.

ამა შენიშვნის „ა“ პუნქტში აღნიშნული საქმეები სრულიად არ ექვემდებარება სასამართლო დაწესებულებას, ხოლო სხვა საქმეებზე ვრცელდება სამოქალაქო საქმეების ქვემდებარეობის საერთო წესები.

27. სარჩელი წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის რაიონშიაც მოპასუხე მუდმივად ცხოვრობს ან მუდმივად მოსაქმეობს.

სხვა და სხვა ადგილას მცხოვრები რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი მოსარჩელის სურვილისამებრ წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის რაიონშიაც ცხოვრობს ერთ-ერთი მოპასუხე.

28. სარჩელი იმ მოპასუხის წინააღმდეგ, ვისი საცხოვრებელი ადგილიც ცნობილი არ არის ან ვისაც მუდმივი საცხოვრებელი თუ დროებით სამყოფელი ადგილი სსრკ-ის ფარგლებში არა აქვს, წარედგინება იმ ადგილის სასამართლოს, სადაც მისი ქონებაა, ან იმ ადგილისა, სადაც, ცნობისამებრ, მოპასუხე უკანასკნელად მუდმივად ცხოვრობდა ან მოსაქმეობდა სსრკ ის ფარგლებში; მოპასუხის ეს ცნობილი უკანასკნელი საცხოვრებელი ან მოსაქმეობის ადგილი, ყოველ შემთხვევაში, დანამდვილებით უნდა გამოირკვეს.

29. სარჩელი სარჩოს (ალიმენტების) შესახებ, მუშისა და მოსამსახურის სარჩელი, რაც გამომდინარეობს შრომისა და კოლექტიური ხელშეკრულებიდან' და სარჩელი სიკვდილით, დაშავებით და სხეულის სხვაგვარი დაზიანებით მიყენებული ვნების ანაზღაურების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს აგრეთვე მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

30. სარჩელი ნავჭურჭელთა შეჯახებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ შეიძლება, მოსარჩელის სურვილისამებრ, წარდგენილ იქნეს როგორც მოპასუხის საცხოვრებელ ადგილას, ისე იმ ნავჭურჭლის სამყოფელ ადგილას, რომელსაც ედება პასუხისმგებლობა შეჯახებით გამოწვეული ზარალისათვის, ან და იმ პორტის მდებარეობის ადგილას, რომელზედაც აღნიშნული ნავჭურჭელია მიწერილი.

31. სარჩელი სახელმწიფო დაწესებულებისა და იურიდიული პირის უფლების მქონე ყოველგვარი შენაერთის წინააღმდეგ აღიძვრის ცენტრალური ორგანოს სამყოფელი ადგილის მიხედვით, ან ადგილობრივი ორგანოს სამყოფელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილის მიხედვით, უკეთუ სარჩელი გამომდინარეობს ამ ადგილობრივ ... ნოსთან დადებული გარიგებიდან.

სარჩელი რკინის გზისა და სამდინარეო ტრანსპორტის სრულიად საკავშირო შენაერთის წინააღმდეგ აღიძვრის სსრკ-ის რკინის გზების წესდებისა და შიდა-წყლის ტრანსპორტის წესდების სათანადო წესის თანახმად.

32. სარჩელი, აღძრული ისეთი ხელშეკრულების ნიადაგზე, რომელშიაც აღნიშნულია შესრულების ადგილი, ან რომლის შესრულებაც, მისი თვისების გამო, შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრულ ადგილას, შეიძლება წარედგინოს ამ ადგილის სასამართლოს.

უკეთუ არ იქნება არც ერთი ის პირობა, რაც ამა მუხლშია გათვალისწინებული, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნეს იმ ადგილას, რასაც ამ ხელშეკრულების შესასრულებლად განსაზღვრავს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 113 მუხ. „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტი.

33. სარჩელი, რომელიც შეეხება შენობისა, მიწის ნაკვეთისა და საწარმოს უფლებას, ქონების აღწერისა და გაყიდვისაგან განთავისუფლებას, აგრეთვე სარჩელი, მიმართული მესაკუთრის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე, და სარჩელი ქონებისათვის წანახედით მიყენებული ზარალის შესახებ წარედგინება იმ ადგილის სასამართლოს, სადაც ეს ქონებაა ან მისი ძირითადი ნაწილი.

34. სასამართლოს არჩევა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე რამდენსამე სასამართლოს ექვემდებარება, დამოკიდებულია მოსარჩელეზე.

35. უკეთუ სახალხო მოსამართლე ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე სცნობს, რომ სასარჩელო განცხადება შეტანილია არაქვემდებარეობისამებრ, იგი განცხადებას დანართებით და რეზოლუციით დააბრუნებს სათანადო სასამართლოსათვის წარსადგენად. სასარჩელო განცხადების მიუღებლობა, მისი არაქვემდებარეობის გამო, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს კერძო საჩივრის შეტანით უზენაეს სასამართლოში (მუხ. 284).

უკეთუ საქმის განხილვის დროს გამოირკვა, რომ იგი უწყებულ სასამართლოს არ ექვემდებარება, საქმის წარმართვის საკითხი უნდა გადაწყდეს ამა კოდექსის 108 მუხლის წესისამებრ.

36. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქმის განსაკუთრებული ვითარების გამო, მხარის თხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, შეუძლიან დაადგინოს, რომ საქმე გასარჩევად ერთი სახალხო სასამართლოდან სხვა სახალხო სასამართლოში იქნეს გადატანილი.

37. სასამართლოთა შორის ცილება ქვემდებარეობის შესახებ არ შეიძლება.

თ ა ვ ი IV.

სასამართლო ხარჯი.

38. სასამართლოში საქმისათვის გასაწევი ხარჯი არის:

ა) ერთიანი სახელმწიფო ბაჟი;

ბ) საქმის საწარმოებელი ხარჯი.

39. ერთიანი სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება სსრკ-ის კანონმდებლობით ერთიანი სახელმწიფო ბაჟისათვის დადგენილი წესების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

40. სარჩელის ფასი ერთიანი სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებისათვის განისაზღვრება:

ა) იმ სარჩელისა, რაც ფულის გადახდევინებას და ქონებას ეხება,—სასარჩელო თანხით ან სასარჩელო ქონების ღირებულებით, რასაც მოსარჩელე თავდაპირველად განსაზღვრავს;

ბ) იმ სარჩელისა, რაც შესდგება რამდენიმე დამოუკიდებელი მოთხოვნისაგან,—ყველა შესაფასებელი მოთხოვნის საერთო თანხით;

გ) იმ სარჩელისა, რაც ვადიან გასაცემსა და გადასახდელს ეხება,—გასაცემი ან გადასახდელი თანხით—ერთობლივ; ხოლო იმ სარჩელისა, რაც უვადო ან სიკვდილამდე გასაცემსა და გადასახდელს ეხება,—სამი წლის გასაცემი და გადასახდელი თანხით—ერთობლივ;

დ) იმ სარჩელისა, რაც ეხება ხელმოკლე და შრომისუუნარო მშობლისა, შვილისა და მეუღლისათვის სარჩოს მიცემას,—სასარჩელო გადასახდელი თანხით—ერთობლივ, ხოლო ერთ წელზე არა მეტი ხნისათვის;

ე) იმ სარჩელისა, რაც ეხება იჯარის ხელშეკრულების მოსპობას ან განგრძობას,—საიჯარო ქირის თანხით ხელშეკრულების მოქმედების ვადამდე დარჩენილი დროისათვის.

ვ) იმ სარჩელისა, რაც ქონების გაყოფას ეხება,—სასარჩელო წილის ღირებულებით;

ზ) იმ სარჩელისა, რაც ხელშეკრულების მოსპობას ეხება,—ხელშეკრულებით შეუსრულებელის ღირებულებით.

შენიშვნა. „გ“ და „დ“ პუნქტებში ჩამოთვლილ ვადიან გადასახდელთა მოსპობის შესახები სარჩელის ფასი განისაზღვრება იმ თანხით, რაც გადაუხდელი დარჩა, ხოლო ამ პუნქტებით დადგენილ ფარგლებში.

41. სარჩელის ფასს აღნიშნავს მოსარჩელე. უკეთუ აღნიშნული ფასი აშკარად არ შეესაბამება სასარჩლოს ნამდვილ ღირებულებას, სარჩელის ფასს განსაზღვრავს სასამართლო.

42. იმ სარჩელის ფასს, რომლის შეფასებაც სარჩელის აღძვრისთანავე საძნელოა, განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დროს.

შენიშვნა. ასეთ შემთხვევაში სარჩელის შეტანის დროს გადასახდევინებელი ერთიანი სახელმწიფო ბაჟის რაოდენობა და განსაკუთრებული წესით საწარმოებელ საქმეზე გადასახდევინებელი ერთიანი სახელმწიფო ბაჟის რაოდენობა განისაზღვრება ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

43. სასამართლოში დაბარებულ მოწმეს შეენარჩუნება უფლება მიიღოს სამუშაო ხელფასი იქ, სადაც მსახურობს ან მუშაობს. იმ მოწმემ, რომელსაც სურს მიიღოს გასამრჯელო მუშაობის გაცდენისათვის, უნდა განუცხადოს ეს სასამართლოს დაკითხვის შემდეგ. გასამრჯელოს რაოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, ხოლო იგი ადგილობრივ არსებულ საშუალო სამუშაო ხელფასს არ უნდა აღემატებოდეს. უკეთუ მოწმე სასამართლოს რაიონის გარეშე ცხოვრობს, მას უნდა აენაზღაუროს საგზაო ხარჯიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ, 47 მუხლის თანახმად, სასამართლო ხარჯი კერძო პირს უნდა გადახდეს, იმ სახელმწიფო დაწესებულებას და საწარმოს და საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციას, რომელმაც სასამართლოში მოწმედ დაბარებულ მუშას თუ მოსამსახურეს სამუშაო ხელფასი გადაუხადა ამა მუხლის თანახმად, უფლება აქვს ერთი თვის ვადაზე განუცხადოს სასამართლოს მის მიერ გადახდილი თანხები, რათა ეს თანხები მას აენაზღაუროს სასამართლო ხარჯებში შეტანით. უკეთუ ასეთი განცხადება შეტანილ იქნა საქმის გადაწყვეტის შემდეგ, სასამართლო გამოიტანს დამატებითს დადგენილებას.

44. ექსპერტის გასამრჯელოს სასამართლო განსაზღვრავს მისი დაბარებისთანავე.

45. იმ თანხას, რაც საჭიროა მხარეებისა, მოწმეებისა და ექსპერტების დასაბარებლად, უწყებების გასაგზავნად, ექსპერტებისათვის გასამრჯელოს მისაცემად, ექსპერტების და სასამართლოს სამგზავროდ ადგილის დათვალიერებისათვის, წინდაწინვე შეიტანს ის მხარე, რომელმაც მათი დაბარება და ადგილის დათვალიერება ითხოვა. უკეთუ დაბარება ან დათვალიერება სასამართლოს ინიციატივით მოხდება, ფულს წინდაწინვე ორივე მხარე თანასწორად შეიტანს.

ამ წესის გამონაკლისად სასამართლოს შეუძლიან, მხარეთა სოციალური და მატერიალური მდგომარეობის მიხედვით, ექსპერტიზისათვის საჭირო ხარჯის გადახდა დააკისროს როგორც ორივე მხარეს, ისე ერთ-ერთ მხარეს, იმისდამიუხედავად, თუ ვისი ინიციატივით ინიშნება ექსპერტიზა, და, უკეთუ ეს მხარე თავს აარიდებს სათანადო თანხის შეტანას, გადაახდევინოს იგი მას იძულებითი წესით. ყოველ შემთხვევაში, ამა მუხლის წესისამებრ გასაწევი ხარჯის გადახდა არ შეიძლება დაეკისროს ისეთ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომელიც განთავისუფლებულია ერთიანი სახელმწიფო ბაჟის შეტანისაგან.

46. ერთიანი სახელმწიფო ბაჟი, აგრეთვე ყველა სხვა ხარჯი, რასაც სარჩელის აღმძვრელი მხარე საქმისათვის გაიღებს, ან რისგანაც ეს მხარე განთავისუფლებულია, გადახდება მოპასუხე მხარეს, უკეთუ იგი განთავისუფლებული არ არის ასეთი ხარჯებისაგან, პროპორციონალურად სარჩელის იმ მოთხოვნისა, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნება დაკმაყოფილებული. მოპასუხესაც აქვს უფლება აინაზღაუროს თავისი ხარჯი სარჩელის იმ ნაწილის პროპორციონალურად, რომელზედაც სასამართლომ უარი უთხრა მოსარჩელეს.

საქმის საწარმოებელ ხარჯებში შეიძლება შეტანილ იქნეს, ამა კოდექსის 43 მუხ. წესისამებრ, მოწმეებისათვის გადახდილი სამუშაო ხელფასი და აგრეთვე მხარის გასამრჯელო იმ სამუშაო დროისათვის, რაც მან ფაქტიურად დაკარგა საქმეში მონაწილეობის გამო,—მისი საშუალო საშოვარის შესაბამისად.

საქმეში გაწეული ზემოაღნიშნული ხარჯების გარდა, საქმის მომგებ მხარეს უფლება აქვს აინაზღაუროს თავისი წარმომადგენლის გასამრჯელოდ გაწეული ხარჯი, უკეთუ წარმომადგენელი საქმეში მონაწილეობას იღებდა; ეს საზღაური გადახდილ უნდა იქნეს სარჩელის იმ ნაწილის 5%-ის რაოდენობით, რაც მის სასარგებლოდ გადაწყდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

47. როდესაც მხარე ისეთი დაწესებულება ან პირია, რომელიც განთავისუფლებულია სასამართლო ხარჯებისაგან, ხოლო მეორე მხარე ისეთი დაწესებულება ან პირია, რომელიც ამ ხარჯებისაგან განთავისუფლებული არ არის, და, როდესაც, ამასთანავე, საქმე ხარჯებისაგან განთავისუფლებული მხარის სასარგებლოდ გადაწყდა მთლად ან ნაწილობრივ, ხარჯებისაგან გაუნთავისუფლებელი მხარე მოვალეა შეიტანოს სახელმწიფო შემოსავლად 46 მუხლში განსაზღვრული რაოდენობით, ის ხარჯიც, რაც ხარჯებისაგან განთავისუფლებულ მხარეს არ გადახდა.

48. სამოქალაქო საქმის საწარმოებლად ხაზინის სახსრიდან გაწეული ხარჯი, კერძოდ—მოწმეთა და ექსპერტთა დასაბარებელი და ექსპერტიზის სასყიდლის გასასტუმრებელი ხარჯი, უკეთუ თანხა ერთ მანეთს აღემატება, უნდა გადახდეს სახელმწიფოს შემოსავლად თვითეულ მხარეს, რომელიც სასამართლო ხარჯებისაგან განთავისუფლებული არ არის, სარჩელის იმ ნაწილის პროპორციონალურად, რა ნაწილშიაც საქმე მის წინააღმდეგ გადაწყდა. ის გაწეული ხარჯი, რაც ერთ მანეთს არ აღემატება, მიიღება ხაზინის ხარჯზე.

49. უკეთუ სასამართლო სწორედ არ განსაზღვრავს სარჩელის ფასსა და სწორედ არ გამოიანგარიშებს ერთიან სახელმწიფო ბაჟს, შეიძლება შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი (მუხ. 284).

თავი V.

ჯარიმა.

50. უკეთუ სასამართლოში დაბარებული მოწმე არ გამოცხადდება ისეთი მიზეზით, რასაც სასამართლო არაპატივსადებ მიზეზად სცნობს, იგი პირველად დაჯარიმებულ იქნება 3 მანეთიდან 10 მანეთამდე, მისი ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, ხოლო მეორედ იძულებით იქნება მოყვანილი და ერთი-ორად დაჯარიმებული.

51. უკეთუ მოწმე უარს იტყვის ჩვენების მიცემაზე ისეთი მიზეზით, რასაც სასამართლო არაპატივსადებ მიზეზად სცნობს, იგი დაჯარიმებულ იქნება 10 მანეთიდან 50 მანეთამდე.

52. უკეთუ მცოდნე პირი არ გამოცხადდება ან უარს იტყვის დასკვნის მიცემაზე ისეთი მიზეზით, რასაც სასამათლო არაპატივსადებ მიზეზად სცნობს, იგი დაჯარიმებულ იქნება 3 მანეთიდან 10 მანეთამდე.

53. უკეთუ მესამე პირი, რომელიც საქმეში მონაწილეობას არ იღებს, უარს იტყვის, მიუხედავად სასამართლოს მოთხოვნისა, ისეთი დოკუმენტის წარდგენაზე, რაც მის ხელთაა, იგი დაჯარიმებულ იქნება 10 მანეთიდან 50 მანეთამდე.

54. დაჯარიმებულ პირს შეუძლიან შეიტანოს იმავე სასამართლოში თხოვნა ჯარიმის მოხსნის შესახებ; ამ თხოვნის თაობაზე სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება არ განისაჩივრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VI.

საპროცესო ვადა.

55. პროცესის დროს საჭირო ვადას, უკეთუ იგი კანონით არ არის დადგენილი, დანიშნავს სასამართლო.

56. კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა იანგარიშება თვეობით და დღეობით.

57. თვეობით გამოანგარიშებული ვადა გასულად ჩაითვლება უკანასკნელი თვის შესაფერ რიცხვს. უკეთუ თვეობით გამოანგარიშებული ვადის უკანასკნელ თვეს შესაფერი რიცხვი არ აქვს, ვადა გასულად ჩაითვლება ამ თვის უკანასკნელ რიცხვს.

58. უკეთუ ვადა დღეობით იანგარიშება, ანგარიში დაიწყება იმ დღის მომდევნო დღიდან, როდესაც დაიწყო ვადის დენა.

59. უკეთუ ვადა უნდა გათავდეს ერთ-ერთ შემდეგ სარეკოლიუციო დღეს: ნოემბრის 7 და 8, იანვრის 22, მაისის 1 და 2, ვადის უკანასკნელ დღედ ჩაითვლება ის სამუშაო დღე, რაც უქმეს მოსდევს.

იმ დაწესებულებას, საწარმოს და ორგანიზაციას, რომელიც გადასული არ არის შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე, აგრეთვე ცალკეულ მოქალაქეს შეუძლიან შეასრულოს თავისი მოვალეობა ან განახორციელოს თავისი უფლება უახლოეს სამუშაო დღეს კანონით ან სასამართლოს მიერ დაწესებული ვადის შემდეგ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ვადა თავდება სარეკოლიუციო დღეს, დასვენების განსაკუთრებულ დღეს და ყოველკვირეული დასვენების დღეს.

შენიშვნა. ამა ძუხლის წესი ზემოაღნიშულ დაწესებულებასა, საწარმოსა და ორგანიზაციაზე გავრცელდება იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი წარადგენს ცნობას, რომ იგი გადასული არ არის შეუწყვეტელ საწარმოო კვირაზე. ცნობას ხელს მოაწერს ამ დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი.

60. ვადის უკანასკნელი დღე გრძელდება 24 საათამდე, ხოლო, უკეთუ ამ ვადის განმავლობაში საჭირო იყო რაიმე მოქმედების შესრულება სასამართლოში, სადაც მუშაობა უფრო ადრე თავდება, ვადა გასულად ჩაითვლება სასამართლოში მუშაობის გათავებისთანავე.

61. ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, უკეთუ საჩივარი ან სასამართლოს მიერ მოთხოვნილი ქაღალდი ვადის გასვლამდე ფოსტას ჩაბარდა.

62. საქმის წარმოების შეჩერებისთანავე შეჩერდება მისი ყველა მიმდინარე, ხოლო ჯერ კიდევ გაუსვლელი ვადა. ვადა შეჩერდება იმ მოვლენის დადგომიდან, რომლის გამოც საქმის წარმოება იქნა შეჩერებული.

63. სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა დაინტერესებული მხარის თხოვნით შეიძლება განგრძობილ იქნეს.

64. უკეთუ მხარემ გადააცილა ვადა ისეთი მიზეზით, რასაც სასამართლო პატივსადებ მიზეზად სცნობს, სასამართლოს შეუძლიან აღუდგინოს მას გადაცილებული ვადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

65. გადაცილებული ვადის აღდგენის საკითხს გადასწყვეტს ის სასამართლო, სადაც უნდა შესრულებულიყო ვადაგადაცილებული მოქმედება, ან სადაც ქალალდი უნდა შეტანილიყო. ამ საკითხს გადასწყვეტს, მხარეთა დაუბარებლად, ერთპიროვნად სახალხო მოსამართლე ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

66. ვადის აღდგენის თხოვნასთან ერთად შესრულებულ უნდა იქნეს ის მოქმედება ან შეტანილი ის ქალალდი, რის გამოც თხოვნაა აღძრული.

67. ის ქალალდი, რაც შეტანილ იქნება კანონით დაწესებული ვადის გასვლისას, განუხილველი დარჩება.

თავი VII.

სასამართლოში დაბარება და სხვაგვარი შეტყობინება.

68. უწყება და შეტყობინება სასამართლოსაგან გაიგზავნება ფოსტით დაკვეთილ პაკეტში უკან დასაბრუნებელი ბარათით ან სასამართლოს გზირის ხელით; უწყება და შეტყობინება შეიძლება აგრეთვე გადაცემულ იქნეს სათანადო სასოფლო საბჭოს მეშვეობით; უკეთუ საძნელოა უწყებისა და შეტყობინების ზემოაღნიშნული წესით ჩაბარება, იგი, მოდავის თხოვნით და სასამართლოს ნებართვით, შეიძლება თვით მოდავეს გადაეცეს მეორე მხარისათვის ჩასაბარებლად.

69. ყოველგვარი მიმართვა სასამართლოსი ისეთი პირისა და დაწესებულებისადმი, რომელიც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საზღვრებს გარეშეა, აგრეთვე სსრკ ის ტერიტორიაზე მყოფ უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობისადმი და ასეთი წარმომადგენლობის წევრისადმი სწარმოებს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს ხაზით და სსრკ-ის გარეშე საქმეთა სახალხო კომისირიატის რწმუნებულის (ა/კსფსრ მთავრობასთან) მეშვეობით.

70. დაბარების უწყებაში სასამართლომ უნდა აღნიშნოს:

ა) სასამართლოს სახელწოდება;

ბ) სხდომის ადგილი და დრო;

გ) მხარენი და ის საქმე, რომლის გამოც დაბარებაა;

დ) რა სახით არის დაბარებული ესა თუ ის პირი;

ე) წინადადება, რათა სასამართლოს წარედგინოს ყველა დამამტკიცებელი საბუთი საქმის გამო და ამ საბუთების წარდგენის ვადა;

ვ) გამოუცხადებლობის შედეგი.

უკეთუ მოპასუხე სახელმწიფო დაწესებულება ან საწარმოა, ან და კოოპერატიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სასამართლოში დაბარების პირველი უწყება მოპასუხეს ყველა საქმის გამო, გარდა შრომის საქმეებისა, უნდა გაეგზავნოს ისეთი ვარაუდით, რომ მან იგი მიიღოს არა უგვიანეს სამი დღისა სამსჯავრო სხდომამდე.

71. სასამართლოს უწყება და შეტყობინება დაბარებულს პირადად უნდა ჩაბარდეს. ჩაბარების დრო უნდა აღინიშნოს ჩასაბარებელ შეტყობინებაზე და მიღების ბარათზე, რაც სასამართლოს უკან ებრუნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შეტყობინების ჩაბარებისას, რაც მოდავის ხელით გაიგზავნება (მუხ. 68), მიმღების ხელმოწერა უნდა დაამოწმოს მილიციამ, სასოფლო საბჭომ ან იმ სახლის თუ დაწესებულების ადმინისტრაციამ, სადაც მიმღები ცხოვრობს ან მუდმივად მოსაქმეობს.

72. უკეთუ შეტყობინების მიმტანმა თანამდებობის პირმა სასამართლოში დაბარებული პირი ბინაზე ვერ ნახა, მან შეტყობინება უნდა ჩააბაროს მასთან ერთად მცხოვრებ მისი ოჯახის რომელსამე წევრს ან იმ სახლის თუ დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც დაბარებული ცხოვრობს ან მუდმივად მოსაქმეობს.

73. უკეთუ ის პირი, ვისაც შეტყობინება უნდა ჩაბარდეს, უარს იტყვის მიღებაზე, ქალალდის მიმტანი ამ გარემოებას მიღების ბარათზე აღნიშნავს.

74. უკეთუ მოპასუხის ფაქტიური საცხოვრებელი ადგილი ცნობილი არ არის (მუხ. 28), სასამართლოს უწყება და შეტყობინება მის სახელზე გაიგზავნება იქ, სადაც მოპასუხის ქონებაა, ან იმ ადგილას, სადაც იგი უკანასკნელად ცხოვრობდა, და ჩაბარდება მისი ქონების გამგეს, ან მისი ოჯახის რომელსამე წევრს, ან და სახლის სამოურაოს, ხოლო, როდესაც არც ერთი მათგანი არ არის,— მილიციას ან სასოფლო საბჭოს.

უკეთუ სამუშაო ხელფასის საქმეზე და ალიმენტების საქმეზე, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს მიერ კერძო პირის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე მოპასუხის ფაქტიური სამყოფელი ადგილი ცნობილი არ არის, სასამართლოს უფლება აქვს წინადადება მისცეს მილიციის ორგანოებს მოსძებნონ მოპასუხე და აცნობონ სასამართლოს მისი სამყოფელი ადგილი.

75. სასამართლოს პირვანდელი შეტყობინება სათანადო პირს გაეგზავნება მხარის მიერ ნაჩვენები მისამართით. უკეთუ დაბარებული პირი ნაჩვენებ ადგილას არ აღმოჩნდა, ეს გამოეცხადება იმ მხარეს, რომელმაც სასამართლოს არასწორი მისამართი უჩვენა, და მიეცემა ვადა ახალი მისამართის საჩვენებლად.

76. მოდავე მოვალეა თითონ აცნობოს სასამართლოს თავისი მისამართი, ვინიცობაა მას გამოიცვლის, ვიდრე საქმე წარმოებაშია. უკეთუ სასამართლოს ეს არ ეცნობა, უწყება გაიგზავნება იმ უკანასკნელი მისამართით, რაც სასამართლომ იცის და რომლითაც უწყება ჰბარდებოდა ხოლმე; ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება, თუნდაც მხარე იმ ადგილას აღარ ცხოვრობდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი მეორე

საქმის წარმოება სარჩელის წესით

თავი VIII.

სარჩელის აღძვრა.

77. სასამართლო საქმის გარჩევას შეუდგება წერილობითი ან სიტყვიერი განცხადების გამო.

შენიშვნა. უზენაესი სასამართლოს ქვემდებარე სარჩელი, აგრეთვე სახელმწიფო დაწესებულებისა თუ საწარმოს ან კოპერატიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინაღმდეგ აღძრული ყოველგვარი სარჩელი განცხადებულ უნდა იქნეს წერილობით.

78. სარჩელის განცხადებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) სწორე სახელი მოსარჩელისა, ესე იგი იმ პირისა, ვინც სარჩელს აღძრავს, აგრეთვე მისი წარმომადგენლისა, უკეთუ სარჩელის განცხადებას იგი შეიტანს; ბ) სწორე სახელი მოპასუხისა, ესე იგი იმ პირისა, ვინც სარჩელზე პასუხი უნდა აგოს; გ) ადგილი, სადაც მუდმივად ცხოვრობენ ან მუდმივად მოსაქმეობენ მოსარჩელე და მოპასუხე; დ) გარემოება, რაზედაც დამყარებულია სარჩელი, და დამამტკიცებელი საბუთები, რაც სარჩელს ადასტურებს; ე) მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფასი; ვ) განცხადებასთან დართული დოკუმენტები; ზ) განცხადებას ხელი უნდა მოაწეროს მოსარჩელემ.

წარმომადგენლის მიერ შეტანილ სასარჩელო განცხადებას უნდა ღაერთოს რწმუნებულობა ან უფლებამოსილობა.

შენიშვნა. ამა მუხლში ნახმარი სიტყვა „პირი“ ჰგულისხმობს როგორც ფიზიკურს, ისე იურიდიულ პირს.

79. სიტყვიერი განცხადება სახალხო მოსამართლემ ან, მისი დავალებით, მდივანმა ოქმში უნდა შეიტანოს; იგი წაეკითხება მოსარჩელეს; მას ხელს მოაწერენ მოსამართლე და განმცხადებელი.

80. ისეთი საქმის გამო, რაც უზენაესმა სასამართლომ უნდა გაარჩიოს, აგრეთვე ისეთი საქმის გამო, რაზედაც მოპასუხე სახელმწიფო დაწესებულებაა, ან საწარმო ან და საზოგადოებრივი თუ კოოპერატიული ორგანიზაცია, სარჩელის განცხადებას და ყველა დოკუმენტს უნდა დაერთოს იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეცაა მეორე მხარეზე.

ამა მუხლით გათვალისწინებული წესი არა ვრცელდება ისეთ სარჩელზე, რაც სამუშაო ხელფასს, ალიმენტებს და სიკვდილით დაშავებით ან სხეულის სხვა დაზიანებით მიყენებული ვნების საზღაურს ეხება.

81. საქმის გამო წარდგენილი დედანი დოკუმენტი შეიძლება უკანვე იქნეს წაღებული, ხოლო მის ნაცვლად საქმეში დარჩება ასლი, წარმდგენი მხარის მიერ შემოწმებული; ამასთანავე იმ დედან დოკუმენტს, რაზედაც დამყარებულია სარჩელი, უნდა წაეწეროს, რომ დოკუმენტის გამო სარჩელის წესით სწარმოებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე, ხოლო, უკეთუ დედანი დოკუმენტი მიღებულ იქნა საქმის გათავების შემდეგ, მას უნდა წაიწეროს აგრეთვე ისიც, თუ როგორ გადაწყდა საქმე.

82. საქმის გადაწყვეტის დასაჩქარებლად მოსამართლე, ვიდრე სამსჯავრო სხდომაზე საქმის განხილვას დანიშნავდეს, შეასრულებს ერთპიროვნად შემდეგ მოქმედებას საქმის წინასწარი მომზადებისათვის:

ა) გადასწყვეტს საკითხს სამსჯავრო სხდომაზე მოწმეების დაბარების შესახებ;

ბ) მოახდენს, მხარეთა დაბარებით, ადგილობრივ დათვალიერებას და ექსპერტიზას;

გ) მოსთხოვს მოპასუხეს ან მესამე პირს დოკუმენტებსა და ცნობებს, მისცემს მხარეს მოწმობას დოკუმენტებისა და ცნობების მისაღებად;

დ) გამოარკვევს მოსარჩელის გამოკითხვით, სასარჩელო განცხადების შეტანის დროს, მოპასუხისაგან მოსალოდნელ მისაგებელს და წინადადებას მისცემს მოსარჩელეს წარადგინოს სარჩელის დამამტკიცებელი საბუთები;

ე) უკეთუ საქმე განსაკუთრებით რთულია, დაიბარებს მოპასუხეს, რათა წინასწარ გამოჰკითხოს საქმის გარემოება; დაბარებასთან ერთად მოპასუხეს უნდა ჩაბარდეს სასარჩელო განცხადებისა და მოსარჩელის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ასლები, თუ ეს ასლები წარდგენილია (მუხ. 80).

ხოლო, უკეთუ საქმის წინასწარი მომზადება საჭირო არ არის, მოსამართლე დაუყოვნებლივ დანიშნავს საქმეს განსახილველად სამსჯავრო სხდომაზე, რასაც გამოუცხადებს დამსწრე მხარეს ხელწერილის ჩამორთმევით.

83. მოპასუხეს შეუძლიან, არა უგვიანეს პირველი სამსჯავრო სხდომისა, რომელზედაც საქმე არსებითად იყო განხილული, წარადგინოს შეგებებული სარჩელი. ამ ვადის გასვლის შემდეგ წარდგენილი შეგებებული სარჩელის მიღება დამოკიდებულია სასამართლოზე.

84. შეგებებული სარჩელი შეიძლება მიღებულ იქნეს ძირითად სარჩელთან ერთად განხილვისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ იგი შეიძლება გამოდგეს პირვანდელ სასარჩელო მოთხოვნაში ჩასათვლელად, ან უკეთუ იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ძირითად სარჩელთან.

85. სახალხო მოსამართლე სასარჩელო განცხადებას მსვლელობას არ მისცემს, უკეთუ 78 და 80 მუხლში ჩამოთვლილი მოთხოვნა დაცული არ არის და ერთიანი სასამართლო ბაჟი არაა გადახდილი; ამ გარემოებას სასამართლო მოსარჩელეს აცნობებს და ნაკლის შესასწორებლად ვადას მისცემს.

უკეთუ აღნიშნულ ვადაზე განცხადების ნაკლი არ იქნა თავიდან აცილებული, იგულისხმება, რომ განცხადება შეტანილი არ არის.

ეს წესი საკასაციო და კერძო საჩივარს შეეფარდება განსაკუთრებულ შემთხვევაში სახელმწიფოს, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა ინტერესებისათვის.

შეგებებული სარჩელის ყველა ნაკლი შესწორებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს იმ დღისა, რა დღისთვისაც დანიშნულია საქმის არსებითად გარჩევა; წინააღმდეგ შემთხვევაში შეგებებული სარჩელი ამ პროცესში განხილული არ იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი IX.

სარჩელის უზრუნველყოფა.

86. რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს საქმე, ვიდრე გადაწყვეტილება არ გამოტანილა, მოსარჩელეს შეუძლიან ითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფა.

განსახილველად ისეთი საქმის მიღების დროს, რაც ეხება ალიმენტებს, სამუშაო ხელფასს და სიკვდილით, დაშავებით ან სხეულის სხვა დაზიანებით მიყენებული ვნების საზღაურს, აგრეთვე იმ გასამრჯელოს გადახდევინებას, რაც ავტორს და მის მემკვიდრეებს ერგებათ საავტორო უფლების მთლად ან ნაწილობრივი გასხვისებისათვის, სასამართლო მოვალეა, თავისი ინიციატივით, განიხილოს და გადასწყვიტოს სარჩელის უზრუნველყოფის საკითხი.

იგივე წესი დაცულ უნდა იქნეს ისეთ საქმეზე, რომელიც ეხება გამომგონებლების და სამრეწველო ნიმუშთა ავტორებისა და მათი მემკვიდრეების მიერ (იურიდიულ პირთა გამოკლებით) დარეგისტრებულ გამონაგონთა და სამრეწველო ნიმუშთა სარგებლობისათვის გასამრჯელოს იმ ნაწილის გადახდევინებას, რაც 6.000 მანეთს არ აღემატება.

შენიშვნა. არ შეიძლება უზრუნველყოფა იმ სარჩელისა, რაც აღძრულია სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს წინააღმდეგ, გარდა სარჩელისა საკუთრების უფლების შესახებ და ისეთი შემთხვევისა, როდესაც აღძრული სარჩელი გამომდინარეობს საკრედიტო დაწესებულების საბანკო ოპერაციიდან ან საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციის ოპერაციიდან.

87. სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება, უკეთუ ცნობილ იქნება, რომ სარჩელი საკმაოდ დამტკიცებულია წარდგენელი დოკუმენტებით და უკეთუ სარჩელის უზრუნველსაყოფად ღონისძიების მიუღებლობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ მოსარჩელის დაკმაყოფილება შეუძლებელი იქნება, ან როდესაც თვით მოთხოვნა ისეთი ხასიათისაა, რომ დაყოვნება გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას.

88. როდესაც სასამართლო უზრუნველჰყოფს სარჩელს, მას შეუძლიან მოსთხოვოს მოსარჩელეს, რომ მან, თავისი მხრითაც, წარადგინოს მოპასუხის შესაძლებელი ზარალის უზრუნველყოფა.

89. სასამართლოს შეუძლიან უზრუნველჰყოს სარჩელი მთლად ან სარჩელის მხოლოდ ის ნაწილი, რასაც იგი საკმაოდ დასაბუთებულად სცნობს.

90. სარჩელის უზრუნველყოფის თხოვნას თვით შეტანის დროს, აგრეთვე შეტანის შემდეგაც, უკეთუ საქმის დაყოვნება შეუძლებელია, გადასწყვეტს სახალხო მოსამართლე ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ერთპიროვნად, მოწინააღმდეგე მხარის დაუბარებლად.

91. სარჩელის უზრუნველსაყოფად შეიძლება: ა) სადაო საგნის შეკვრა ან მოპასუხის ქონების თუ ფულადი თანხების შეკვრა, მის ხელში იქნება იგი თუ გარეშე პირის ხელში; ბ) განსაზღვრული მოქმედების აკრძალვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა 1. იმ უცხო სახემწიფოს ქონების შეკვრა, რომელიც ურთიერთობის პრინციპს იცავს სსრკ-ის ქონების მიმართ, შეიძლება მხოლოდ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინასწარი ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

შენიშვნა 2. უკეთუ შეკრულ იქნა ნავჭურჭელი, სასამართლომ ეს უნდა აცნობოს იმ ადგილის საზღვაო სავაჭრო პორტის სამმართველოს, რომელზედაც მიწერილია ნავჭურჭელი.

92. იმ სარჩელის უზრუნველყოფისთანავე, რასაც სახელმწიფო საწარმო აღძრავს კერძო საწარმოს წინააღმდეგ, სასამართლოს შეუძლიან ნება დართოს მოსარჩელეს დანიშნოს თავისი წარმომადგენელი, რათა თვალყური ადევნოს საწარმოს წესიერ მუშაობას.

93. სასამართლოს—ერთ-ერთი მხარის თხოვნით და მოწინააღმდეგე მხარის მისაგებლის მხედველობაში მიღებით — შეუძლიან ერთი სახის უზრუნველყოფა შესცვალოს სხვა სახის უზრუნველყოფად, აგრეთვე შესაძლებლად სცნოს სხვა და სხვა სახის უზრუნველყოფა ერთად, იმ პირობით-კი, რომ მათი საერთო თანხა სარჩელის თანხას არ აღემატებოდეს. ფულადი სარჩელის უზრუნველსაყოფად მოპასუხეს შეუძლიან, სასამართლოს მიერ მიღებული უზრუნველყოფის ნაცვლად, სასარჩელო თანხა სასამართლოს დეპოზიტად შეიტანოს.

94. დადგენილება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ აღისრულება იმ წესით, რაც მიღებულია სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად.

95. სასამართლოს დადგენილება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ან ამ უზრუნველყოფაზე უარი შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს კერძო საჩივრის წესით (მუხ. 284). უკეთუ დადგენილება მოჩივარის დაუსწრებლად იქნა გამოტანილი, 284 მუხლით გათვალისწინებული ვადის დენა დაიწყება სასამართლოს აღმასრულებლის უწყების მიღების დღიდან.

შენიშვნა. საჩივრის შეტანა ვერ დააბრკოლებს საქმის განხილვას.

96. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს იმ დადგენილების აღსრულებას, რომლითაც სარჩელი უზრუნველყოფილ იქნა.

საჩივარი ისეთ დადგენილებაზე, რომლითაც უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიება გაუქმებულ იქნა, შეაჩერებს ამ დადგენილების აღსრულებას.

შენიშვნა. სარჩელის უარყოფა არ გამოიწვევს, თავისთავად, სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებულ ღონისძიებათა გაუქმებას გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე; ხოლო, უკეთუ სასამართლო, სარჩელზე უარის თქმასთან ერთად, დაადგენს უზრუნველყოფის გაუქმებასაც, ეს დადგენილება შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს და ასეთ შემთხვევაში მოქმედობს ამა მუხლის მეორე ნაწილი.

97. მოპასუხეს, რომლის სასარგებლოდაც საქმე გადაწყდა, შეუძლიან მოსთხოვოს მოსარჩელეს სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზარალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი X.

საქმის გარჩევა.

98. საქმე გაირჩევა საჯაროდ და სიტყვიერად.

99. უკეთუ საქმის გარემოებათა გამო მისი საჯაროდ გარჩევა, საზოგადოებრივი ინტერესის დაცვის თვალსაზრისით, სასურველი არ იქნება, აგრეთვე უკეთუ საქმის გარემოება მხარის ინტიმურ ცხოვრებას ეხება, სასამართლოს, თავისი შეხედულებით ან მხარეთა თხოვნით, შეუძლიან დაადგინოს, საქმე ან მისი ცალკე ნაწილი გაირჩეს კარდახშულ სხდომაზე.

100. როდესაც საქმე კარდახშულ სხდომაზე ირჩევა, სასამართლო სხდომაზე შეუშვებს მხოლოდ მხარეებს და მათ წარმომადგენლებს, მოწმეებს და ექსპერტებს. სასამართლოს გადაწყვეტილება, ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ გამოცხადდება.

101. სასამართლოს სამსჯავრო სხდომის თავმჯდომარე ხელმძღვანელობას უწევს სხდომას და იძლევა სხდომაზე წესის დასაცავად საჭირო განკარგულებებს; მას შეუძლიან სამსჯავრო სხდომის დარბაზიდან საქმეში მონაწილე პირთა და აგრეთვე გარეშე პირთა განდევნა, უკეთუ ისინი არ დაემორჩილნენ მის განკარგულებას; ამის გარდა თავმჯდომარეს შეუძლიან დაადვას მათ ჯარიმა 15 მანეთამდე.

ზემოაღნიშნულ ღონისძიებათა გავრცელება პროკურატურის წარმომადგენლებზე და იმ პირებზე, რომელნიც დამცველთა კოლეგიის შედგენილობას ეკუთვნიან, არ შეიძლება.

ამ უკანასკნელთა არასწორ მოქმედებას სასამართლო აცნობებს პროკურატურის ან დამცველთა კოლეგიის სათანადო ორგანოებს და, უკეთუ საჭირო იქნება, გამოიტანს დადგენილებას საქმის გადადების შესახებ.

102. სასამართლო, როდესაც საქმის გარჩევას შეუდგება, გამოარკვევს, ვინ გამოცხადდა სასამართლოში დაბარებულ პირთაგან და რა ცნობებია მიღებული დანარჩენთა გამოუცხადებლობის მიზეზის შესახებ.

103. მხარის გამოუცხადებლობა, როდესაც სასამართლოს აქვს ცნობა, რომ მას უწყება ჩაბარდა, საქმის გარჩევას და გადაწყვეტას ვერ დააბრკოლებს.

უკეთუ ორივე მხარე არ გამოცხადდა, და სასამართლოს აქვს ცნობა, რომ მათ უწყება ჩაბარდათ, სასამართლოს, საქმის გარემოებათა მიხედვით, შეუძლიან ან გაარჩიოს საქმე მხარეთა დაუსწრებლად, ან ვინიცობაა საქმის დამამტკიცებელ საბუთებს არასაკმარისად სცნობს, ან და მხარეთა გამოუცხადებლობის მიზეზს პატივსადებად მიიჩნევს,—გადასდოს საქმის განხილვა ან შეაჩეროს საქმის წარმოება.

104. სასამართლო გადასდებს საქმის გარჩევას, უკეთუ საჭიროდ მიიჩნევს გამოუცხადებელი მხარის პირად ახსნა-განმარტებას. მოსარჩელე ან მოპასუხე პირადი ახსნა-განმარტებისათვის შეიძლება დაბარებულ იქნეს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც საქმეში მისი წარმომადგენელი ღებულობს მონაწილეობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

105. უკეთუ ხელმეორედ დაბარებული მხარე, რომელსაც ახსნა-განმარტების საჭიროება ეუწყა, არ გამოცხადდება პატივსადები მიზეზის გარეშე, საქმე გადაწყდება არსებული მასალის მიხედვით.

106. იმ საქმის გამო, რაც ეხება ხელმოკლე და შრომის უუნარო მეუღლისა და ბავშვისათვის საზრდოს (ალიმენტის) მოთხოვნას, აგრეთვე სამუშაო ხელფასისა და სიკვდილით, დაშავებით ან სხეულის სხვა დაზიანებით მიყენებული ვნების საზღაურის მოთხოვნას, სასამართლოს შეუძლიან დაადგინოს მოპასუხის იძულებით მოყვანა, უკეთუ იგი საქმის გამრჩევი სასამართლოს რაიონში ან იმ ქალაქში ცხოვრობს, სადაც ეს სასამართლოა; მაგრამ ასეთი მოყვანა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო საჭიროდ სცნობს მოპასუხის პირადად გამოცხადებას და როდესაც ეს მოპასუხე ორჯერ იქნება დაბარებული და სათანადოდ გაფრთხილებული.

107. ვიდრე საქმის არსებითად გარჩევა დაიწყებოდეს, მხარეს უფლება აქვს განაცხადოს, რომ შეუძლებელია საქმე გაირჩეს ამ სასამართლოში ან სასამართლოს ამ შედგენილობაში.

108. სასამართლოს შეუძლიან დაადგინოს საქმის გადატანა სხვა სასამართლოში:

ა) უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ საქმის გარემოებათა გამო სარჩელის გადაწყვეტა უფრო მოსახერხებელია იმ ადგილას, სადაც მთავარი შემამოწმებელი მოქმედება უნდა მოხდეს, ან, საერთოდ, სხვა სასამართლოში და არა იმ სასამართლოში, რომელიც მოსარჩელემ აირჩია (მუხ. 34);

ბ) უკეთუ მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილი ცნობილ არ იყო (მუხ. 28), ითხოვს საქმის გადატანას იქ, სადაც იგი ნამდვილად ცხოვრობს, და ეს თხოვნა შეწყნარებული იქნება;

გ) უკეთუ სახალხო მოსამართლე ჩამოცილებულ იქნა (მუხ. 110) და მისი შეცვლა იმავე სასამართლოში საძნელოა.

109. უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ საქმე სხვა სასამართლოს ან დაწესებულებას ექვემდებარება, იგი დაადგენს საქმის ქვემდებარეობისამებრ გადაცემას.

110. უკეთუ მოსამართლე ან სახალხო მსაჯული დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან უკეთუ მას და მოდავეთა შორის რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობა არსებობს, იგი ჩამოცილებულ უნდა იქნეს საქმის გარჩევაში მონაწილეობისაგან როგორც მხარის განცხადებით, ისე საკუთარი განცხადებითაც. მოსამართლე ან მსაჯული მოვალეა ასეთი განცხადება სასამართლოში შეიტანოს, თუნდაც მხარეს არაფერი განეცხადებიოს.

111. საქმის არსებითად განხილვა დაიწყება მოხსენების შემდეგ; სასამართლო წინადადებას მისცემს მხარეებს წარადგინონ ახსნა განმარტება და დაასახელონ მათ მიერ ყველა წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთი.

112. საქმის გარჩევის დაწყების შემდეგ მხარეს ახალი დამამტკიცებელი საბუთი შეუძლიან წარადგინოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ მხარეს დამამტკიცებელი საბუთი თავის დროზე პატივსადები მიზეზით ვერ წარუდგენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

113. საქმის გადადებისთანავე სასამართლო დანიშნავს ვადას დამამტკიცებელი საბუთების წარსადგენად ან შესამოწმებლად და აგრეთვე, თუ შესაძლებელია, ხელახალი სხდომის დღესაც. ამასთანავე, სასამართლო მოვალეა დაჰკითხოს გამოცხადებულ მოწმეებს, უკეთუ საქმეში მოიპოვება ცნობა, რომ მხარეთ სხდომის დღე ეუწყათ.

114. როდესაც სასამართლო სცნობს, რომ საქმე საკმაოდ გამორკვეულია, იგი მოსპობს საქმეზე ლაპარაკს და შეუდგება საქმის გადაწყვეტას.

115. შრომის საქმეებს სასამართლო განიხილავს არა უგვიანეს 7 დღისა საქმის მიღებიდან.

თავი XI.

ოქმი.

116. ყოველი სხდომისათვის და სხდომის გარეშე მომხდარი სასამართლოს ყოველი მოქმედებისათვის შედგენილ იქნება ოქმი.

შენიშვნა. ოქმის შედგენა საკასაციო-სარევიზიო ინსტანციის სამსჯავრო სხდომისათვის სავალდებულო არ არის.

117. ოქმში აღნიშნულ უნდა იქნეს: სხდომის ან მოქმედების ადგილი და დრო, სასამართლოს შედგენილობა, გამოცხადებული მხარეები, საქმეში მონაწილეთა, მოწმეთა და მცოდნე პირთა ახსნა-განმარტების და განცხადების შინაარსი, საქმეში მონაწილე პირის კერძო თხოვნა, მასზე მინაგები და სასამართლოს დადგენილება, წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები და დოკუმენტები.

118. ოქმი იწერება თვით სხდომაზე ან სხდომის გარეშე ცალკეული მოქმედების დროს; ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი ან ცალკეული მოქმედების შემსრულებელი პირი.

119. საქმეში მონაწილე პირს ნება ეძლევა გადაათვალიეროს ოქმი. მას შეუძლიან, არა უგვიანეს სამი დღისა ოქმის შედგენის დღიდან, წარადგინოს ესა თუ ის შენიშვნა ოქმის შესახებ.

უკეთუ სხდომის თავმჯდომარე ან ის, ვინც ცალკეულ სასამართლო მოქმედებას ასრულებს, სცნობს, რომ შენიშვნები სწორია, იგი შეიტანს ოქმში სათანადო შესწორებას.

თავი XII.

საქმის წარმოების შეჩერება.

120. სასამართლო მოვალეა საქმე შეაჩეროს:

ა) უკეთუ ერთ-ერთი მოდავე გარდაიცვალა;

ბ) უკეთუ საჭიროა ერთ-ერთი მოდავე მეურვეობაში მიიცეს, ან უკეთუ მას სხვაგვარად შეეზღუდა უფლება ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში;

გ) უკეთუ მოისპო არსებობა იმ იურიდიული პირისა, რომელიც საქმეში მხარე არის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) უკეთუ ერთ-ერთი მოდავე წითელი არმიის მომქმედ ნაწილშია გაწვეული;

ე) უკეთუ გასარჩევი საქმის გადაწყვეტა არ შეიძლება იმ დრომდე, ვიდრე არ გადაწყდება სხვა საქმე, რაც ირჩევა სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის ან საადმინისტრაციო წესით;

ვ) უკეთუ მოსარჩელე არ განუცხადებს სასამართლოს მოპასუხის საცხოვრებელ ადგილს, როდესაც აღმოჩნდება, რომ იგი სასარჩელო განცხადებაში ნაჩვენები მისამართით არა ცხოვრობს (78 მუხლი „გ“ პუნქტი), და არა სთხოვს სასამართლოს დაიბაროს მოპასუხე ამა კოდექსის 74 მუხლის წესისამებრ.

121. ამის გარდა სასამართლოს შეუძლიან საქმე შეაჩეროს: ა) უკეთუ ერთ-ერთი მოდავე გაწვეულ იქნა წითელ არმიაში ან სხვა სავალდებულო ბეგარის მოსახდელად და ბ) ამა კოდექსის 103 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევაში.

122. 120 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმე შეჩერდება იმ დრომდე, ვიდრე მასში არ ჩაერევა ან მოწინააღმდეგე მხარის მიერ ჩაბმულ არ იქნება საქმიდან გასული მხარის უფლების მენაცვლე ან კანონიერი წარმომადგენელი.

123. ხანდაზმულობის ვადის დენა (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 51 მუხლი) დაიწყება: იმ საქმისათვის, რაც შეჩერებულ იქნა 120 მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული მიზეზით, საქმის წარმოების შეჩერების დღიდან; იმ საქმისათვის, რაც შეჩერებულ იქნა იმავე მუხლის „დ“ პუნქტში აღნიშნული მიზეზით,—იმ მომენტიდან, როდესაც მოისპობა მხარის ყოფნა წითელი არმიის მომქმედ ნაწილში; ხოლო „ვ“ პუნ. გათვალისწინებული საქმისათვის—ამ პუნქტში აღნიშნული საქმის დამთავრების დღიდან.

124. უკეთუ 120 მუხლის „ვ“ პუნქტისა და 121 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად შეჩერებული საქმე განახლებულ არ იქნა ამა თუ იმ მოდავე მხარის თხოვნით დღიდან შეჩერების თაობაზე გამოტანილი დადგენილებისა: სამოქალაქო საქმე—ექვსი თვის განმავლობაში, ხოლო შრომის საქმე—სამი თვის განმავლობაში, იგი მოსპობილად ჩაითვლება. ასეთ შემთხვევაში საქმის შეჩერება არ უსპობს მოსარჩელეს უფლებას აღძრას სარჩელი იმავე საქმეზე სასარჩელო ხანდაზმულობის ფარგლებში.

125. უკეთუ საქმის წარმოება განახლებულ იქნა, სასამართლო მხარეებს საერთო წესისამებრ დაიბარებს.

თ ა ვ ი XIII.

დამამტკიცებელი საბუთები.

126. თვითეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოება, რაზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნას და მისაგებელს. დამამტკიცებელი საბუთები თვით მხარემ უნდა წარადგინოს; მათი შეკრეფა შეიძლება ავალეთვე სასამართლოს ინიციატივითაც. უკეთუ წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთები საკმაო არ იქნება, სასამართლოს შეუძლიან წინადადება მისცეს მხარეებს წარადგინონ დამატებითი დამამტკიცებელი საბუთები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

127. მხარის მიერ წარდგენილი ამა თუ იმ დამამტკიცებელი საბუთის მიღება დამოკიდებულია იმაზე, სცნობს თუ არა სასამართლო, რომ ამ საბუთს შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისათვის.

128. სასამართლოს შეუძლიან სცნოს, რომ ამ თუ იმ გარემოების საჭირო არ არის დამტკიცება.

129. სასამართლოს, საკუთარი ინიციატივით ან ამა თუ იმ მხარის თხოვნით, შეუძლიან წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთების გამო მოახდინოს საჭირო შემმოწმებელი მოქმედება: დაათვალიეროს ადგილი, დაიბაროს მცოდნე პირნი (ექსპერტები), დაიბაროს და დაჰკითხოს მოწმენი და შეამოწმოს წერილობითი დოკუმენტები.

ამა მუხლში აღნიშნული შემმოწმებელი მოქმედება სასამართლოს შეუძლიან დააკისროს თავმჯდომარეს. მას სასამართლოს მინდობილობის აღსრულების დროს აქვს სასამართლოს უფლებანი ჩამოცილებისა და მოწმეთა და მცოდნე პირთა (ექსპერტთა) დაჯარიმების საკითხებში.

130. დამამტკიცებელი საბუთების შემოწმება მხარეებს ეუწყებათ იმ შემთხვევაშიაც, როდესაც შემოწმება მოხდება სამსჯავრო სხდომის ადგილის გარეშე.

თ ა ვ ი XIV.

დამამტკიცებელი საბუთების სხვადასხვა სახე.

კ ა რ ი I.

მოწმის ჩვენება.

131. მოწმის ჩვენება მიიღება ყოველგვარ შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განსაზღვრული მოქმედებისა და ურთიერთობისათვის კანონით დაწესებულია სავალდებულო წერილობითი ფორმა. ამის გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც დოკუმენტი, მოდავის ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი რაიმე მიზეზით, დაკარგულია, მოსპობილი ან გატაცებული, მაგრამ მისი არსებობა და შინაარსი შეიძლება, მოწმეთა გარდა, დამტკიცებულ იქნეს სხვა დამამტკიცებელი საბუთითაც.

132. არავის უფლება არა აქვს უარი სთქვას ჩვენების მიცემაზე სასამართლოში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მოთხოვნილი ფაქტის გამომჟღავნებას თან სდევს სახელმწიფო ან სამსახურებრივი საიდუმლოების დარღვევა.

133. უკეთუ მხარე განაცხადებს, რომ მოწმე დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან უკეთუ მოწმესა და მხარეს შორის რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობაა, სასამართლოს შეუძლიან არ დაჰკითხოს ამ მოწმეს.

134. მხარე, რომელიც მოწმეს დაასახელებს, მოვალეა აღნიშნოს ის გარემოება, რაც ამ მოწმემ უნდა დაადასტუროს, აგრეთვე მოწმის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

135. დაკითხვამდე მოწმე გაფრთხილებულ უნდა იქნეს, რომ ტყუილი ჩვენებისათვის იგი პასუხს აგებს სისხლის სამართლის კოდექსის 95 მუხლისამებრ.

136. ყოველი მოწმე ცალკე უნდა იქნეს დაკითხული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

137. ვიდრე მოწმეს ჩვენება არ მიუცია, მას არ შეუძლიან საქმის გარჩევის დროს სხდომის დარბაზში იყოს.

138. მოწმეთა დაკითხვის რიგს განსაზღვრავს სასამართლოს თავმჯდომარე.

139. ყოველი დაკითხული მოწმე უნდა დარჩეს სასამართლოს სხდომაზე ყველა მოწმის დაკითხვის დამთავრებამდე, უკეთუ სასამართლო წასვლის ნებას არ მისცემს.

140. მოწმე შეიძლება ხელმეორედ იქნეს დაკითხული ამავე ან შემდეგ სხდომაზე თავისი განცხადებით, მხარის თხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით.

141. სასამართლოს შეუძლიან ჩვენებათა სხვადასხვაობის განსამარტებლად მოწმენი ერთმანეთს პირში წაუყენოს.

142. მოწმეს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს იმ ქალაქს გარეშე, ხოლო სოფლად იმ სახალხო სასამართლოს რაიონის გარეშე, სადაც საქმე ირჩევა, დაჰკითხავს ამ მოწმის საცხოვრებელი ადგილის სახალხო მოსამართლე, ხოლო უკეთუ მოწმე გამოცხადდა საქმის გამრჩევ სასამართლოში, იგი დაკითხულ უნდა იქნეს. უკეთუ მოწმე სასამართლოში ვერ გამოცხადდა მძიმე ავადმყოფობისა, მოხუცებულობისა ან სხვა პატივსადები მიზეზის გამო, მას დაჰკითხავს მის საცხოვრებელ ადგილას სათანადო რაიონის სახალხო მოსამართლე ან საქმის გამრჩევი სასამართლოს წევრი.

ჯ ა რ ი 2.

წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები.

143. წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები, როგორიც არის: ყოველგვარი წერილობითი აქტი, დოკუმენტი, საქმიანი და კერძო ხასიათის მიწერ-მოწერა, თვით მხარემ უნდა წარუდგინოს სასამართლოს ან შეიძლება სასამართლომ გამოითხოვოს.

144. იმ მხარემ, რომელიც სასამართლოს მეშვეობით მოითხოვს მეორე მხარისაგან ან საქმეში არამონაწილე პირისაგან დოკუმენტის წარდგენას, უნდა დაწვრილებით აღნიშნოს დოკუმენტი და ის საფუძველი, რომლის ძალითაც იგი ფიქრობს, რომ დოკუმენტი აქვს მოწინააღმდეგე მხარეს ან მესამე პირს, და ის გარემოება, რის დადასტურება შეიძლება ამ დოკუმენტით.

145. დოკუმენტი, რასაც სასამართლო სახელმწიფო დაწესებულებისა ან კერძო პირისაგან მოითხოვს, უშუალოდ სასამართლოს უნდა გაეგზავნოს. სასამართლოს შეუძლიან მისცეს მხარეს მოწმობა სახელმწიფო დაწესებულებიდან ან კერძო პირისაგან დოკუმენტის, ასლის და ყოველგვარი ცნობის მისაღებად და სასამართლოში წარსადგენად.

146. წინა მუხლში დასახელებული დაწესებულება თუ კერძო პირი, რომელსაც შესაძლებლობა არა აქვს სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაზე წარადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტი, მოვალეა აცნობოს სასამართლოს ეს გარემოება და თანაც აღნიშნოს ამის მიზეზი. უკეთუ მიზეზი პატივსადები არ იქნება, აგრეთვე უკეთუ ზემოაღნიშნული გარემოება სასამართლოს არ ეცნობა, მას შეუძლიან დაადვას, ვისაც ჯერ არს, ჯარიმა, თანახმად ამა კოდექსის 53 მუხლისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

147. უკეთუ სასამართლოში დოკუმენტების წარდგენა საძნელოა, მაგალითად, ამ დოკუმენტების სიმრავლის გამო, ან იმის გამო, რომ ამ დოკუმენტების მხოლოდ ნაწილს აქვს მნიშვნელობა სასამართლოსთვის, სასამართლოს შეუძლიან მოითხოვოს წარდგენა სათანადოდ შემოწმებული ამონაწერებისა და დაათვალიეროს დოკუმენტები ადგილობრივ.

148. იმ დოკუმენტთან ერთად, რაც დაწერილია სხვა ენაზე და არა იმ ენაზე, რომელზედაც საქმე სწარმოებს, წარდგენილ უნდა იქნეს მისი სათანადო თარგმანიც.

149. უკეთუ მოწინააღმდეგე მხარე განაცხადებს, რომ საქმის გამო წარდგენილი დოკუმენტი ყალბია, დოკუმენტის წარმდგენ მხარეს შეუძლიან უარი სთქვას მის დამამტკიცებელ საბუთად გამოყენებაზე და სთხოვოს სასამართლოს საქმის განხილვა განაგრძოს სხვა დამამტკიცებელი საბუთების მიხედვით.

150. უკეთუ იმ მხარის მოთხოვნით, რომელმაც ეჭვ-დადებული დოკუმენტი წარადგინა (მუხ. 149), ეს დოკუმენტი საქმეში იქნა დატოვებული, როგორც დამამტკიცებელი საბუთი, ის მხარე, რომელმაც დოკუმენტის სიყალბე განაცხადა, მოვალეა სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაზე წარადგინოს დოკუმენტის სიყალბის დამამტკიცებელი საბუთი.

151. უკეთუ განცხადებულია, რომ დოკუმენტი ყალბია სასამართლო დოკუმენტის სინამდვილეს შეამოწმებს შემდეგნაირად:

ა) გასინჯავს დოკუმენტს და შეადარებს სხვა დოკუმენტებს;

ბ) დაჰკითხავს დოკუმენტში დასახელებულ მოწმეებს ან იმ მოწმეებს, რომელთაც მხარენი დაასახელებენ. ან რომელთაც სასამართლო თავისი ინიციატივით დაიბარებს;

გ) შეადარებს ეჭვ-დადებული დოკუმენტის ხელს და ხელმონაწერს იმავე პირის ხელმონაწერს სხვა რაიმე უდავო დოკუმენტზე;

დ) მოახდენს ექსპერტიზას.

152. უკეთუ სასამართლო დარწმუნდება, რომ დოკუმენტი ყალბია, იგი გამორიცხავს ამ დოკუმენტს დამამტკიცებელი სამუთებიდან და თავისი დადგენილების ასლით გაუგზავნის სათანადო პროკურორს, რათა დამნაშავის წინააღმდეგ აღძრულ იქნეს დევნა სისხლის სამართლის წესით.

თ ა ვ ი XV

ექსპერტიზა და ადგილობრივი დათვალიერება.

153. უკეთუ საქმის გარჩევის დროს ისეთი საკითხი აღიძრა, რომლის განსამარტებლად სპეციალური ცოდნაა საჭირო, სასამართლოს შეუძლიან ექსპერტები დანიშნოს.

უკეთუ სასამართლო სცნობს, რომ ექსპერტიზა მიზანშეწონილი ან ხელსაყრელი არ არის მისი ღირებულების გამო სარჩელის ფასთან შედარებით, მას შეუძლიან ექსპერტიზის დანიშვნაზე უარი სთქვას და გადასწყვიტოს საქმე მასში ქონებული ყველა სხვა ცნობის თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

154. მხარეს შეუძლიან ექსპერტად დასახელებული პირი ჩამოაცილოს საქმეს იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც შეიძლება მოწმის ჩამოცილება.

155. დადგენილებაში, რომლითაც ექსპერტები დაინიშნა, აღნიშნულ უნდა იქნეს, რა გარემოებისთვისაა საჭირო მათი დასკვნა.

156. ექსპერტი თავის დასკვნას მისცემს სიტყვიერად ან წერილობით, სასამართლოს შეხედულებისამებრ. სიტყვიერი დასკვნა შეიტანება ოქმში და ექსპერტი მას ხელს მოაწერს. უკეთუ დასკვნა წერილობითია, სასამართლოს შეუძლიან მოსთხოვოს ექსპერტს ამ დასკვნის სიტყვიერი განმარტება.

157. ექსპერტს იმ გარემოების გამოსარკვევად, რაც მას აინტერესებს, შეუძლიან მისცეს კითხვები მოწმეებს და მონაწილეობა მიიღოს ადგილობრივ დათვალიერებაში და დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებაში.

158. ექსპერტის დასკვნაში ყოველი დებულება დასაბუთებულ უნდა იქნეს.

159. უკეთუ საჭიროა ექსპერტის გამოკვლევის შევსება ან დასკვნის განმარტება, აგრეთვე უკეთუ ექსპერტების დასკვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, სასამართლოს შეუძლიან მოსთხოვოს მათ დამატებითი განმარტება ან, გამონაკლის შემთხვევაში, დანიშნოს სხვა ექსპერტები.

160. ექსპერტიზა მოხდება სასამართლოში ან სასამართლოს გარეშე, უკეთუ ამას მოითხოვს გამოკვლევის ხასიათი, ან უკეთუ საძნელო იქნება გამოსაკვლევი საგნის სასამართლოში მიტანა.

161. ადგილობრივ დათვალიერებას მოახდენს ან სასამართლო სრული შედგენილობით, ან სამსჯავრო სხდომის თავმჯდომარე.

162. ადგილობრივ დათვალიერებას დაესწრებიან მხარენი, უკეთუ გამოცხადდენ.

163. ადგილობრივი დათვალიერებისა და ამ დათვალიერების დროს მომხდარი მოქმედებისათვის შესდგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს დათვალიერების მომხდენი მოსამართლე. ოქმს დაერთვის დათვალიერების დროს შედგენილი ან შედარებული გეგმა, ნახაზი, სურათი და სხვ. და მათი აღწერილობა.

თ ა ვ ი XVI.

პროცესში მონაწილეობა რამდენიმე მოსარჩელისა ან მოპასუხისა და მონაწილეობა მესამე პირისა

164. სარჩელი შეიძლება აღძრას ერთად რამდენიმამე მოსარჩელემ, ან იგი შეიძლება აღძრულ იქნეს რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ.

165. თვითეული მოსარჩელე ან მოპასუხე მოწინააღმდეგე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად და საქმის რომელიმე თანამონაწილის მოქმედება სასამართლოში დანარჩენთა სასარგებლოდ ან საზიანოდ ვერ გამოდგება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სარჩელი სოლიდარული ვალდებულებისაგან გამომდინარეობს.

166. თანამონაწილეებს შეუძლიანთ საქმის წარმოება ერთ-ერთ თანამონაწილეს მიანდონ, თუნდაც მას საზოგადოდ უფლება არა ჰქონდეს სხვისი საქმე აწარმოოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

167. უკეთუ საქმის წარმოების დროს გამოირკვა, რომ სარჩელი აღძრა არა იმან, ვისაც ამის უფლება აქვს, ან იგი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, ვინც მასზე პასუხს აგებს, სასამართლოს შეუძლიან საქმე არ მოსპოს და ნება დართოს, რომ საქმიდან გასული პირვანდელი მოსარჩელის ან მოპასუხის ნაცვლად მისი ადგილი საქმეში დაიჭიროს სათანადო მოსარჩელემ ან მოპასუხემ.

168. მოსარჩელეს და მოპასუხეს შეუძლიან ჩააბას საქმეში თავის მომხრედ მესამე პირი, უკეთუ გადაწყვეტილებას საქმის გამო შეუძლიან დაბადოს ამ მესამე პირის უფლება და მოვალეობა ერთ-ერთი მხარისადმი.

169. სახალხო სასამართლოს შრომის საქმეთა განსაკუთრებულ სესიას შეუძლიან—მის მიერ განსახილველ შრომის საქმეში უკანონოდ დათხოვნილი მომუშავის თანამდებობაზე თუ სამუშაოზე აღდგენის შესახებ—თავისი ინიციატივით ჩააბას მესამე პირად მოპასუხის მხარეზე სახელმწიფო დაწესებულებისა და კოოპერატიული თუ საზოგადოებრივი საწარმოს ის თანამდებობის პირი, რომელმაც მომუშავე დაითხოვა.

170. მესამე პირს შეუძლიან ჩაერიოს საქმეში მოსარჩელის ან მოპასუხის მომხრედ, უკეთუ გადაწყვეტილებას საქმის გამო შეუძლიან დაბადოს მისი უფლება და მოვალეობა ერთ-ერთი მხარისადმი.

171. სასამართლოს უფლება აქვს გამოარკვიოს საქმის განხილვის დროს მხარეთა ურთიერთობა მესამე პირთან და გამოიტანოს გადაწყვეტილება მესამე პირის სასარგებლოდ თუ საწინააღმდეგოდ.

172. მესამე პირი, რომელსაც სადაო საგანზე დამოუკიდებელი უფლება აქვს, საქმეში ჩარევისათვის აღძრავს სარჩელს საერთო წესით ერთ-ერთი მოდავე მხარის ან ორივე მხარის წინააღმდეგ.

173. მოდავე მხარემ მესამე პირის საქმეში ჩაბმისათვის, ან მესამე პირმა მოსარჩელის ან მოპასუხის მომხრედ საქმეში ჩარევისათვის თავის თხოვნაში ზედმიწევნით უნდა აღნიშნოს ის საფუძველი, რითაც მესამე პირი საქმეში ჩაბმულ ან ჩარეულ უნდა იქნეს.

174. მესამე პირის მიერ დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრა მხარის წინააღმდეგ, აგრეთვე მესამე პირის ჩარევა იმ საქმეში, რაც უკვე წარმოებაშია, შეიძლება მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის დროს.

სასამართლოს უარის თქმა საქმეში მესამე პირის ჩაბმისა თუ ჩარევის თხოვნაზე შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს კერძო წესით (მუხ. 284).

175. უკეთუ საქმის წარმოების დროს გამოირკვა, რომ საქმის შედეგით დაინტერესებულია სახელმწიფო დაწესებულება ან საწარმო, რომელიც საქმეში მონაწილეობას არ იღებს, სასამართლო მოვალეა აცნობოს სახელმწიფო დაწესებულებას ან სახელმწიფო საწარმოს, აგრეთვე საპროკურორო ზედამხედველობას, რომ ასეთი საქმე სწარმოებს.

შენიშვნა. მიწათსარგებლობის თაობაზე დავის განხილვის დროს სასამართლო მოვალეა დაიბაროს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის საადგილმამულო განყოფილების, ხოლო სათანადო შემთხვევაში—საქალაქო საბჭოს წარმომადგენელი და მოისმინოს მისი დასკვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

176. უკეთუ სასამართლოში სწარმოებს რამდენიმე ისეთი საქმე, სადაც ან მოსარჩელე ან მოპასუხე მხარეზე მონაწილეობას ერთი და იგივე პირები იღებენ, სასამართლოს შეუძლიან ეს საქმეები შეაერთოს და დაადგინოს, რომ ყველა საქმე ერთად გაირჩეს.

თ ა ვ ი XVII.

გადაწყვეტილების გამოტანა.

177. გადაწყვეტილება საქმეზე, გარდა იმ საქმეებისა, რასაც სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად განიხილავს, დადგენილ უნდა იქნეს ხმის უმეტესობით. არც ერთ მოსამართლეს არ შეუძლიან ხმის მიცემის დროს თავი შეიკავოს. ყოველ მოსამართლეს შეუძლიან დაურთოს საქმეს თავისი განსაკუთრებული აზრი.

178. გადაწყვეტილება უნდა დაიწეროს და ყოველმა მოსამართლემ მას ხელი უნდა მოაწეროს.

უკეთუ რაიმე გაუთვალისწინებელი გარემოების გამო ვისმე სასამართლოს შედგენილობიდან არ შეუძლიან გადაწყვეტილებას ხელი მოაწეროს, ეს აღინიშნება თავმჯდომარის ხელმოწერით.

179. გადაწყვეტილებაში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) მისი დადგენის დრო;

ბ) სასამართლოს შედგენილობა და მოდავეთა სახელები;

გ) დავის საგანი;

დ) გადაწყვეტილების საფუძველი და ის კანონი, რაც სასამართლომ იხელმძღვანელა;

ე) გადაწყვეტილების შინაარსი და აღსრულების წესი;

ვ) განსაჩივრების წესი;

ზ) სასამართლო ხარჯის განაწილება.

180. ყველა გადაწყვეტილება გამოცხადებულ უნდა იქნეს იმ დღეს, რა დღესაც სასამართლომ საქმე განიხილა. გამონაკლის შემთხვევაში, უკეთუ საქმე განსაკუთრებით რთულია, სასამართლოს შეუძლიან ცალკეული დადგენილებით, რაც საჯაროდ უნდა იქნეს გამოცხადებული, გადასდოს გადაწყვეტილების გამოცხადება სამ დღეზე არა უმეტესი ვადით; ამასთანავე, ყოველ შემთხვევაში, რეზოლუცია გამოცხადებულ უნდა იქნეს იმავე დღეს.

181. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადდება საჯაროდ.

შრომის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ასლს სასამართლო ორგანო აცნობებს მხარეთ სამი დღის ვადაზე დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა.

182. უკეთუ სარჩელის მოთხოვნის რაოდენობა დამყარებული არ არის მხარეთა შორის წინასწარ მომხდარ შეთანხმებაზე, ან უკეთუ იგი კანონით არ არის განსაზღვრული (თამასუქი, ხელშეკრულება, ტარიფი და სხვ.), სასამართლოს, გადაწყვეტილების გამოტანის დროს შეუძლიან, გადასცდეს მოსარჩელის მიერ განცხადებული მოთხოვნის ფარგალს, იმ გარემოებათა მიხედვით, რაც სასამართლოში გამოირკვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო დაწესებულებათა და განსაზოგადოებული სექტორის საწარმოთა შორის აღძრული ქონებრივი დავის გადაწყვეტის დროს, გარდა ამა კოდექსის 26 მუხლის მე-2 შენიშვნაში აღნიშნული საქმეებისა, სასამართლოს უფლება აქვს, სამეურნეო მიზანშეწონილობის მოსაზრებით, გაანთავისუფლოს მხარენი—ნაწილობრივ ან მთლად—ვალდებულებისა თუ ქონებრივი პასუხისმგებლობისაგან.

183. უკეთუ სასამართლომ გადასწყვიტა ქონების ნატურად გადაცემა ან განსაზღვრული მოქმედების შესრულება, იგი თვით გადაწყვეტილებაში აღნიშნავს გადაწყვეტილების აღსრულების ვადას.

184. ხუთი დღის განმავლობაში გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან თვითეულ მხარეს შეუძლიან სთხოვოს სასამართლოს დამატებითი გადაწყვეტილების დადგენა:

ა) უკეთუ სარჩელის რომელიმე მოთხოვნის გამო, რის შესახებაც მხარეებმა დამამტკიცებელი საბუთები წარადგინეს და ახსნა-განმარტება მისცეს, სასამართლოს გადაწყვეტილება არ დაუდგენია;

ბ) უკეთუ სასამართლომ, როდესაც უფლების საკითხს სწყვეტავდა, ზედმიწევნით არ აღნიშნა გადაწყვეტილი გადასახდელის რაოდენობა ან ის საგანი, რაც გადაცემულ ან გამოთხოვნილ უნდა იქნეს.

185. როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას დაადგენს და გადაწყვეტილების აღსრულების წესის განსაზღვრას შეუდგება, მას შეუძლიან მხედველობაში მიიღოს მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა ან საქმის სხვა გარემოება და გადასდოს ან დაანაწილოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადა.

გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც ამით დაინტერესებულ არიან მშრომელნი, სასამართლოს უფლება აქვს, გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგაც, გადასდოს ან დაანაწილოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადა, აგრეთვე შესცვალოს გადაწყვეტილების აღსრულების საშუალება და წესი. ამის თაობაზე სასამართლოს გამოაქვს დადგენილება სამსჯავრო სხდომაზე, მხარეთა დაბარებით; ამასთანავე, მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ შეაჩერებს საქმის განხილვას.

შენიშვნა. იმ პირის გამოსახლების თაობაზე გამოტანილი გადაწყვეტილებით, რომელიც ქირას ბოროტეულად არ იხდის (მშრომელი და არა მშრომელი), შეიძლება ვადის მიცემა არა უმეტეს 15 დღისა.

186. უკეთუ გადაწყვეტილება დადგენილია პროცესის რამდენიმე თანამონაწილის სასარგებლოდ ან წინააღმდეგ, სასამართლო აღნიშნავს, გადაწყვეტილების რა წილი ეხება თვითეულ თანამონაწილეს, და სოლიდარული ხომ არ არის პასუხისმგებლობა ან გადახდევინების უფლება.

187. გადაწყვეტილებას დაადგენენ მხოლოდ იმ სხდომის მონაწილე მოსამართლენი, რომელშიაც საქმის გარჩევა დამთავრდა.

188. გადაწყვეტილებას განმარტავს ის სასამართლო, რომელმაც საქმე გადასწყვიტა. თხოვნის შეტანა გადაწყვეტილების განმარტების შესახებ ვადით არ არის შეზღუდული, უკეთუ გადაწყვეტილება არ არის აღსრულებული, ან უკეთუ მას, სამი წლის ხანდაზმულობის გასვლის გამო, ძალა არ დაჰკარგვია.

189. უკეთუ უზენაესი სასამართლო გააუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახალი განხილვისათვის გადასცემს, პირველი ინსტანციის სასამართლო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის გაუქმებული გადაწყვეტილებაც უკვე აღსრულებულია, საქმის ერთად განხილვასთან ერთად ან ცალკეული დამატებითი დადგენილებით გადასწყვეტს საკითხს გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების შესახებ.

ხოლო უკეთუ გადაწყვეტილება გაუქმებულია და საქმის წარმოება მოსპობილი, აგრეთვე უკეთუ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაა შეცვლილი, პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნების საკითხს გადასწყვეტს ცალკეული დადგენილებით. უკეთუ გაუქმებული გადაწყვეტილების აღსრულებით შექმნილია ისეთი მდგომარეობა, რომ მისი გამოსწორება გადაწყვეტილების აღსრულების შებრუნებით არ შეიძლება, დაინტერესებულ მხარეს უფლება ეძლევა აღძრას სარჩელი საერთო წესისამებრ.

თ ა ვ ი XVIII.

აღსრულების ფურცლის გაცემა.

190. სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულებულ უნდა იქნეს:

ა) საკასაციო განსაჩივრებისათვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ, უკეთუ იგი დადგენილ ვადაზე განსაჩივრებული არ არის;

ბ) უკეთუ საკასაციო საჩივარი მეტანილია,—საკასაციო-სარევიზიო ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ, იმ შემთხვევების გარდა, რაც აღნიშნულია 191 და 192 მუხლებში;

გ) უკეთუ გადაწყვეტილება არ განისაჩივრება.

191. დაუყოვნებლივ აღსრულებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება:

ა) სამუშაო ხელფასის სარჩელზე—იმ ნაწილის მიმართ, რაც არ აღემატება მომუშავის თვიურ საშოვარს;

ბ) ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობაში მომუშავესა (მოჯამაგირე და მწყემსი) და დამქირავებელს შორის აღძრულ დავაზე—იმ ნაწილის მიმართ, რაც 50 მან. არ აღემატება;

გ) ალიმენტების სარჩელზე—იმ ნაწილის მიმართ, რაც არ აღემატება სასამართლოს მიერ განსაზღვრულ თვიურ სარჩოს;

დ) სიკვდილით, დაშავებით ან სხეულის სხვა დაზიანებით მიყენებული ვნების საზღაურის სარჩელზე—იმ ფარგლებში, რაც არ აღემატება დაზარალებულის ან გარდაცვალებულის თვიურ საშოვარს;

ე) იმ სარჩელზე, რაც ეხება ავტორის (და მისი მემკვიდრეების) გასამრჯელოს გამონაკლისი უფლების მთლად ან ნაწილობრივ გასხვისებისათვის ან საავტორო უფლების დარღვევისათვის; აგრეთვე იმ სარჩელზე, რაც ეხება გამომგონებლისა, სამრეწველო ნიმუშების ავტორისა და მათი მემკვიდრეობის მიერ (იურდიულ პირთა გამოკლებით) გასამრჯელოს გადახდევინებას დარეგისტრებული გამონაგონის თუ სამრეწველო ნიმუშის გამოყენებისათვის,—საზღაურის ისეთი ნაწილის მიმართ, რაც 500 მანეთს არ აღემატება;

ვ) იმ სარჩელზე, რაც ემყარება ისეთ დოკუმენტს, რომელსაც შეეფარდება სანოტარო კონტორის საალსრულებო წარწერა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) იმ სარჩელზე, რასაც მოპასუხე სასამართლოში საქმის გარჩევის დროს სცნობს; ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება აღსრულებულ უნდა იქნეს მთლად ან მოპასუხის მიერ ცნობილი ნაწილის მიმართ.

192. ამის გარდა, სასამართლოს შეუძლიან, მოსარჩელის თხოვნით, წარმართოს დაუყოვნებელი აღსრულებისათვის:

ა) გადაწყვეტილება, რომელიც ემყარება სანოტარო წესით დამოწმებულ დოკუმენტს, ან ისეთ დოკუმენტს, რომელიც თუმცა დამოწმებული არ არის, მაგრამ ცნობილია მოპასუხის მიერ, უკეთუ კანონის თანახმად სავალდებულო არ არის, ბათილობის რიდით, ამ დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმება;

ბ) გადაწყვეტილება იმ შემთხვევაში, როდესაც აღსრულების დაგვიანებამ, საქმის ვითარების მიხედვით, შეიძლება მნიშვნელოვანი და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს გადახდევინების საქმეს ან თვით აღსრულებაც შეუძლებელი გახადოს;

გ) გადაწყვეტილება 191 მუხ. „ა", „ბ", „გ" და „დ" პუნქტებში ჩამოთვლილ სარჩელებზე — იმ ნაწილის მიმართ, რაც ამ პუნქტებში აღნიშნულ ნორმებს აღემატება.

ყველა, ამა მუხლში ჩამოთვლილ, შემთხვევაში, „ზ" პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, სასამართლოს შეუძლიან დაადგინოს უკუქცევითი მოთხოვნის უზრუნველყოფა მოსარჩელის მიერ, ვინიცობაა გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა.

193. არ შეიძლება გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულება:

ა) ისეთ საქმეზე, რომელშიაც მოპასუხე სახელმწიფო დაწესებულება ან საწარმოა, გარდა 191 მუხ. „ა", „ბ" და „გ" პუნქტებით გათვალისწინებული საქმეებისა და აგრეთვე ისეთი მოთხოვნისა, რაც დამყარებულია ანგარიშგასწორების წიგნაკზე, ან რაც გამომდინარეობს საკრედიტო დაწესებულების საბანკო ოპერაციიდან და საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციის ოპერაციიდან;

ბ) როდესაც დაუყოვნებელ აღსრულებას შეუძლიან გამოიწვიოს ქონების ისეთი ცვლილება, რის შემდეგაც, ვინიცობაა გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა, ქონების წინანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელი ან მეტის-მეტად საძნელო იქნება;

გ) სადგომებიდან მშრომელთა გამოსახლების საქმეზე.

194. გადაწყვეტილება, რომელიც წარმართული არ არის დაუყოვნებელი აღსრულებისათვის, შეიძლება, მოსარჩელის თხოვნით, უზრუნველყოფილ იქნეს ამა კოდექსის 86—91 მუხ. წესისამებრ.

195. ერთ-ერთი მეუღლისათვის ან შვილებისათვის სარჩოს დანიშვნის სარჩელის გამო სასამართლოს შეუძლიან, თუ საჭირო იქნება, საქმის არსებითად გადაწყვეტამდე, დაადგინოს — რა რაოდენობით უნდა აძლიოს ერთმა მეუღლემ მეორეს დროებით სახსარი სარჩენად, და აგრეთვე რომელმა მეუღლეთაგანმა და რა სახსარი უნდა გაიღოს დროებით შვილების რჩენისა და აღზრდისათვის. ეს გადაწყვეტილება აღსრულებულ უნდა იქნეს დაუყოვნებლივ და საამისოდ სასამართლო მისცემს მოსარჩელეს აღსრულების ფურცელს.

196. დადგენილება, რომლითაც გადაწყვეტილია ან უარყოფილია ან ყოვნებელი შესრულება, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ამა კოდექსის 284 მუხლის წესისამებრ.

197. რათა აღსრულებულ იქნეს: ა) სასამართლოს გადაწყვეტილება, ბ) სასამართლოში მომხდარი მორიგება, უკეთუ მისი აღსრულება დამოკიდებული არ არის ისეთ პირობებზე, რომელთა დადგომაც დამტკიცებულ უნდა იქნეს, და გ) დადგენილება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ,—სასამართლო, მხარის თხოვნით, გასცემს აღსრულების ფურცელს.

შენიშვნა 1. რათა დამქირავებელს გადაჰხდეს გასამრჯელო მთლად იმ მოცდენისათვის, რაც გამოწვეული იყო მით, რომ დამქირავებელმა არ შეასრულა გადაწყვეტილება უკანონოდ დათხოვნილი პირის თანამდებობაზე თუ სამუშაოზე აღდგენის შესახებ, სასამართლო (მის მიერ განხილულ საქმეზე) გასცემს აღსრულების ფურცელს საქმის მეორეჯერ არსებითად განუხილველად.

შენიშვნა 2. გადამხდევინებლის თხოვნით სასამართლო აღსრულების ფურცელს უგზავნის უშუალოდ სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღმასრულებელს და წინადადებას აძლევს მას აღასრულოს გადაწყვეტილება.

198. უკეთუ გადაწყვეტილების ძალით გადაცემულ უნდა იქნეს ისეთი ქონება, რაც სხვადასხვა ადგილას არის, ან უკეთუ გადაწყვეტილება დადგენილია რამდენიმე მოსარჩელის სასარგებლოდ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ, სასამართლოს, გადამხდევინებელთა თხოვნით, შეუძლიან გასცეს რამდენიმე აღსრულების ფურცელი, თანაც თვითეულში ზედმიწევნით უნდა აღნიშნოს გადაწყვეტილების ის ნაწილი, რაც აღსრულებულ უნდა იქნეს ამ ფურცლით.

199. დაკარგული აღსრულების ფურცლის დედნის ნაცვლად გადაწყვეტილების დამდგენ სასამართლოს შეუძლიან გასცეს დუბლიკატი; თხოვნა დუბლიკატის გაცემის შესახებ უნდა განიხილოს სახალხო მოსამართლემ ერთპიროვნად, მხარეთა დაბარებით.

ნაწილი მესამე

საქმის წარმოება განსაკუთრებული წესით.

თავი XIX.

ზოგადი დებულებანი.

200. განსაკუთრებული წესით საწარმოებელია შემდეგი საქმე:

ა) სამედიატორო ხელწერილისა და გადაწყვეტილების შესახებ;

ბ) სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების შესახებ;

გ) დაკარგული საწარმდგენელო დოკუმენტიდან გამომდინარე უფლების აღდგენის შესახებ (საქმის წარმოება გამოწვევითი წესით);

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების აღმსრულებელი პირების მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის შესახებ;

ე) ამა თუ იმ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის გარდაცვალებულად აღიარების შესახებ;

ვ) იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურების შესახებ;

ზ) ნებართვის მიცემის შესახებ, რათა უდავო წესით გადახდევინება მიქცეულ იქნეს საკრედიტო დაწესებულებაში ქონებულ მიმდინარე ანგარიშზე და ანაბარზე.

201. განსაკუთრებული წესით საწარმოებელ საქმეს, გარდა უზენაესი სასამართლოს ქვემდებარე საქმეებისა სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენით განთავისუფლების შესახებ და ნოტარიუსის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის შესახებ, სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად განიხილავს საჯარო სამსჯავრო სხდომაზე, თანაც შეამოწმებს დამამტკიცებელ საბუთებს და დაიბარებს დაინტერესებულ პირებს, უკეთუ ეს საჭირო იქნება.

თავი XX.

სამედიატორო ხელწერილი და გადაწყვეტილება.

202. მხარეთა შეთანხმება, რომ მათი დავა, სამოქალაქო სამართლის ნიადაგზე აღძრული, განხილულ იქნეს სამედიატორო სასამართლოში (სამედიატორო ხელწერილი), ბათილობის რიდით, დადებულ უნდა იქნეს წერილობით და წარედგინოს შესამოწმებლად სასოფლო საბჭოს, სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს, სახალხო მოსამართლეს ან ნოტარიუსს.

203. არ შეიძლება სამედიატორო სასამართლოს გადაეცეს გადასაწყვეტად:

ა) მიწის შრომითი სარგებლობის ნიადაგზე აღძრული დავა; ბ) დავა შენობის თაობაზე, გარდა დავისა ისეთი შენობის გაყოფაზე, რაც ეკუთვნის მხარეთ საერთო საკუთრების უფლების ნიადაგზე; გ) სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციის ინტერესებთან დაკავშირებული დავა; დ) მცირეწლოვანისა და, საერთოდ, მეურვეობაში და მზრუნველობაში მყოფ პირთა ინტერესებთან დაკავშირებული დავა; ე) შრომის კონფლიქტი და ვ) დავა, რაც სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს ექვემდებარება.

204. სამედიატორო სასამართლო მოეწყობა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით, რისთვისაც შედგენილ უნდა იქნეს სამედიატორო ხელწერილი.

მხარეთა მარტოოდენ შეთანხმება სამედიატორო სასამართლოში განსაზღვრული საქმისა და იმ დავის გარჩევის შესახებ, რაც შეიძლება აღიძრას, უკეთუ სამედიატორო ხელწერილი შედგენილი არ იყო, არ უსპობს მხარეს უფლებას მიმართოს სათანადო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში აღნიშნული საერთო წესით.

მეცნიერების ეროვნული ბიბლიოთეკა

205. სამედიატორო სასამართლო მოეწყობა, მხარეთა სურვილისამებრ, ერთისა ან რამდენიმე მოსამართლისაგან. უკეთუ სასამართლო რამდენიმე მოსამართლისაგან შესდგება, მხარენი მოსამართლეებს აირჩევენ თანაბარი რიცხვით, ხოლო ეს უკანასკნელნი თავისი მხრით აირჩევენ კიდევ ერთ მოსამართლეს (თავმჯდომარეს).

206. სამედიატორო სასამართლოს წევრად არ შეიძლება იყოს:

ა) ის, ვინც სასამართლოს მიერ უფლება-შეზღუდულია;

ბ) ის, ვინც გამოძიებაში და სამართალშია მიცემული;

გ) ის, ვისაც სასამართლო ან სადისციპლინო წესით ჩამოერთვა სასამართლო თანამდებობაზე სამსახურის უფლება.

207. შეთანხმება სამედიატორო სასამართლოში საქმის გარჩევის შესახებ დადებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული წერილობითი აქტის სახით (სამედიატორო ხელწერილი), რომელშიაც უნდა აღინიშნოს: ა) დავის მონაწილეთა სრული დასახელება და მისამართი; ბ) უფლებამოსილობა იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიატორო ხელწერილი შედგენილია კოლექტივის სახელით, ან და არა თვით მოდავეთა მიერ; გ) სასამართლოში გადასაწყვეტი დავის საგანი; დ) არჩეულ მოსამართლეთა სრული დასახელება, აგრეთვე დასახელება მათ შორის იმისა, ვინც თავმჯდომარედ არის არჩეული (გვარი, სახელი და მამის სახელი); ე) სამედიატორო ხელწერილის შედგენის დრო და ადგილი; ვ) სამედიატორო სასამართლოს წევრად არჩეულის თანახმობა; ზ) დავის ყველა მონაწილისა და სამედიატორო სასამართლოს ყველა წევრის ხელმონაწერი და თ) უკეთუ მხარენი მოისურვებენ, დავის გადაწყვეტის ვადა და უფლება საქმე განიხილოს სამედიატორო სასამართლოს დარჩენილ მოსამართლეთა შედგენილობამ, ვინიცობაა ვინმე მოსამართლეთაგანი უარს იტყვის, ან სადმე წავა, ან და ჩამოცილებულ იქნება.

208. საქმის გათავებამდე მოსამართლეთა შეცვლა არ შეიძლება.

შენიშვნა. უკეთუ ერთ-ერთი მოსამართლე გარდაიცვალა, ან მძიმედ ავად გახდა, ან და წავიდა სადმე, მხარეთ შეუძლიანთ ურთიერთი შეთანხმებით დავის გადაწყვეტა მიანდონ ან სასამართლოს დანარჩენ შედგენილობას, უკეთუ ეს სამედიატორო ხელწერილში აღნიშნული არ არის, ან და აირჩიონ ახალი მოსამართლე ამა კოდექსის 202 მუხლში გათვალისწინებული წესით. ყველა ეს სათანადო წარწერით აღინიშნება სამედიატორო ხელწერილზე, რასაც ხელს მოაწერენ დანარჩენი მოსანართლენი და მხარენი.

209. იმ მონაწილეთ, რომელნიც შეთანხმდნენ, რომ მათი საქმე სამედიატორო სასამარლოში გაირჩეს, უფლება არა აქვთ სამედიატორო ხელწერილით განსაზღვრული ვადის გასვლამდე უარი სთქვან ამაზე, იმ შემთხვევის გარდა, უკეთუ მოდავე დაამტკიცებს, რომ რომელიმე მოსამართლე დაინტერესებულია საქმის ასე თუ ისე გადაწყვეტით, და რომ ეს გარემოება მან, მოდავემ, სამედიატორო ხელწერილზე ხელის მოწერის დროს არ იცოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ სამედიატორო ხელწერილით საქმის დამთავრებისათვის ვადა განსაზღვრული არ არის, საქმის გარჩევა უნდა დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში დღიდან სამედიატორო ხელწერილის ქმნისა.

210. სამედიატორო სასამართლო შეზღუდული არ არის სამართლის წარმოების ფორმალური წესებით, ხოლო მას არ შეუძლიან საქმე გადასწყვიტოს მოდავეთა ახსნა-განმარტების მოუსმენლად ან მათ დაუბარებლად.

211. სამედიატორო სასამართლო არ ჩაითვლება შემდგარად: ა) უკეთუ გასულია 207 და 209 მუხ. აღნიშნული ვადა; ბ) უკეთუ რომელიმე მოსამართლე უარს იტყვის ან წავა სადმე ან და ჩამოცილებულ იქნება სასამართლოსაგან (208 მუხ.) და უკეთუ სამედიატორო ხელწერილში აღნიშნული არ არის, რომ საქმე გაირჩევა დარჩენილ მოსამართლეთა შედგენილობის მიერ; გ) უკეთუ საქმის წარმოების დროს აღმოჩნდება ისეთი გარემოება, რომლის გამოც ამა თუ იმ მოდავის წინააღმდეგ უნდა აღიძრას სისხლის სამართლით დევნა და რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე: დ) უკეთუ ერთ-ერთი მოდავე გარდაიცვლება; ე) უკეთუ სასამართლოს შედგენილობა წყვილეული აღმოჩნდება და გადაწყვეტილებას უმეტესობა არ მიემხრობა.

212. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება ხმის უმეტესობით უნდა იქნეს დადგენილი.

213. სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება შედგენილ უნდა იქნეს წერილობით და მასში აუცილებლად უნდა აღინიშნოს: ა) გადაწყვეტილების გამოტანის წელიწადი, თვე, რიცხვი და ადგილი, აგრეთვე სასამართლოს შედგენილობა; ბ) სამედიატორო ხელწერილი, რომლის თანახმადაც სასამართლო მოქმედობდა; გ) დავის ყველა მონაწილე; დ) სადაო საგანი; ე) სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების შინაარსი.

214. გადაწყვეტილებას ხელს მოაწერს ყველა მოსამართლე. უკეთუ რომელიმე მოსამართლე უარს იტყვის ხელის მოწერაზე, ამას დანარჩენი მოსამართლენი აღნიშნავენ თვით გადაწყვეტილებაზე.

გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს მოაწერს მოსამართლეთა უმეტესობა, სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილებად ითვლება.

215. გადაწყვეტილება გამოეცხადება მოდავეებს და ამის ნიშნად ისინი ხელს მოაწერენ თვით გადაწყვეტილებას. უკეთუ მხარე უარს იტყვის ხელის მოწერაზე ან არაპატივსადები მიზეზით სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება, გადაწყვეტილება მისთვის გამოცხადებულად უნდა ჩაითვალოს, რასაც თავმჯდომარე სათანადოდ აღნიშნავს თვით გადაწყვეტილებაზე.

216. უკეთუ მხარენი შეთანხმდენ, რომ უკვე სასამართლო წესით წარმოებული მათი საქმე სამედიატორო სასამართლოს მეშვეობით გადაწყდეს, ამ უკანასკნელს უნდა მთლად გადაეცეს სასამართლოში წარმოებული დედანი საქმე. ამ შემთხვევაში სასამართლოს ოქმი სამედიატორო ხელწერილის სამაგიერო იქნება.

217. სამედიატორო სასამართლოს საქმე ხუთი დღის განმავლობაში დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა მთლად უნდა წარედგინოს იმ სახალხო სასამართლოს, რომლის რაიონშიაც სამედიატორო სასამართლო მოქმედობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

218. უკეთუ სამედიატორო გადაწყვეტილება დადგენილია სამედიატორო სასამართლოს კომპეტენციის დარღვევით ან უკეთუ იგი ეწინააღმდეგება სამედიატორო ხელწერილში აღნიშნულ არსებითს პირობებს, დაინტერესებულ მხარეს შეუძლიან, ხუთმეტი დღის განმავლობაში დღიდან გადაწყვეტილების გამოტანისა, სთხოვოს იმ სახალხო სასამართლოს, სადაც საქმე წარდგენილია, გააბათილოს სამედიატორო გადაწყვეტილება.

219. ხუთმეტი დღის გასვლის შემდეგ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან სახალხო მოსამართლე განიხილავს, ამა კოდექსის, 201 მუხლის წესისამებრ, სამედიატორო სასამართლოს საქმის წარმოებას, იმის დამოუკიდებლად, განცხადებულია თუ არა თხოვნა გადაწყვეტილების გაბათილების შესახებ, და რა დარწმუნდება, რომ გადაწყვეტილება გამოტანილია სამედიატორო სასამართლოსათვის დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად და რომ იგი, საერთოდ, არ ეწინააღმდეგება კანონს, დაადგენს — გადაწყვეტილება მიიქცეს აღსასრულებლად; აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში გასცემს აღსრულების ფურცელს.

220. სახალხო მოსამართლის დადგენილება სამედიატორო გადაწყვეტილების აღსასრულებლად მიქცევის შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს უზენაეს სასამართლოში კერძო საჩივრის წესით (მუხ. 284).

თავი XXI.

სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლება.

221. განცხადება სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს უზენაეს სასამართლოში.

განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმის დასამტკიცებელი საბუთები, რომ ის ოჯახი, სადაც განმცხადებელი დაიბადა და აღიზარდა, ეკუთნის ისეთ სექტას, რომლის რელიგიური მოძღვრებაც უკრძალავს და უკრძალავდა 1917 წლამდე სამხედრო სამსახურის მოხდას იარაღით ხელში.

ამგვარი განცხადება შეტანილ უნდა იქნეს სასამართლოში არა უადრეს $2^1/_2$ წლისა და არა უგვიანეს ერთი წლისა ჯარში გაწვევის ვადამდე.

222. საქმე სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების შესახებ განხილულ უნდა იქნეს სასამართლოში განმცხადებლის დაბარებით და პროკურატურის წარმომადგენლის აუცილებელი მონაწილეობით. ამგვარ საქმეზე წარმომადგენელთა მონაწილეობა არ შეიძლება.

223. სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების საქმის განხილვის დროს სასამართლო მიიწვევს ექსპერტს; აგრეთვე მას შეუძლიან, საქმის გარემოებათა მიხედვით, მოითხოვოს კომპეტენტურ დაწესებულებათა და პირთა დასკვნა.

224. ასლი სასამართლოს დადგენილებისა სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლების შესახებ მიეცემა იმას, ვისაც ეს დადგენილება შეეხება, სათანადო გამწვევ კომისიაში წარსადგენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ ი XXII.

დაკარგული საწარმდგენელო დოკუმენტიდან გამომდინარე უფლების აღდგენა.

(საქმის წარმოება გამომწვევი წესით).

225. იმ პირს, ვინც დაინტერესებულია, რომ დაკარგული საწარმდგენელო დოკუმენტი მოსპობილად იქნეს ცნობილი, შეაქვს განცხადება იმ ადგილის სახალხო სასამართლოში, სადაც დოკუმენტის გამცემი დაწესებულება ან პირი იმყოფება.

226. განცხადებაში უნდა აღინიშნოს: ა) განმცხადებლის ვინაობა და საცხოვრებელი ადგილი; ბ) დაკარგული დოკუმენტის სახელწოდება და განმასხვავებელი ნიშნები, ან და განცხადებას თან უნდა დაერთოს დოკუმენტის ასლი; გ) რა გარემოებაში დაიკარგა დოკუმენტი; დ) თხოვნა დოკუმენტის დაკარგულად ცნობის შესახებ.

227. უკეთუ სახალხო მოსამართლე სცნობს, რომ დოკუმენტი დაკარგულია, იგი დაადგენს: ა) გამოქვეყნებულ იქნეს, რომ სასამართლოში შეტანილია განცხადება დოკუმენტის დაკარგვის შესახებ და რომ სასამართლო იწვევს იმ პირს, ვის ხელშიაც დოკუმენტია, თანაც საამისოდ უნიშნავს ერთი წლის ვადას დღიდან განცხადების გამოქვეყნებისა, უკეთუ დაკარგულია ფასიანი ქაღალდების საანაბარო ან საგირავნო საწარმდგენელო ქვითარი, საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული, და სამი თვის ვადას იმავე დღიდან სხვა შეთხვევაში, ბ) დოკუმენტით ვალდებულ პირს აეკრძალოს ამ დოკუმენტით ფულის გადახდა.

შენიშვნა. დაკარგული დოკუმენტით ვალდებულ პირს შეუძლიან გადასახდელი შეიტანოს სასამართლოს დეპოზიტად.

228. უკეთუ სახალხო მოსამართლე არ დააკმაყოფილებს აღნიშნულ თხოვნას, მის დადგენილებაზე შეიძლება ხუთი დღის ვადაზე შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი უზენაეს სასამართლოში.

229. პუბლიკაციაში დოკუმენტის დაკარგვის შესახებ უნდა აღინიშნოს: ა) განმცხადებლის სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი; ბ) სახელწოდება და განმასხვავებელი ნიშნები დოკუმენტისა, რომლის დაკარგვის შესახებაც განცხადებაა შეტანილი სასამართლოში; გ) 227 მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაშიაც იმ პირმა, ვის ხელშიც დოკუმენტია, უნდა შეიტანოს სასამართლოში განცხადება ამ დოკუმენტზე დამყარებული თავისი უფლების შესახებ; დ) აკრძალვა დოკუმენტით ვალდებული პირისათვის ამ დოკუმენტით გადასახდელის გასტუმრებისა იმ ვადის განმავლობაში, რაც სასამართლოს მიერ არის განსაზღვრული.

განცხადება განმცხადებლის ხარჯით უნდა დაიბეჭდოს ერთხელ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოფიციალურ ორგანოში ან ადგილობრივ ოფიციალურ ბეჭდვითს ორგანოში.

230. იმ პირმა, ვის ხელშიც დაკარგული დოკუმენტია, 229 მუხ. დაწესებული ვადის გასვლამდე უნდა შეიტანოს იმ სახალხო სასამართლოში, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმაც დადგენილება გამოიტანა 227 მუხ. წესისამებრ, განცხადება იმის შესახებ, რომ დოკუმენტი მის ხელშია, და თანაც წარადგინოს დედანი დოკუმენტი ან შემოწმებული ასლი.

231. უკეთუ 230 მუხ. აღნიშნული განცხადება დაწესებული ვადის გასვლამდე შეიტანება სასამართლოში, სახალხო მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას, რითაც დოკუმენტის დაკარგვის განმცხადებელს მიეცემა ვადა იმისათვის, რომ მან საერთო წესით აღძრას სარჩელი ამ დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ იმ პირის წინააღმდეგ, ვის ხელშიაც დოკუმენტია, და ეს ეცნობება უკანასკნელს. აღნიშნული ვადა ორ თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

232. უკეთუ 227 მუხ. „ა“ პუნ. დაწესებულ ვადაზე 230 მუხ. აღნიშნული განცხადება არ იქნა შეტანილი სახალხო სასამართლოში, ეს უკანასკნელი დაადგენს, რომ ყოველივე უფლება, რაც კი დაკარგული დოკუმენტიდან გამომდინარეობს, მოსპობილია და რომ დაკარგული დოკუმენტის გამცემი პირი ვალდებულია მიხცეს განმცხადებელს დაკარგულის ნაცვლად ახალი დოკუმენტი.

233. 231 და 232 მუხლისამებრ საქმის განხილვა ეცნობება როგორც განმცხადებელს, ისე დაკარგული დოკუმენტის გამცემ დაწესებულებას ან პირს, ხოლო მხარეთა გამოუცხადებლობა ვერ შეაჩერებს საქმის გადაწყვეტას.

234. სახალხო მოსამართლის დადგენილება, გამოტანილი 231 და 232 მუხლისამებრ, შეიძლება ხუთმეტი დღის ვადაზე განსაჩივრებულ იქნეს საკასაციო-სარევიზიო წესით უზენაეს სასამართლოში.

225. უკეთუ სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაზე განმცხადებელი არ აღძრავს სარჩელს იმ პირის წინააღმდეგ, ვის ხელშიაც დოკუმენტია, სასამართლოს მიერ გამოწვევითი საქმისწარმოების წესისამებრ მიღებული ღონისძიება (227 მუხ. „ბ“ პუნქტი) ჰკარგავს ძალას; თანაც იმ პირს, რომლის ხელშიაც დოკუმენტია, უფლება ეძლევა გადაახდევინოს განმცხადებელს ის ზარალი, რაც მას მოუვიდა სასამართლოს მიერ აღნიშნული ღონისძიების მიღების გამო.

236. იმ პირს, ვის ხელშიაც დაკარგული დოკუმენტია, უკეთუ იგი რაიმე მიზეზის გამო დროზე არ განაცხადებს ამ დოკუმენტიდან გამომდინარე თავის უფლებას (230 მუხ), შეუძლიან, როდესაც სასამართლოს დადგენილება აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე უფლების მოსპობის შესახებ ძალაში შევა, აღძრას ამ სასამართლოში სარჩელი უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც უფლება მიეცა მიიღოს ახალი დოკუმენტი დაკარგულის ნაცვლად.

237. საქმის წარმოება გამოწვევითი წესით შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ ისეთი სახის დოკუმენტს, რომელზედაც ეს წესი გავრცელებულია სპეციალური კანონით.

238. თხოვნა დაკარგული (დაკარგვა, გატაცება ან მოსპობა) თამასუქიდან გამომდინარე უფლების აღდგენის შესახებ განიხილება ამა კოდექსის 225—236 მუხლების თანახმად ქვემომდევნო სპეციალური წესის შეფარდებით.

239. გინცხადებაში თამასუქის დაკარგულად ცნობის შესახებ აღნიშნულ უნდა იყოს მისი არსებითი ნიშნები: თამასუქის თანხა, გაცემის დრო, გადახდის ვადა და ადგილი (უკეთუ ადგილი აღნიშნული იყო), თამასუქის გამცემისა, თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასუქით ვალდებულ სხვა პირთა და თამასუქის პირველი შემძენის დასახელება, აგრეთვე ამ პირთა საცხოვრებელი ადგილი, უკეთუ განმცხადებელმა ეს იცის.

240. სახალხო მოსამართლის დადგენილება პუბლიკაციის თაობაზე, რომლითაც გამოიწვევა ის პირი, ვის ხელშიაც თამასუქია, დაუყოვნებლივ ეცნობება თამასუქით ვალდებულ პირთ, თუ სახალხო მოსამართლემ იცის მათი მისამართი; უკეთუ თამასუქით ფულის გადახდის ვადა ჯერ არ დამდგარა, სახალხო მოსამართლის დადგენილება ეცნობება აგრეთვე სათანადო სახელმწიფო სანოტარო კონტორას გადახდის ადგილის მიხედვით.

241. თამასუქის დაკარგვის პუბლიკაციაში აღნიშნულ უნდა იყოს თამასუქის არსებითი ნიშნები (მუხ. 239) და აგრეთვე ის, თუ რომელმა სასამართლომ და როდის გამოიტანა დადგენილება თამასუქის დაკარგულად ცნობის შესახებ.

თავი XXIII.

საჩივარი ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების აღმასრულებელი ორგანოების მოქმედებაზე.

242. საჩივარი ნოტარიუსისა თუ სახალხო მოსამართლის ისეთ მოქმედებაზე, რაც სახელმწიფო ნოტარიატის დებულებაშია გათვალისწინებული, ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საწარმოებლად მიღებულია დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფა, და გარდა ამა კოდექსის 244 მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული შემთხვევებისა, მრნაწილე პირის მიერ შეიტანება უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიაში და განიხილება კერძო საჩივართა განხილვის წესით.

სანოტარო კონტორის მიერ საწარმოებლად დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფის მიღება არ განისაჩივრება.

საჩივარი სასოფლო საბჭოს სანოტარო მოქმედებაზე ან სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის გამო შეიტანება იმ სახალხო მოსამართლესთან, რომლის რაიონშიაც აღნიშნული სასოფლო საბჭოა; ამ საჩივარს სახალხო მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნად, დაინტერესებულ პირთა დაბარებით.

სახალხო მოსამართლის დადგენილება ასეთ საქმეზე არ განისაჩივრება.

243. საჩივრის შესატანად დაწესებულია ხუთმეტი დღის ვადა იმ დღიდან, როდესაც მოჩივარი გაიგებს ნოტარიუსის ან მისი მენაცვლე ორგანოს მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებას.

საჩივარი შეიტანება იმ ორგანოში, რომლის მოქმედებაც განსაჩივრებულია. ამ ორგანომ, არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღების დღიდან, საჩივარი საქმის არსებითი ახსნა-განმარტებით და დედანი საქმით ან საჭირო დოკუმენტების ასლების თანდართვით, უნდა წარუდგინოს სასამართლოს. საჩივრის შეტანა შეიძლება უშუალოდ სათანადო სასამართლოშიაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

244. საჩივარს სააღსრულებო წარწერის გაკეთებაზე უარის გამო ან სახელმწიფო ნოტარიატის დებულებით გათვალისწინებული წესების დარღვევით გაკეთებაზე დაინტერესებული მხარე შეიტანს 242—243 მუხ. წესისამებრ.

სააღსრულებო წარწერაზე დამყარებული მოთხოვნის შესახებ დავის აღძვრა მოვალეს შეუძლიან მარტოოდენ სასარჩელო წესით.

უკეთუ სარჩელი აღძრულია, სასამართლოს შეუძლიან, სარჩელის უზრუნველყოფის წესისამებრ, შეაჩეროს გადახდევინება, რაც სააღსრულებო წარწერის ძალით უნდა მოხდეს.

თავი XXIV.

ამა თუ იმ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და უგზო-უკვლოდ დაკარგულის გარდაცვალებულად აღიარება.

245. უკეთუ ესა თუ ის პირი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, აგრეთვე უკეთუ საფიქრებელია, რომ უგზო-უკვლოდ დაკარგული ომში ან სხვა გარემოებათა შორის გარდაიცვალა, თხოვნას ამა თუ იმ პირის სასამართლო წესით უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ დაინტერესებული პირი თუ დაწესებულება შეიტანს სახალხო სასამართლოში უგზო-უკვლოდ დაკარგულის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

246. განცხადების მიღებისას სახალხო მოსამართლე შეეკითხება უგზო-უკვლოდ დაკარგულის მახლობელ პირებს, რომელთაც შეიძლება ჰქონდეთ ცნობა დაკარგულის სამყოფელი ადგილის შესახებ, აგრეთვე, მისი საცხოვრებელი ადგილისა და სამსახურის მიხედვით, თანამდებობის პირებს და, ამის შემდეგ, გამოაკრავს სახალხო სასამართლოს სადგომში განცხადებას უგზო-უკვლოდ დაკარგულის გამოწვევის თაობაზე; ასეთსავე განცხადებას სასამართლო გაგზავნის მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოებში სასამართლოს სამყოფელი ადგილისა, უგზო-უკვლოდ დაკარგულის უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილისა და დაბადების და მიწერის ადგილის მიხედვით.

შენიშვნა. დაინტერესებულ პირთ შეუძლიანთ მოათავსონ ხსენებული განცხადება პერიოდულ ბეჭდვითს ორგანოში.

247. განცხადებაში უნდა აღინიშნოს:

1. იმ პირის სახელი, მამის სახელი და გვარი და ხელობა, რომლის უგზო-უკვლოდ დაკარგვის აღიარების შესახებ შეტანილია თხოვნა;

2) გამოწვევა უგზო-უკვლოდ დაკარგულისა, რომ იგი გამოცხადდეს სასამართლოში ან აცნობოს სასამართლოს თავისი სამყოფელი ადგილი, და

3) მოწოდება ყველა იმ პირის მიმართ, ვისაც მოეპოვება ცნობა უგზო-უკვლოდ დაკარგულის სამყოფელი ადგილის ან სიკვდილის შესახებ, მიაწოდოს ეს ცნობა სასამართლოს.

248. უკეთუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან სასამართლოში განცხადების გამოკვრისა მიღებულ არ იქნას სარწმუნო ცნობა იმ პირის სამყოფელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგილის ან სიკვდილის შესახებ, რომლის უგზო-უკვლოდ დაკარგვის აღიარების თაობაზე შეტანილია თხოვნა, სახალხო მოსამართლე დანიშნავს სხდომას, რომელზედაც გამოიწვევს განმცხადებელს, განცხადებაში დასახელებულ მოწმეთ და აგრეთვე იმ პირებს, რომელთა დაკითხვასაც საჭიროდ სცნობს, და გამოიტანს დადგენილებას ხსენებული პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ.

249. მას შემდეგ, რაც სასამართლო გამოიტანს დადგენილებას ამა თუ იმ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ, იგი აცნობებს ამას 246 მუხ. აღნიშნული წესისამებრ მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ორგანოს და გამოაკრავს სასამართლოში განცხადებას ამ. პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ.

250. უკეთუ ორი წლის გასვლის შემდეგ, დღიდან ამა თუ იმ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ სასამართლოში განცხადების გამოკვრისა, იგი არ დაბრუნდება ან თავისი სამყოფელი ადგილის შესახებ ცნობას არ გამოგზავნის, დაინტერესებულ პირს თუ დაწესებულებას უფლება აქვს აღძრას სასამართლოს წინაშე საკითხი უგზო-უკვლოდ დაკარგულის გარდაცვალებულად აღიარების შესახებ.

შენიშვნა. უკეთუ დადგენილება ამა თუ იმ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ სასამართლომ დაამყარა იმ მოსაზრებას, რომ ესა თუ ის პირი დაღუპულია ისეთ გარემოებაში, რაც ჰბადებს რწმენას, რომ იგი მოკვდა განსაზღვრული უბედური შემთხვევით, ამ მუხლში აღნიშნული ვადა შემცირებულ უნდა იქნეს ექვს თვემდე დღიდან ამა თუ იმ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ სასამართლოში განცხადების გამოკვრისა.

251. ამა თუ იმ პირის გარდაცვალებულად აღიარების შესახებ დადგენილების გამოტანისათვის სასამართლო ხელმეორედ შეეკითხება, 246 მუხ. წესისამებრ, ყველა იმ ადგილს და პირს, რომელთაც შეუძლიანთ ცნობის შეტყობინება უგზო-უკვლოდ დაკარგულის სამყოფელი ადგილის შესახებ, და ხელახლად გამოაკრავს განცხადებას.

252. უკეთუ ერთი თვის განმავლობაში დღიდან სასამართლოში განცხადების გამოკვრისა მიღებულ არ იქნა დამადასტურებელი ცნობა იმ პირის სამყოფელი ადგილის ან სიკვდილის შესახებ, რომლის გარდაცვალებულად გამოცხადების თაობაზე შეტანილია თხოვნა, სასამართლო დანიშნავს საჯარო სხდომას საქმის განსახილველად. რომელზედაც დაიბარებს განმცხადებელს, განცხადებაში აღნიშნულ მოწმეთ და აგრეთვე იმ პირთ, რომელთა დაკითხვასაც საჭიროდ სცნობს თვით სასამართლო, და გამოიტანს დადგენილებას ხსენებული პირის გარდაცვალებულად აღიარების შესახებ.

253. ამა თუ იმ პირის გარდაცვალებულად აღიარების შესახებ დადგენილების გამოტანის შემდეგ სასამართლო გამოაკრავს ამის თაობაზე განცხადებას სასამართლოს შენობაში.

254. ამა თუ იმ პირის გარდაცვალებულად აღიარების შესახები სასამართლოს დადგენილება დაუყოვნებლივ ეცნობება მოქალაქობრივი მდგომარეობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტების ჩამწერ ადგილობრივ ორგანოს გარდაცვალებულთა ჩასაწერ დავთარში შესატანად.

255. სასამართლოს მიერ გარდაცვალებულად აღიარებულ პირის სიკვდილის დღედ ჩაითვლება სასამართლოს მიერ ამის შესახებ დადგენილების გამოტანის დღე.

256. იმ პირს, რომელიც გარდაცვალებულად აღიარებული იქნა და გამოცხადდა სასამართლოს მიერ მისი გარდაცვალებულად აღიარების შემდეგ, უფლება აქვს, მიუხედავად მისი გამოცხადების ვადისა, მიიღოს მთელი დარჩენილი ქონება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ ცნობილ იქნება, რომ გამოუცხადებლობა მოხდა არაპატივსადები მიზეზის გამო.

თ ა ვ ი XXV.

იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურება.

257. თხოვნა იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადასტურების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს იმ რაიონის სახალხო სასამართლოში, სადაც მთხოვნელი ცხოვრობს.

258. ამ საქმეების რიცხვს ეკუთვნის:

ა) საქმე ამა თუ იმ პირის გვარისა, სახელისა, მამის სახელისა, დაბადების დროისა და ოჯახური მდგომარეობის დადასტურების შესახებ, უკეთუ მისთვის შეუძლებელია მიიღოს ისეთი რამ დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც საადმინისტრაციო ორგანოს შეეძლოს მისცეს მას ვინაობის მოწმობა;

ბ) საქმე დაბადებისა, სიკვდილისა ან სხვა რამ ფაქტის დადასტურების შესახებ, რაც უნდა ჩაიწეროს მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩასაწერ დავთარში უკეთუ ეს ჩაწერილი არ არის;

გ) საქმე ამა თუ იმ სასწავლებელში განათლების მიღების ფაქტის დადასტურების შესახებ;

დ) საქმე სხვა ისეთი გარემოების დადასტურების შესახებ, რასაც იურიდიული მნიშვნელობა აქვს, უკეთუ ამ გარემოების დასადასტურებლად კანონით სხვა წესი არ არის გათვალისწინებული.

259. თხოვნას დაერთვის წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები, ან თხოვნაში დასახელებულ უნდა იქნენ მოწმენი.

260. წარდგენილი დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებისას, სახალხო მოსამართლე ერთპიროვანი დადგენილებით დაადასტურებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს.

261. ასლი სახალხო სასამართლოს დადგენილებისა, რომლითაც დადასტურებულია ისეთი ფაქტი, რაც მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტში უნდა ჩაიწეროს, გაეგზავნება მოქალაქობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერ ადგილობრივ ორგანოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი XXVI.

საკრედიტო დაწესებულებებში ქონებულ მიმდინარე ანგარიშზე და ანაბარზე უდავო გადასახდევინებელის მიქცევისათვის ნებართვის მიცემის წესი.

262. უკეთუ ისეთი გადახდევინების დროს, რაც, კანონის თანახმად, უდავო წესით სწარმოებს, საჭიროა ეს გადახდევინება მიიქცეს საკრედიტო დაწესებულებაში ქონებულ მიმდინარე ანგარიშზე და ანაბარზე, გადახდევინების მიმქცევი ორგანო თავის დადგენილებას გადახდევინების შესახებ წარმართავს სახალხო სასამართლოში, საკრედიტო დაწესებულების სამყოფელი ადგილის მიხედვით, გადახდევინების მიქცევისათვის ნებართვის მისაღებად.

263. სახალხო სასამართლოსათვის წარსადგენ დადგენილებაში აღინიშნება: ა) სახელდობრ ვის უნდა გადაჰხდეს თანხა; ბ) რა საფუძველზე უნდა გადაჰხდეს; გ) რომელ საკრედიტო დაწესებულებაშია თანხა, რაზედაც გადახდევინება უნდა მიიქცეს.

264. ნებართვის გაცემის თაობაზე სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად გამოიტანს დადგენილებას, რომლის ასლიც გაეგზავნება გადამხდევინებელ დაწესებულებას. ეს უკანასკნელი, ამ ნებართვის თანახმად, მიმართავს უშუალოდ მოთხოვნით სათანადო საკრედიტო დაწესებულებას.

265. ზემოაღნიშნული წესებისამებრ იმ ორგანოს, რომელიც აწარმოებს გადახდევინებას უდავო წესით, ეძლევა ნებართვა იმის თაობაზე ცნობის მიღებისათვის, თუ მის მოვალეს საკრედიტო დაწესებულებაში რა მიმდინარე ანგარიში და რა ანაბარი აქვს.

ნაწილი მეოთხე

სასამართლოს გადაწყვეტილების განსაჩივრება და გადასინჯვა

თავი XXVII.

სასამართლოს გადაწყვეტილების განსაჩივრება.

266. საქმეში მონაწილე პირს შეუძლიან სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეიტანოს საკასაციო საჩივარი, ხოლო პროკურატურის ორგანოს—საკასაციო პროტესტი, უზენაეს სასამართლოში. საჩივარი (პროტესტი) შეიტანება გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში; საჩივარს უნდა დაერთოს იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეცაა მოწინააღმდეგე მხარეზე.

267. არ შეიძლება განსაჩივრება და განპროტესტება საკასაციო-სარევიზიო წესით შემდეგი გადაწყვეტილებებისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ფულად სარჩელზე, რომლის ფასიც 100 მან. არ აღემატება, გარდა ალიმენტების სარჩელისა;

ბ) სალიკვიდაციო კომისიის (ლიკვიდატორების) სარჩელზე სახელმწიფო დაზღვევის ორგანოს ან დამზღვევი სალაროს წინააღმდეგ—კაპიტალიზებული გადასახადის თანხის გამოანგარიშების გადასინჯვის თაობაზე იმ წესის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია „სალიკვიდაციოდ დანიშნულ საწარმოსაგან სიკვდილისა და დაშავების გამო გადასახდევინებელი პენსიისა და სხვა გადასახდელის კაპიტალიზების შესახებ“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. ოქტომბრის 30-ის დადგენილების მე-8 მუხლში (კან. კრ. 1929 წ. 22 №-ი, მუხ. 261);

გ) ფულად სარჩელზე, რაც აღიძვრის დაქირავებული შრომის გამოყენების ნიადაგზე: ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობაში მომუშავესა (მოჯამაგირე და მწყემსი) და დამქირავებელს შორის და რომლის თანხაც 50 მან. არ აღემატება, უკეთუ სხვა შემთხვევაში—არა უმეტეს მომუშავის თვიური სამუშაო ხელფასისა, ხოლო ეს სარჩელები დაკავშირებული არ არის მომუშავის დათხოვნასთან;

დ) ისეთ საქმეზე, რაც ეხება ტაბულის თანახმად დასადებ გადასახდელს, გარდა დათხოვნისა;

ე) განმეორებითი გადაწყვეტილებისა, რაც შრომის საქმეზე გამოტანილია საკასაციო-სარევიზიო ინსტანციის დირექტივების შესაბამისად.

შენიშვნა. ამა მუხლის „ე“ ლიტერაში აღნიშნულ მოტივზე დამყარებული სახალხო მოსამართლის უარი—მიიღოს საკასაციო საჩივარი თუ პროტესტი შრომის საქმის შესახებ განმეორებით გამოტანილ გადაწყვეტილებაზე—შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს კერძო საჩივრის წესით; ამასთანავე კერძო საჩივარს უნდა დაერთოს დაბრუნებული საკასაციო საჩივარი ყველა დანართითურთ.

268. უზენაესი სასამართლოს ის გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე, რაც გამოტანილია პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით, არ განისაჩივრება საკასაციო-სარევიზიო წესით;

269. საჩივარში აღნიშნულ უნდა იქნეს:

ა) გადაწყვეტილება, რომელიც მოჩივრის აზრით სწორე არ არის (მუხ. 179);

ბ) ის, თუ რით არ არის გადაწყვეტილება სწორე;

გ) თხოვნა მოჩივრისა, რომ გადაწყვეტილება მთლად ან ნაწილობრივ გაუქმებულ იქნეს.

270. გადაწყვეტილების გაუქმებას საფუძვლად შეიძლება დაედვას:

ა) მომქმედი კანონისა, კერძოდ ამა კოდექსის მე-5 მუხლის, დარღვევა ან არასწორე შეფარდება, ან

ბ) აშკარა წინააღმდეგობა გადაწყვეტილებასა და საქმის იმ ფაქტიურ გარემოებას შორის, რაც საქმის გადამწყვეტმა სასამართლომ გამოარკვია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

271. საკასაციო საჩივრისა და საკასაციო პროტესტის შესატანად დაწესებულია ხუთმეტი დღის ვადა გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან.

272. მიღებულ საჩივარს და მთელ საქმეს სასამართლო გაუგზავნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან; ამავე დროს საჩივრის ასლს გაუგზავნის მოწინააღმდეგე მხარის ყველა მონაწილეს.

273. საკასაციო-სარევიზიო ინსტანციაში საქმის განხილვის დღემდე მეორე მხარეს შეუძლიან შეიტანოს უშუალოდ ამ ინსტანციაში საკასაციო საჩივრის გამო წერილობითი ახსნა განმარტება ასლითურთ. ასლი გაეგზავნება საკასაციო საჩივრის შემტანს.

274. პროცესის მონაწილეთ შეუძლიანთ არა უგვიანეს პირველი სხდომისა, რაც საქმის გამო უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში შესდგება, მიემხრნენ იმ მხარის საჩივარს, რომლის მონაწილენიც არიან.

275. საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საქმეზე განიხილება მხარეთა დაუბარებლად, ხოლო, რათა საქმის განხილვის დრო მათ ეცნობოთ, განსახილველად დანიშნულ საქმეთა სია გამოიკიდება სასამართლოს შენობაში არა უგვიანეს ათი დღისა სამსჯავრო სხდომამდე. ამა მუხლში აღნიშნული სიის ასლები გაეგზავნებათ საქმეების გადამწყვეტ სასამართლოებს ისეთი ვარაუდით, რომ შესაძლებელ იყოს საქმეთა სია ადგილობრივ სასამართლოში გამოიკიდოს არა უგვიანეს ათი დღისა სამსჯავრო სხდომამდე.

შენიშვნა 1. ქალაქ ტფილისის სახალხო სასამართლოებს ამა მუხლში აღნიშნული სიები არ გაეგზავნებათ.

შენიშვნა 2. საკასაციო საჩივარი შრომის საქმეზე განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ხუთი დღისა საჩივრის მიღების დღიდან. სია განსახილველად დანიშნული საკასაციო საჩივრებისა შრომის საქმეებზე გამოიკიდება უზენაესი სასამართლოს შენობაში არა უგვიანეს სამი დღისა სამსჯავრო სახდომამდე.

276. მხარეთა გამოუცხადებლობა საქმის განხილვას ვერ დააბრკოლებს, უკეთუ 275 მუხ. მოთხოვნა შესრულებულია.

277. საკასაციო-სარევიზიო წესით საქმის განხილვის დროს პროკურორს შეუძლიან სამსჯავრო სხდომაზე მისცეს თავისი დასკვნა საქმის გამო როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად.

278. საკასაციო საჩივრის განხილვის დროს ამ საჩივარში აღნიშნული საბაბი უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს ვერ შეჰბორკავს; იგი განიხილავს სარევიზიო წესით საქმის როგორც განსაჩივრებულ, ისე არა განსაჩივრებულ ნაწილს; ამასთანავე, გადაწყვეტილების ის ნაწილი, რაც განსაჩივრებული არ არის, შეიძლება გაუქმებულ იქნეს იმ მხარის მიმართ, რომელმაც იგი არ განასაჩივრა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვეულია სახელმწიფოს და მშრომელი მასების ინტერესი.

279. უკეთუ საკასაციო-სარევიზიო ინსტანცია სცნობს, რომ გადაწყვეტილება სწორეა, იგი დასტოვებს მას ძალაში. არც ერთი არსებითად სწორე გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწყვეტილება არ შეიძლება გაუქმებულ იქნეს მარტოოდენ ფორმალური მოსაზრებით.

უკეთუ უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ სცნო, რომ გადაწყვეტილება სწორე არ არის, მას შეუძლიან:

ა) გააუქმოს გადაწყვეტილება მთლად ან ნაწილობრივ და გადასცეს საქმე ხელახალი განხილვისათვის სხვა ან იმავე შედგენილობის სასამართლოს;

ბ) მოსპოს საქმის წარმოება, უკეთუ სარჩელის უფლება არ არსებობს, ან საქმე არ ექვემდებარება სასამართლოს;

გ) გამოიტანოს გადაწყვეტილება არსებითად, საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაუცემლად, უკეთუ საქმის ფაქტიური მხარე საკმარისად ნათელია, უკეთუ საჭიროა მხოლოდ გადაწყვეტილების მოტივირების შეცვლა (კანონის აღნიშვნა და სხვ.), ან უკეთუ პირველმა ინსტანციამ საქმის განმეორებით განხილვის დროს დაარღვია საკასაციო-სარევიზიო ინსტანციის დირექტივები, რაც გაცემულ იქნა პირველი გადაწყვეტილების გაუქმების დროს.

280. საკასაციო-სარევიზიო ინსტანციას უფლება აქვს გამოიტანოს განხილული საქმის გამო კერძო დადგენილება სასამართლოს იმ შეცდომათა აღნიშვნით, რაც, მათი ხასიათის მიხედვით, საბაბად არ იქნა ცნობილი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის; ასეთი დადგენილება გამოიტანება იმ მიზნით, რათა შემდეგში თავიდან აცილებულ იქნეს ასეთი შეცდომანი სასამართლო პრაქტიკაში.

281. უკეთუ უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგია საქმის განხილვის დროს სცნობს, რომ საჭიროა კანონის აზრი განმარტებულ იქნეს სახელმძღვანელოდ, საქმის გარჩევა გადაიდება, ვიდრე კანონის აზრი უზენაესი სასამართლოს პლენუმში არ იქნება განმარტებული.

282. საკასაციო-სარევიზიო ინსტანციის დადგენილებაში აუცილებლად აღნიშნულ უნდა იქნეს მოკლედ, მაგრამ ამომწურავად, ის მოსაზრებანი, რის მიხედვითაც პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება თუ დადგენილება გაუქმებულ იქნა. ის, რაც დადგენილებაში საამისოდ იქნება აღნიშნული, სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელიც საქმეს გადასინჯავს.

283. საკასაციო კოლეგიის სხდომის თავმჯდომარეს ან საკასაციო კოლეგიის წევრს, რომელიც მონაწილეობას იღებს დადგენილების გამოტანაში, ხოლო თანახმა არ არის ამ დადგენილებისა, უფლება აქვს წარადგინოს თავისი განსაკუთრებული აზრი წერილობით. ამ განსაკუთრებულ აზრს, სამი დღის განმავლობაში დღიდან დადგენილების გამოტანისა, მისი განმცხადებელი მოახსენებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც იმავე ვადის განმავლობაში ან დასტოვებს განსაკუთრებულ აზრს უშედეგოდ, ან წარმართავს საქმეს განსახილველად უზენაესი სასამართლოს პლენუმში.

284. საკასაციო საჩივრის დამოუკიდებლად შეიძლება შეტანილ იქნეს კერძო საჩივარი ამა კოდექსის სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში და აგრეთვე ისეთ დადგენილებაზე, რომლითაც ისპობა საქმის შემდგომი მსვლელობა (დადგენილება საქმის შეჩერების შესახებ, დადგენილება, რომლითაც საკასაციო საჩივარი მიღებულ არ იქნა, დადგენილება საქმის მოსპობის შესახებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ვადის აღდგენაზე უარის თქმის შესახებ და სხვ.). კერძო საჩივარი შეიტანება ხუთი დღის ვადაზე განსაჩივრებული დადგენილების გამოტანის დღიდან. საჩივრის შეტანას და წარმართვას შეეფარდება ამ თავში აღნიშნული წესები.

285. კერძო საჩივრებს განიხილავს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგია სამსჯავრო სხდომაზე, მხარეთა დაუბარებლად. განსახილველ კერძო საჩივართა სია გამოიკიდება სასამართლოს შენობაში არა უგვიანეს სამი დღისა სამსჯავრო სხდომამდე.

უკეთუ სამოქალაქო საკასაციო კოლეგია სცნობს, რომ საჩივარი უსაფუძვლოა, იგი დასტოვებს მას უშედეგოდ; ხოლო უკეთუ სცნობს, რომ საჩივარი შესაწყნარებელია, სამოქალაქო საკასაციო კოლეგია, გააუქმებს-რა არასწორე დადგენილებას, თვით გადასწყვეტს კერძო საკითხს საქმეში ქონებული მასალის მიხედვით, საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოში გადაუცემლად ხელმეორედ განხილვისათვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც საჭიროა ფაქტიურ გარემოებათა გამორკვევა.

თ ა ვ ი XXVIII.

სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა.

ვ ა რ ი 1.

სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

286. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების გადასინჯვის საკითხს, რაზედაც საკასაციო საჩივარი უშედეგოდ იქნა დატოვებული, ან რასაც საკასაციო ვადა გაუვიდა, გადასწყვეტს უზენაესი სასამართლო.

287. გადაწყვეტილება შეიძლება გადასინჯულ იქნეს მხოლოდ შემდეგ შემთხვევაში:

ა) როდესაც აღმოჩნდება ახალი გარემოება, რასაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და რაც განმცხადებლისათვის ცნობილი არ იყო;

ბ) როდესაც სასამართლოს განაჩენით დადასტურებულ იქნება გადაწყვეტილ საქმეში მოწმის ტყუილი ჩვენება, მხარისა, მისი წარმომადგენლის ან ექსპერტის დანაშაულებრივი ქმედობა, ან სასამართლოს იმ წევრთა დანაშაულებრივი ქმედობა, რომელთაც საქმეში მონაწილეობა მიუღიათ, — უკეთუ ამ გარემოებას საქმის გადაწყვეტაზე გავლენა მოუხდენია;

გ) როდესაც გადაწყვეტილება დამყარებულია ისეთ დოკუმენტზე, რაც შემდეგში სასამართლოს განაჩენით სისხლის სამართლის საქმის გამო ყალბ დოკუმენტად იქნა ცნობილი, ან როდესაც გაუქმებულ იქნა სასამართლოს ან სხვა დაწესებულების ის დადგენილება, რაც გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

288. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის საკითხი შეიძლება აღძრულ იქნეს უზენაესი სასამართლოს (მისი სამოქალაქო საკასაციო კოლეგიის) წინაშე როგორც პროცესში მონაწილე მხარის თხოვნით, ისე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ან რესპუბლიკის პროკურორის წარდგენით.

289. საკითხი სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ (მუხ. 288) შეიძლება აღძრულ იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა იმ ცნობების გამოაშკარავების დღიდან, რაც აღნიშნულია ამა კოდექსის 287 მუხლის „ა“ პუნქტში, ან იმავე 287 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებულ გარემოებათა გამორკვევის დღიდან.

ჯ ა რ ი 2.

სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ზედამხედველობის წესით.

290. რესპუბლიკის პროკურორს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს გამოითხოვოს რესპუბლიკის ყოველ სასამართლოდან, ზედამხედველობის წესით გადათვალიერებისათვის, ყოველი საქმე, გადაწყვეტილება რომლის გამოც შესულია კანონიერ ძალაში, და შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება ამ საქმეზე, ვიდრე საქმის წარმოება ზედამხედველობის წესით დამთავრდებოდეს.

291. უკეთუ აღმოჩნდება, რომ გამოთხოვილ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებით თვალსაჩინოდ და არსებითად დარღვეულია მომქმედი კანონი, ან, მიუხედავად კანონის პირდაპირი მოთხოვნისა, აშკარად დარღვეულია მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს თუ მშრომელი მასების ინტერესები, რესპუბლიკის პროკურორს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვთ განაპროტესტონ ეს გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით უზენაეს სასამართლოში. პროტესტს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე განიხილავს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგიის, პლენუმი, ხოლო უზენაესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებაზე და უზენაესი სასამართლოს საკასაციო კოლეგიის დადგენილებაზე განიხილავს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

შენიშვნა 1. შრომის საქმეზე გამოტანილი და ძალაში შესული სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და საკასაციო-სარევიზიო ინსტანციის დადგენილებისა, აგრეთვე, საკასაციო სარევიზიო ინსტანციის განმარტების შესაბამისად, ხელმეორედ გამოტანილი გადაწყვეტილების განპროტესტება მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევაში შეუძლიან რესპუბლიკის პროკურორს და მის თანაშემწეს (შრომის საქმეთათვის).

292. უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საკასაციო კოლეგიის პლენუმს და უზენაესი სასამართლოს პლენუმს, ზედამხედველობის წესით საქმის განხილვისას, შეუძლიანთ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გააუქმონ გადაწყვეტილება და საქმე გადასცენ ხელახალი განხილვისათვის ან მოსპონ საქმის წარმოება, უკეთუ სარჩელის უფლება არ არსებობს ან საქმე არ ექვემდებარება სასამართლოს;

ბ) დასტოვონ ძალაში ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რაც საქმეშია;

გ) შესცვალონ არსებითად გადაწყვეტილება ან გამოიტანონ ახალი გადაწყვეტილება, უკეთუ საქმის ყველა გარემოება სავსებით გამორკვეულია და თანაც სრულიად საჭირო არ არის დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება ან დამატებითი შემოწმება.

293. უკეთუ შრომის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა ზედამხედველობის წესით, ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული თანხები შეიძლება უკუგადაჰხდეს მომუშავეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაუქმებული გადაწყვეტილება დამყარებულია მომუშავის მიერ წარდგენილ ყალბ დოკუმენტზე ან მის მიერ განცხადებულ ცრუ ცნობებზე.

შენიშვნა. ინდივიდუალურ საგლეხო მეურნეობაში მომუშავესა (მოჯამაგირე და მწყემსი) და დამქირავებელს შორის აღძრული შრომის დავის სფეროში ამა მუხლის წესი ვრცელდება აგრეთვე ისეთ შემთხვევაზე, როდესაც გადაწყვეტილება გაუქმებულია საკასაციო-სარევიზიო წესით.

294. საქმის წარმოების აღძვრა ზედამხედველობის წესით შეიძლება ექვსი თვის განმავლობაში გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან.

შენიშვნა. შრომის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების განპროტესტება ზედამხედველობის წესით პროკურატურას შეუძლიან არა უგვიანეს სამი თვის ვადისა გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან.

ნაწილი მეხუთე

სასამართლოს გადაწყვეტილებისა და დადგენილების აღსრულება

თავი XXIX.

ზოგადი დებულებანი

295. ქვემომდევნო მუხლებში განსაზღვრული წესით აღსრულებულ უნდა იქნეს:

ა) სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო, შრომისა და საადგილმამულო საქმის გამო;

ბ) სანოტარო კონტორის ან სანოტარო ფუნქციის აღმასრულებელი ორგანოს საალსრულებო წარწერა;

გ) სასამართლოს დადგენილება განსაკუთრებული წესით საწარმოებელი საქმის გამო და სარჩელის უზრუნველყოფის გამო;

დ) სასამართლოს დადგენილება ჯარიმის დადების გამო სამოქალაქო და სისხლის საქმეებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) საერთო სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილება;

ვ) სასამართლოში მომხდარი მორიგება;

ზ) განპროტესტებული თამასუქი;

თ) შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს დადგენილება შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა, მომრიგებელი კამერისა, შრომის საქმეზე შემდგარი სამედიატორო სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შესახებ;

ი) გამომძიებლისა და სასამართლოს დადგენილება, რაც გამოტანილია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121, 121[1] და 330 მუხლების ძალით.

შენიშვნა. უცხო ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების წესი განისაზღვრება სათანადო სახელმწიფოსთან დადებული სპეციალური შეთანხმებით.

296. 295 მუხლში აღნიშნულ სააღსრულებო მოქმედებას აწარმოებს სასამართლოს აღმასრულებელი. გადამხდევინებლის თხოვნით სახალხო მოსამართლეს შეუძლიან სააღსრულებო მოქმედება სოფლად ამა თუ იმ ცალკეულ საქმეზე მიანდოს აგრეთვე სასოფლო საბჭოს.

შენიშვნა. ყველა ის წესი, რაც აღნიშნულია ქვემომდევნო მუხლებში და შეეხება სასამართლოს აღმასრულებელს, ვრცელდება აგრეთვე იმ სხვა ორგანოებზედაც, რომელნიც ასრულებენ 295 მუხლით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებსა, დადგენილებებსა და სხვა სააღსრულებო დოკუმენტებს.

297. სააღსრულებო მოქმედებას სასამართლოს აღმასრულებელი შეუდგება გადამხდევინებლის სიტყვიერი თუ წერილობითი განცხადებით ან სასამართლოს თუ გამომძიებლის უშუალო წინადადებით, სათანადოდ გაცემული სააღსრულებო დოკუმენტის თანახმად.

298. სასამართლოს აღმასრულებელი, შეუდგება-რა გადაწყვეტილების აღსრულებას, ჩააბარებს მოვალეს უწყებას აღსრულების თაობაზე—უწყების ჩაბარებისათვის არსებული საერთო წესისამებრ.

299. უკეთუ მოვალე პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით იღებდა საქმეში მონაწილეობას, აღსრულების უწყება შეიძლება ერთი თვის განმავლობაში გაიგზავნოს იმ მისამართით, რაც სასამართლოს საქმეშია, და იგი ჩაითვლება ჩაბარებულად, თუნდაც მოვალე ნაჩვენებ ადგილას არ იმყოფებოდეს.

300. უკეთუ მოვალის საცხოვრებელი ან მოსაქმეობის ადგილი ცნობილი არ არის და უწყებაც მას 298 და 299 მუხლის წესით ვერ ჩაჰბარდება, გადამხდევინებელს შეუძლიან სთხოვოს იმ სასამართლოს, რომელიც აღსრულების ადგილას არსებობს, რათა მან დანიშნოს მოვალის ოფიციალური წარმომადგენელი.

301. უკეთუ ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის სასამართლოს გადაწყვეტილებით განსაკუთრებული ვადა არ იქნება მიცემული, სასამართლოს აღმასრულებელი, მოვალისათვის უწყების წარდგენისა ან გაგზანისათანავე, დაუნიშნავს მას აღსასრულებლად ვადას არა უმეტეს ხუთი დღისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ გადასახდევინებელია სამუშაო ხელფასი და ალიმენტები, აგრეთვე ავტორისათვის (და მისი მემკვიდრეებისათვის) მისი გამონაკლისი უფლების მთლად ან ნაწილობრივ გამოყენების საზღაურად მისაცემი გასამრჯელო, ზემოაღნიშნული წესისამებრ დასანიშნი ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ დღეს.

302. აღსრულება უნდა მოახდინოს სასამართლოს აღმასრულებელმა, რომლის სამოქმედო რაიონშიაც მოვალის ის ქონებაა, რაზედაც უნდა მიიქცეს გადახდევინება; ხოლო, უკეთუ საჭიროება მოითხოვს, სასამართლოს აღმასრულებელი განაგრძობს სააღსრულებო მოქმედებას თავისი რაიონის გარეშეც, ერთი და იმავე ქალაქის ფარგლებში; უკეთუ სააღსრულებო მოქმედება უნდა სწარმოებდეს ამ ფარგლების გარეშე, აღსრულება მიენდობა სასამართლოს სათანადო აღმასრულებელს აღსრულების ადგილის მიხედვით.

303. აღსრულების დამთავრებისას, სასამართლოს აღმასრულებელი სააღსრულებო დოკუმენტს წარწერით, რომ აღსრულება მოხდა, წარუდგენს, საქმისათვის დასართავად, იმ დაწესებულებას, რომელმაც ეს დოკუმენტი გასცა.

სანოტარო კონტორის სააღსრულებო წარწერის თანახმად ან განპროტესტებული თამასუქით შესრულებულ გადახდევინებას სასამართლოს აღმასრულებელი წარწერით აღნიშნავს თვით დოკუმენტზე; ამასთანავე, უკეთუ გადახდევინებით მთლად დაიფარება დოკუმენტში გათვალისწინებული ვალდებულება, დედანი დოკუმენტი მოვალეს გადაეცემა.

304. სააღსრულებო მოქმედების დროს სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლიან, თუ კი ეს საჭირო იქნება გადახდევინებისათვის, დაათვალიეროს მოვალის სადგომი და საცავები. აღნიშნული მოქმედება, აგრეთვე სადგომისა და საცავის გაღება უნდა მოხდეს მილიციის ან სასოფლო საბჭოს წარმომადგენლის და სახლის აღმინისტრაციის თანდასწრებით.

305. ღამით გადაწყვეტილების აღსრულება შეიძლება, უკეთუ საქმე ვერ გადაიდება, და ისიც იმ სახალხო მოსამართლის ნებართვით, რომლის რაიონშიაც აღსრულება უნდა მოხდეს.

306. ამა მუხლის მეორე ნაწილით და 307 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარეშე, სასამართლოს აღმასრულებელს,—თუ არა გადამხდევინებლის განცხადებით, სასამართლოს სპეციალური დადგენილებით ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და რესპუბლიკის პროკურორის განკარგულებით, საზედამხედველო წარმოების წესისამებრ,—უფლება არა აქვს აღსრულება გადასდოს ან მოსპოს.

უკეთუ შეიქმნა ისეთი გარემოება, რომ აღსასრულებული გადაწყვეტილების აზრის მიხედვით, აშკარა ხდება მისი შემდგომი აღსრულების უსაფუძვლობა (ალიმენტების მიმღები პირის სიკვდილი და სხვ.), სასამართლოს აღმასრულებელი მოსპობს თავისთან საქმის წარმოებას და აღსრულების დოკუმენტს წარადგენს კუთვნილებისამებრ სათანადო წარწერით.

307. სასამართლოს აღმასრულებელი გადასდებს აღსრულებას: ა) უკეთუ მოვალე გარდაიცვალა; ბ) უკეთუ საჭიროა მოვალეს დაენიშნოს მეურვეობა; გ) უკეთუ მოვალე არაშემძლედ იქნა ცნობილი; დ) უკეთუ მოვალე გაწვეულ იქნა მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მომქმედ ნაწილში. ასეთ შემთხვევებში აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულება გადაიდება იმ დრომდე, ვიდრე საქმეში არ ჩადგება მოვალის უფლების მენაცვლე ან არ დაინიშნება მისი კანონიერი წარმომადგენელი, ან ვიდრე არ დამთავრდება სალიკვიდაციო წარმოება, ან და ვიდრე მოვალე არ დაბრუნდება წითელი არმიიდან სამხედრო მოქმედების დამთავრების შემდეგ.

308. უკეთუ დაგროვდა რამდენიმე კრედიტორის პრეტენზიები და შემოსული თანხა საკმარისი არ არის მოვალეზე მიქცეული ყველა გადასახდელის გასასტუმრებლად, გადასახდელის გადახდევინების ან გადახდევინებული თანხის განაწილებისათვის კანონით უფლებამოსილი ორგანო (სასამართლო დაწესებულება, სასამართლოს აღმასრულებელი, სალიკვიდაციო ორგანო და სხვ.) გაანაწილებს თანხებს ამა კოდექსის 309, 310, 311, 312 და 313 მუხლებში აღნიშნული წესისამებრ. თვითეული გადამხდევინებლის ხვედრითი თანხის ანგარიში შედგენილ უნდა იქნეს სამი დღის განმავლობაში ფულის მიღების დღიდან.

309. დაკმაყოფილების რიგისა და წესის მიხედვით ყველა პრეტენზია, 310 და 311 მუხლებში აღნიშნული გამონაკლისით, განაწილებულ უნდა იქნეს შემდეგ კატეგორიებად:

ა) პირველ კატეგორიას ეკუთვნის: 1) მუშა-მოსამსახურეთა ყველა პრეტენზია, რაც გამომდინარეობს შრომის კანონმდებლობიდან ან კოლექტიური და შრომის ხელშეკრულებიდან; 2) პრეტენზიები დაშავებისა ან სიკვდილის გამო საზღაურის შესახებ, მათ შორის არსებული წესით კაპიტალიზებული გადასახდელის შესახებ; 3) პრეტენზიები ალიმენტების შესახებ იმ ნორმებით, რაც გამოანგარიშებულია ამა კოდექსის დანართის თანახმად (დანართი I); 4) ავტორების და მათი მემკვიდრეების პრეტენზიები იმ საზღაურის შესახებ, რაც გადახდევინებულ უნდა იქნეს მათი გამონაკლისი უფლების მთლად ან ნაწილობრივ გასხვისებისათვის; 5) გამომგონთა და სამრეწველო ნიმუშების ავტორთა (იურიდიული პირების გარდა) და აგრეთვე მათი მემკვიდრეების პრეტენზიები რეგისტრაციაში გატარებული გამონაგონებისა და სამრეწველო ნიმუშების გამოყენებისათვის გადასახდევინებელი საზღაურის იმ ნაწილის შესახებ, რაც ექვსი ათას მანეთს არ აღემატება; 6) პატიოსანი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ამოღების მცდელთა (старатели) პრეტენზიები, რაც გათვალისწინებულია სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „პატიოსანი ლითონებისა და ძვირფასი ქვების ამოღების მცდელთა შრომის გამოყენების პირობების შესახებ“ 1928 წ. ივნისის 22-ის თარიღით გამოცემული დადგენილების მე-17 მუხლით (სსრკ ჯან. კრ. 1928 წ. მე-40 №-რი, მუხ. 365); 7) პროფესიონალურ კავშირთა პრეტენზიები საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების შესანახად დაწესებული ანარიცხების შესახებ; 8) პრეტენზიები სოციალური დაზღვევის გადასახდელისა და დარიცხული საურავის გადახდევინების შესახებ;

ბ) მეორე კატეგორიას ეკუთვნის: 1) დავალიანება საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადებისა, ხვედრი საურავითურთ; 2) დავალიანება, ხვედრი საურავითურთ, იმ არასაგადასახადო შემოსავლისა, რომელზედაც, კანონის თანახმად, ვრცელდება გადასახადების გადახდევინებისათვის მიღებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესი; 3) სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის საკრედიტო ოპერაციების ხასიათის პრეტენზიები, რაც უზრუნველყოფილ არ არის გირაოთი;

გ) მესამე კატეგორიას ეკუთვნის: 1) სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და შერეულ საქციო საზოგადოებათა პრეტენზიები, აგრეთვე იმ საქციო საზოგადოებათა პრეტენზიები, სადაც კოოპერატიული კაპიტალი სჭარბობს; 2) ჯარიმა სოციალური დაზღვევის კანონების დარღვევისათვის, აგრეთვე ჯარიმა, რაც დაკავშირებულია საერთო-სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გადასახადების გადახდევინებასთან, და ყველა სხვა ჯარიმა, რასაც ახდევინებენ სახელმწიფო ორგანოები; 3) პროფესიონალურ კავშირთა ყველა პრეტენზია, გარდა იმ პრეტენზიებისა, რაც აღნიშნულია ამა მუხლის „ა" პუნქტის მე-7 ქვეპუნქტში; 4) კოოპერატიული ორგანიზაციების პრეტენზიები; 5) ყველა საკრედიტო დაწესებულების პრეტენზიები მათი საკრედიტო ოპერაციების გამო, გარდა სახელმწიფო ბანკის პრეტენზიებისა მისი საკრედიტო ოპერაციების გამო („გ" პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი); 6) მეანაბრეთა პრეტენზიები მათი ვადიანი და უვადო ანაბრებისა და სახელდახელო ანგარიშების გამო ისეთ საკრედიტო დაწესებულებებში, სადაც სახელმწიფო და კოოპერატიული კაპიტალი სჭარბობს; 7) კოოპერატიული ორგანიზაციის წევრთა მიერ ამ ორგანიზაციისათვის წარდგენილი პრეტენზიები; 8) სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრეტენზიები, რაც ა/კსფსრ-ისა და საქართველოს სსრ-ის კანონმდებლობით მიკუთვნებულია ამა კატეგორიისათვის;

დ) მეოთხე კატეგორიას ეკუთვნის ყველა დანარჩენი პრეტენზია, რაც უზრუნველყოფილი არ არის გირაოთი.

შენიშვნა. მოთხოვნა შენაერთ (საწესდებო) კაპიტალში შეტანილი ფულის დაბრუნების შესახებ სრული ამხანაგობისა, ნდობის ამხანაგობისა, შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობისა, სინდიკატისა და კოოპერატიული ორგანიზაციის ლიკვიდაციის დროს—დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მხოლოდ მის შემდეგ, რაც სრულიად გასტუმრებული ან უზრუნველყოფილ იქნება სალიკვიდაციო საწარმოს ან ორგანიზაციის ყველა ვალი.

310. გირაოთი უზრუნველყოფილი პრეტენზიები დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს უპირატეს სხვა პრეტენზიებისა, დაგირავებული ქონების ღირებულებიდან, მოგირავნეთა მოწინავეობის დაცვით.

ხოლო, უკეთუ მოვალის მთელი დაუგირავებელი ქონება საკმარისი არ იქნება პირველი და მეორე კატეგორიის პრეტენზიების (მუხ. 309) დასაკმაყოფილებლად:

ა) გირაოთი უზრუნველყოფილი სსრკ ის სახელმწიფო ბანკის პრეტენზიების წინაშე უპირატესობა აქვს პირველი კატეგორიის პრეტენზიებს, გარდა სოციალური დაზღვევის პრეტენზიებისა;

ბ) გირაოთი უზრუნველყოფილი სხვა საკრედიტო დაწესებულებების პრეტენზიების წინაშე, მათ შორის აგრეთვე სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალაროებისაც, უპირატესობა აქვს პირველი კატეგორიის პრეტენზიებს, აგრეთვე სააქციზო გადასახდელს, რაც დაგირავებულ ქონებას ადევს, უკეთუ ეს ქონება

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაგირავებული იყო იმ დროს, როდესაც იგი ინახებოდა საბაჟისო საწყობში წარმოების ადგილას ან საბაჟოში:

გ) გირაოთი უზრუნველყოფილი სხვა მოგირავნეთა პრეტენზიების წინაშე უპირატესობა აქვს პირველი და მეორე კატეგორიის პრეტენზიებს, გარდა სახელმწიფო ბანკის იმ პრეტენზიებისა, რაც გირაოთი უზრუნველყოფილი არ არის.

ვინიცობაა დაგირავებული ქონების საჯარო გაყიდვით შემოსული თანხა საკმარისი არ იქნება მოგირავნის პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, მოგირავნე, უკეთუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მიიღებს დაკმაყოფილებას პრეტენზიის დაუფარავი ნაწილისათვის მოვალის სხვა ქონებიდან საერთო წესით.

შენიშვნა 1. კომუნალური ბანკის პრეტენზიები—მრეწველობისა და ადგილობრივი მნიშვნელობის ელექტრომეურნეობათა დაკრედიტებისათვის გაცემული გრძელვადიანი სესხის გამო—დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს მოვალის ყოველგვარი ქონებიდან, რაც სხვა პირთან დაგირავებული არ არის, ისე, ვითომც ეს ქონება კომუნალურ ბანკში ყოფილიყოს დაგირავებული. მოვალის იმ ქონებიდან, რაც სხვა პირს აქვს დაგირავებული, ზემოაღნიშნული პრეტენზიები დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს უშუალოდ მოგირავნის პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ.

შენიშვნა 2. ბანკების პრეტენზიები საბინაო-სამშენებლო და სარემონტო სესხის გამო, რაც გაცემულია შენობისა და აღნაგობის უფლების გირაოდ მიღებლად, როგორც ბიუჯეტზე მყოფ, ისე სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე მომქმედ სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოზე, შერეულ და კოოპერატიულ სააქციო საზოგადოებაზე, მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიულ ამხანაგობაზე, კოოპერაციის სხვა სისტემების შედგენილობაში შემავალ კოოპერატიულ ორგანიზაციაზე და საზოგადოებრივ და პროფესიონალურ ორგანიზაციაზე, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს გაცემული სესხით აგებული და ნარემონტევი შენობის შემოსავლიდან პირველი და მეორე კატეგორიისათვის მიკუთვნებული პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ, ხოლო მესამე კატეგორიის ყველა პრეტენზიის წინ. ამავე წესით დაკმაყოფილდება ეს პრეტენზიები სადაზღვეულო საზღაურიდან და შენობის მოშლისათვის მიღებული საზღაურიდან.

315. 309 და 310 მუხლებში აღნიშნული წესი არ აუქმებს:

ა) საკრედიტო-კოოპერატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული პრეტენზიების დაკმაყოფილების განსაკუთრებულ რიგობას, რაც გათვალასწინებულია 1927 წ. იანვრის 18 ის დებულებაში კოოპერატიული კრედიტის შესახებ (სსრკ. კან. კრ. 1927 წ. მე-4 №-რი, მუხ. 44);

ბ) სპეციალური კანონებით (სსრკ რკინის გზების წესდება—სსრკ კან. კრ. 1927 წ. 30 №-ი, მუხ. 808; სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 26 დადგენილება რკინის გზით და წყალსავალი გზით გადასაზიდი ტვირთისა, ბაგაჟისა და ხელ-ბარგის გასინჯვისა და დაჭერის შესახებ—სსრკ კან. კრ. 1925 წ. 66 №-რი, მუხ. 497) გათვალისწინებულ უფლებას, რომლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც სათანადო საწარმოთ შეუძლიანთ, უპირატესად ყველა სხვა კრედიტორის წინაშე, დაიკმაყოფილონ თავისი სათანადო პრეტენზიები გადასაზიდი ტვირთის ღირებულებიდან;

გ) მოვალის ქონების საჯარო ვაჭრობით გამყიდველი ორგანოებისათვის კანონით მინიჭებულ უფლებას გაყიდვით მიღებული თანხიდან პირველ რიგში დაფარონ აღნიშნული ქონების შეკვრით, შენახვით, მიტანით და გაყიდვით გამოწვეული ხარჯი;

დ) „სასაქონლო საწყობთა მიერ საქონლის შესანახად მიღებაზე გაცემული დოკუმენტების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. სექტემბრის 4-ის დადგენილებით (სსრკ კან. კრ. 1925 წ. მე-60 №-ი, მუხ. 445) გათვალისწინებულ სასაქონლო საწყობების უფლებას იმ ფულის მიღებაზე, რაც მათ ერგებათ საქონლის შენახვისათვის;

ე) სსრკ-ის საბაჟო კოდექსით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხ. 2) საბაჟოებისათვის მინიჭებულ უფლებას, რომ საბაჟო დაწესებულებიდან ტვირთის გაცემის დროს მიიღონ ბაჟი და სხვა გამოსაღები, რაც ამ ტვირთზე ირიცხება;

ვ) გრძელვადიანი კრედიტის დაწესებულებათა პრეტენზიების დაკმაყოფილების განსაკუთრებულ წესს ისეთი გრძელვადიანი სესხის გამო, რაც გირაოთი არ არის უზრუნველყოფილი—სსრკ-ის სპეციალური კანონებით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ზ) მიწის სააღნაგოდ გამცემ ორგანოთათვის სააღნაგო კანონით მინიჭებულ უპირატესობას იმ პრეტენზიების დაკმაყოფილების დროს, რასაც აღნიშნული ორგანოები მოაღნაგეთ წარუდგენენ;

თ) სსრკ-ის სავაჭრო საზღვაო ნაოსნობის კოდექსის 182—191 მუხლით დადგენილ წესს პრეტენზიების დაკმაყოფილების შესახებ (სსრკ. კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-რი, მუხ. 366).

312. პირველი კატეგორიისათვის მიკუთვნებული პრეტენზიები დაკმაყოფილდება გასანაწილებლად დანიშნული პირველივე თანხების შემოსვლისადა მიხედვით, ამა თუ იმ ვადის გასვლის დაუცდელად.

შენიშვნა. უკეთუ, მოვალის არაშემძლეობის გამო, არსებული წესისამებრ დანიშნული სალიკვიდაციო ორგანო არ დააკმაყოფილებს პირველი კატეგორიის პრეტენზიას (მუხ. 309) სამი დღის ვადაზე პრეტენზიის განცხადების დღიდან, ამ პრეტენზიის განმცხადებელ კრედიტორს, სოციალური დაზღვევის ორგანოების გამოკლებით, უფლება აქვს გადახდევინება მოახდინოს საერთო წესისამებრ სასამართლოს აღმასრულებლის მეშვეობით.

313. თვითეული შემდგომი კატეგორიის პრეტენზიები დაკმაყოფილდება წინა კატეგორიის პრეტენზიების სრულად დაფარვის შემდეგ.

უკეთუ რომელიმე კატეგორიის პრეტენზიების დასაფარავად ქონებული თანხა საკმარისი არ არის, ამ კატეგორიის პრეტენზიები დაკმაყოფილდება პროპორციულად; ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც თანხა საკმარისი არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი კატეგორიის ყველა პრეტენზიის სავსებით დასაფარავად, ანდა
ყოფილებულ უნდა იქნეს პროპორციულად 309 მუხლის „ა“ პუნქტის 1—7 ქვეპუნქტში აღნიშნული პრეტენზიები და სოციალური დაზღვევის პრეტენზიის ის ნაწილი, რაც არაშემძლედ გამოცხადებამდე გადაუხდელ სამუშაო ხელფასზე მოდის, სხვა შემთხვევაში კი—309—312 მუხლების წესისამებრ წარმოებულ განაწილებამდე; დანარჩენი ნაწილი დავალიანებისა სოციალური დაზღვევის მიმართ დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ თანხებიდან, რაც პირველი კატეგორიის სხვა პრეტენზიების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩება.

შენიშვნა. უკეთუ კერძო პირი, ფიზიკური იქნება იგი თუ იურიდიული, რომელიც სახელმწიფო რეგისტრაციაში უნდა იქნეს გატარებული, შესწყვეტს თავისი ვალების—სამი ათას მანეთზე მეტი თანხის რაოდენობით—გადახდას, ან, უკეთუ მისი საქმეები ისეთ მდგომარეობაშია, რომ მან უნდა შესწყვიტოს ამავე რაოდენობის ვალის გადახდა, და, თანაც, რამდენიმე კრედიტორი ჰყავს, იგი შეიძლება გამოცხადებულ იქნეს არაშემძლედ, ვინიცობაა სასამართლო სცნობს, რომ მას არ შეუძლიან მთლად დააკმაყოფილოს კრედიტორების ფულადი მოთხოვნები.

კერძო პირის არაშემძლეობის გამოცხადების წესები გათვალისწინებულია ამა შენიშვნის განსაკუთრებულ დანართში (დანართი II).

კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედი სახელმწიფო საწარმოს, შერეული სააქციო საზოგადოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციის არაშემძლედ გამოცხადების საკითხი გადასწყდება საერთო-საკავშირო კანონმდებლობის თანახმად.

314. უკეთუ სამი დღის განმავლობაში ანგარიშის შედგენის დღიდან გადამხდევინებლები ან მოვალე არაფერ საწინააღმდეგოს არ გამოაცხადებენ, სასამართლოს აღმასრულებელი ყველა გადამხდევინებელს მისცემს ფულს ანგარიშის თანახმად, ხოლო, თუ საწინააღმდეგო რამ იქნა განცხადებული, ანგარიშს სახალხო მოსამართლეს წარუდგენს დასამტკიცებლად. სახალხო მოსამართლის დადგენილება, რომლითაც ანგარიში დამტკიცებულ იქნა, არ განისაჩივრება. დადგენილება, რომლითაც ანგარიში შეიცვალა, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ხუთი დღის განმავლობაში.

315. სარჩელის უზრუნველსაყოფად გაცემული აღსრულების ფურცლით გადამხდევინებლის დასაკმაყოფილებლად დანიშნული თანხა გადაეცემა გადამხდევინებელს მხოლოდ მის შემდეგ, როდესაც იგი წარადგენს საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების თანახმად გაცემულ აღსრულების ფურცელს. უკეთუ სარჩელი უარყოფილ იქნა, აღნიშნული თანხა, საერთო წესისამებრ, დამატებით უნდა განაწილდეს ყველა იმ გადამხდევინებელს შორის, რომელსაც მონაწილეობა მიუღია თავდაპირველ განაწილებაში, ან დაებრუნოს მოვალეს, უკეთუ სხვა გადასახდელი იმ დროისათვის უკვე გასტუმრებულია.

316. აღსრულებისათვის ყველა საჭირო ხარჯს გაიღებს გადამხდევინებელი, თვითეული მოქმედების შესრულებასთან ერთად, და შემდეგ ეს ფული მას დაებრუნება გადახდევინებული თანხიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

317. საჩივარი სასამართლოს აღმასრულებლის ან სასამართლოს გადაწყვეტილების აღმასრულებელი სხვა ორგანოს (სასოფლო საბჭოს და სხვ.) მოქმედებაზე შეტანილ უნდა იქნეს იმ რაიონის სახალხო მოსამართლესთან, სადაც აღსრულება მოხდება, ხუთი დღის განმავლობაში განსაჩივრებელი მოქმედების დღიდან ან და იმ წამიდან, როდესაც მოჩივარმა იგი მოქმედება გაიგო. საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს სააღსრულებო მოქმედებას; ხოლო სახალხო მოსამართლეს შეუძლიან, უკეთუ საჭიროდ დაინახავს, შეაჩეროს ეს მოქმედება.

საჩივარს სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედებაზე სახალხო მოსამართლე განიხილავს ერთპიროვნად საჯარო სხდომაზე დამამტკიცებელი საბუთების შემოწმებით და დაინტერესებულ პირთა დაბარებით.

სახალხო მოსამართლის დადგენილებაზე საქმეში მონაწილე პირს შეუძლიან შეიტანოს კერძო საჩივარი (მუხ. 284).

თ ა ვ ი XXX.

გადახდევინების მიქცევა ქონებაზე.

318. გადახდევინება მოხდება მოვალის ქონების შეკვრით, აღწერით, დაბეჭდვით და გაყიდვით, იმ ქონების გარდა, რაც აღნიშნულია ამა მუხლის დანართში (დანართი III).

შენიშვნა 1. იმ უცხო სახელმწიფოს ქონებაზე გადახდევინების მიქცევა, რომელიც ურთიერთობის პრინციპს იცავს სსრკ-ის ქონების მიმართ, შეიძლება მხოლოდ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს წინასწარი ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში.

შენიშვნა 2. სახელმწიფო შრომითს შემნახველ სალაროში, სამომხმარებლო, სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოოპერატიულ ორგანიზაციაში და საკრედიტო-საკოოპერაციო ორგანიზაციაში შეტანილ ანაბარზე გადახდევინება შეიძლება მიიქცეს და ეს ანაბარი შეიკრას მხოლოდ სასამართლო და სასამართლო-საგამომძიებლო ორგანოს დადგენილებით სისხლის საქმის გამო. სამომხმარებლო საზოგადოებაში, სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კოპერატიულ ამხანაგობაში და საკრედიტო-საკოოპერაციო ამხანაგობაში შეტანილ ანაბარზე გადახდევინების მიქცევა და ამ ანაბარის შეკვრა შეიძლება სასამართლოს დადგენილებით აგრეთვე ისეთი საქმის გამო, რაც ამ ანაბარის მიმღები ორგანიზაციის მიერ აღძრულია ანაბარზე გადახდევინების მიქცევის შესახებ.

შენიშვნა 3. უკეთუ გადახდევინება მიქცეულია ისეთ ნავჭურჭელზე, რაც სსრკ-ის სავაჭრო ზღვაოსნობის კოდექსის (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 41 №-ი, მუხ. 366) მე-6 მუხლის „ბ"—„თ" პუნქტებში აღნიშნულ პირს ეკუთვნის, სასამართლოს აღმასრულებელი მოვალეა დაუყოვნებლივ, საქმის მიღებისთანავე, აცნობოს ეს წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატს და, ამის გარდა, ნავჭურჭლის შეკვრა შეატყობინოს საზღვაო სავაჭრო პორტის სამმართველოს, ნავჭურჭლის მიწერის ადგილის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

319. ფაბრიკისა, ქარხნისა და სახელოსნოს გაწყობილობის საგნები ცალკე არ შეიკვრება; იგი შეიკვრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გადახდევინება მიქცეულ იქნება საწარმოზე მთლიანად, უკეთუ მომქმედი კანონით საზოგადოდ შეიძლება გადახდევინების ამ საწარმოზე მიქცევა.

320. ქონება, რაც მოვალისა და სხვა პირის საერთო სადგომში არის, არ შეიკვრება მხოლოდ მაშინ, უკეთუ იგი აშკარად სხვა პირს ეკუთვნის.

321. მოვალის თხოვნისამებრ გადახდევინება შეიძლება, გადამხდევინებლის მიერ ნაჩვენები ქონების ნაცვლად, მიქცეულ იქნეს სხვა ქონებაზე, უკეთუ იგი თავისი ღირებულებით საკმარისია გადასახდელის გასასტუმრებლად.

322. ქონების შეკვრას, უკეთუ იგი მოხდება მოვალის დაუსწრებლად, უსათუოდ უნდა დაესწროს სახლის ადმინისტრაციის ან სასოფლო საბჭოს წარმომადგენელი.

323. ქონება შეიკვრება ქონების აღწერის აქტის შედგენით და მოვალისათვის გამოცხადებით, რომ მას ეკრძალება ამ ქონების განკარგვა.

324. ქონების აღწერილობაში უნდა აღინიშნოს:

ა) აღწერილობის შემდგენელი პირის სახელწოდება;

ბ) აქტის შედგენის დრო და ადგილი;

გ) ქონების შეკვრის საფუძველი;

დ) გადამხდევინებლის და მოვალის სახელწოდება;

ე) ყველა შეკრული საგნის დასახელება და აღწერა;

ვ) ამ საგნის განსაკუთრებული თვისება და იშვიათობა;

ზ) თვითეული შეკრული საგნის შეფასება;

თ) შემნახველის (მუხ. 328), სახელწოდება, მისი მოვალეობის განმარტება და მისივე ხელმონაწერი;

ი) ამა თუ ამ მხარის და აღწერის დამსწრე პირის შენიშვნები და სასამართლოს აღმასრულებლის განკარგულება ამ შენიშვნების გამო;

ვ) ყველა დამსწრის ხელმონაწერი.

325. უკეთუ ქონების შეკვრის დროს მესამე პირი გამოაცხადებს თავის უფლებას ამ ქონებაზე, რის გამოც შეუძლებელ იქნება მოვალის ვალების გასასტუმრებლად ამ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა, სასამართლოს აღმასრულებელი, სცნობს-რა მაინც, რომ ქონება უნდა შეიკრას, აღნიშნავს მესამე პირის განცხადებას აღწერილობაში.

შეკრულ ქონებაზე უფლების განმცხადებელი მესამე პირის დავა შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს მხოლოდ საერთო სასარჩელო წესით.

შენიშვნა. სახელმწიფო ბანკში დაგირავებულ საქონელსა და ფასეულზე მესამე პირის მიერ მიქცეულ გადახდევინებას შეეფარდება სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის წესდების 37 მუხლში აღნიშნული წესი (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 38 №-ი, მუხ. 332 და 333).

226. სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლიან, გადამხდევინებლის მოთხოვნით, დაბეჭდოს აღწერილი საგნები, რაც უნდა აღნიშნოს აღწერის აქტში.

327. ქონების აღწერისათანავე სასამართლოს აღმასრულებელი შეაფასებს მას საბაზრო საშუალო ფასების მიხედვით. უკეთუ საჭირო იქნება, შეფასებისათვის შეიძლება მიწვეულ იქნეს ექსპერტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

328. აღწერილი ქონება შესანახად მოვალეს გადაეცემა. უკეთუ იგი შენახვაზე უარს განაცხადებს ან სხვაგან იქნება, შემნახველს დანიშნავს სასამართლოს აღმასრულებელი. მასვე შეუძლიან შემნახველი გადამხდევინებლის თხოვნითაც დანიშნოს, უკეთუ ამ თხოვნას პატივსადებად სცნობს. შემნახველს უნდა ჩაბარდეს აღწერილობის ასლი.

329. შემნახველი, უკეთუ შემნახველად დანიშნულია არა მოვალე, მიიღებს გასამრჯელოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაწესებული ნიხრით; ამის გარდა, სათანადო შემთხვევაში მას აენაზღაურება შენახვაზე ფაქტიურად გაწეული ხარჯი.

330. იმ გადამხდევინებელს, რომელიც შეუერთდება ქონების უკვე მომხდარ აღწერას და შეკვრას, აქვს ყველა ის უფლება, რაც წინა გადამხდევინებელს აქვს.

331. მოვალეს, რომელსაც ქონება შესანახად ჩაბარდა, შეუძლიან იხმაროს იგი, უკეთუ, შესანახი ქონების თვისებისდა მიხედვით, ხმარება არ გამოიწვევს ქონების ღირებულების დაკლებას.

თავი XXXI.

სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გადახდევინება.

332. სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გადასახდევინებლად დაწესებულია გადახდევინების საერთო წესების ქვემოაღნიშნული გამონაკლისი.

333. სააღსრულებო დოკუმენტს გადამხდევინებელი პირადად ან, მისი თხოვნით, ასეთი დოკუმენტის გაცემისათვის უფლებამოსილი დაწესებულება (სასამართლო, სანოტარო კონტორა და სხვ.) უგზავნის მოვალეს უშუალოდ.

334. მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალი სააღსრულებო დოკუმენტით არა უგვიანეს ათი დღისა ამ დოკუმენტის მიღების დღიდან.

სამუშაო ხელფასი და ავტორის (მისი მემკვიდრეების) ხვედრი გასამრჯელო მისი გამონაკლისი უფლების მთლად ან ნაწილობრივ გამოყენებისათვის, ან სიკვდილით, დაშავებით და სხეულის სხვა დაზიანებით მიყენებული ვნების საზღაური გადახდილ უნდა იქნეს არა უგვიანეს ხუთი დღისა.

335. უკეთუ სახელმწიფო თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი სახელმწიფო დაწესებულება და საწარმო არ გადაიხდის, რასაც ჯერ არს, აღნიშნულ ვადაზე, გადახდევინება მის ქონებაზე ვერ მიიქცევა; ასეთ შემთხვევაში გადამხდევინებელს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ზემდგომ დაწესებულებაში და აგრეთვე სთხოვოს სათანადო საფინანსო ორგანოს, რათა მან დავალიანება შეიტანოს ამ სახელმწიფო დაწესებულების ხარჯთაღრიცხვაში უახლოეს საბიუჯეტო წლისათვის.

უკეთუ სააღსრულებო დოკუმენტით დასაკმაყოფილებელი სამუშაო ხელფასი და მასთან გათანაბრებული სხვა გადასახდელი გასტუმრებულ არ იქნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოაღნიშნულ ვადაზე, ის სახალხო მოსამართლე, რომლის რაიონშიაც მოვალეა, გამოიტანს, გადამხდევინებლის განცხადებისამებრ, დადგენილებას გადახდევინების მოვალის სახარჯთაღრიცხვო კრედიტებზე მიქცევის შესახებ. ასეთ შემთხვევაში გადახდევინება შეიძლება მიიქცეს არა მარტო ხარჯთაღრიცხვის სათანადო თავებით და პარაგრაფებით ასიგნებულ სახსარზე, არამედ აგრეთვე ხარჯთაღრიცხვის ყველა სხვა თავებით და პარაგრაფებით ასიგნებულ სახსარზე. ამ შემთხვევაში კრედიტის განმკარგულებელმა უნდა უჩვენოს სახალხო მოსამართლეს ხარჯთაღრიცხვის ის მუხლები და პარაგრაფები, საიდანაც დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს გადასახდელი.

უკეთუ დანიშნულ ვადაზე სახალხო მოსამართლე არ მიიღებს პასუხს თავის შეკითხვაზე, ან პასუხს ისეთი ხასიათი ექნება, რომ მოვალეს აშკარად განზრახული აქვს თავი აარიდოს გადახდას, სახალხო მოსამართლე გამოიტანს დადგენილებას კრედიტის განმკარგულებელის პასუხისგებაში მიცემის შესახებ შრომის გამოყენების მომწესრიგებელი კანონების დარღვევისათვის.

336. უკეთუ კანონში აღნიშნულ ვადაზე აღსრულებული არ იქნება ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხე სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი სახელმწიფო საწარმოა ან კოოპერატიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, სასამართლოს აღმასრულებელი, გადამხდევინებლის განცხადებებისამებრ, აღასრულებს გადაწყვეტილებას იძულებითი წესით.

კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო საწარმოსათვის გადახდევინების დროს აღწერა, შეკვრა და გაყიდვა შეიძლება მხოლოდ ისეთი ქონებისა, რაზედაც, მომქმედი კანონისამებრ, შეიძლება გადახდევინების მიქცევა.

არ შეიძლება გადახდევინება მიიქცეს სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ისეთ სახსარზე, რაც საჭიროა საშუშაო ხელფასის გასაცემად განვლილი დროისა და ხუთმეტი დღისათვის წინდაწინ.

თ ა ვ ი XXXII.

გადახდევინების მიქცევა მუშა-მოსამსახურის სამუშაო ხელფასზე.

337. სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშის და მოსამსახურის სამუშაო ხელფასზე მიქცეულ გადასახდელს დაუჭერს მას თვით დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის ადმინისტრაცია ამ თავში აღნიშნული წესებისამებრ.

338. ასეთ შემთხვევაში მუშასა და მოსამსახურეზე მიქცეული გადასახდელის სააღსრულებო დოკუმენტს გადამხდევინებელი ან, მისი განცხადებისამებრ, გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო გაუგზავნის უშუალოდ იმ დაწესებულებას, საწარმოს თუ ორგანიზაციას, სადაც მოვალე მუშაობს. იმ დაწესებულებისა, საწარმოს თუ ორგანიზაციის ადმინისტრაცია, სადაც მოვალე მუშაობს, მიიღებს რა გადასახდელის დოკუმენტს, მოახდენს განკარგულებას, ქვემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნული წესების მიხედვით, ანგარიშის შედგენისა და სათანადო თანხის დაჭერისათვის. დაჭერილი თანხა მიეცემა გადამხდევინებელს იმ დოკუმენტის მეორე გვერდზე ხელმოწერით, რომლის მიხედვითაც სწარმოებს გადახდევინება.

უკეთუ მუშისა და მოსამსახურის სამუშაო ხელფასზე მიქცეულია რამდენიმე გადასახდელი, ადმინისტრაცია გადახდევინებულ თანხას გაუგზავნის იმ რაიონის სასამართლოს აღმასრულებელს, სადაც გადახდევინება სწარმოებს, გადახდევინებული თანხის გადამხდევინებელთა შორის გასანაწილებლად საერთო წესისამებრ.

339. გადახდევინება სამუშაო ხელფასზე მიიქცევა შემდეგი წესით:

ა) გადახდევინებისაგან სრულიად განთავისუფლდება სამუშაო ხელფასის ის ნაწილი, რაც უდრის უწყებული ადგილისათვის, შრომის კანონმდებლობის თანმხმად, დაწესებულ სამუშაო ხელფასის საერთო-სავალდებულო მინიმუმს;

ბ) იმ თანხიდან, რაც მოვალის ხელფასის მინიმუმს აღემატება, შეიძლება მას დაეჭიროს: არა უმეტეს 50%-ისა, უკეთუ გადასახდევინებელი თანხა დანიშნულია ოჯახის წევრთა შესანახად, და არა უმეტეს 20%-ისა ყველა სხვა სახის გადასახდელისათვის.

ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით დადგენილი გადასახდევინებლის რაოდენობის შეზღუდვა არა ვრცელდება იმ წამახალისებელ გასამრჯელოზე, რაც გაიცემა სპეციალური კანონით განსაზღვრული წესისამებრ.

შენიშვნა 1. როდესაც ერთ და იმავე დროს გადასახდევინებელია ოჯახის წევრთა შესანახი თანხა და სხვა რამ ვალი, მუშასა და მოსამსახურეს, ყოველ შემთხვევაში, უნდა დაეტოვოს ხელფასის 50%.

შენიშვნა 2. იმ გასამრჯელოზე გადახდევინების მიქცევის დროს, რაც ავტორს ერგება მისი გამონაკლისი უფლების გამოყენებისათვის, დაცულ უნდა იქნეს ამა მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში და 1-ლ შენიშვნაში აღნიშნული წესები.

შენიშვნა 3. იმ თანხების გადახდევინება, რასაც სასამართლო გადასწყვეტს სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს, კოოპერატიული, პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის გაფლანგული და გატაცებული ან მითვისებული ქონების ასანაზღაურებლად, მოხდება ამა კოდექსის 318 მუხლის დანართში აღნიშნული წესით (დანართი III).

340. როდესაც გადახდევინება მისაქცევია კერძო ორგანიზაციისა, საწარმოს და პირის მუშისა და მოსამსახურის სამუშაო ხელფასზე, სასამართლოს აღმასრულებელი მოსთხოვს ამ ორგანიზაციას, საწარმოს და პირს ცნობას, მსახურობს თუ არა მასთან მოვალე და რამდენი ერგება მას მიმდინარე თვეში ყოველგვარი სახის მუდმივი და ერთდროული კმაყოფა და გასაცემი. ამ ცნობების მისაწოდებლად სასამართლოს აღმასრულებელი დანიშნავს ვადას თავისი შეხედულებისამებრ.

იმავე წესით სასამართლოს აღმასრულებელს შეუძლიან მოითხოვოს ცნობები იმ გასამრჯელოს შესახებ, რაც ერგება ავტორს მისი გამონაკლისი უფლების გამოყენებისათვის.

მუზეუმი ბიბლიოთეკა

ცნობების მიღებისათანავე სასამართლოს აღმასრულებელი დაუყოვნებლივ შეადგენს ანგარიშს და დაავალებს ცნობების მიმცემს დაუჭიროს მოვალეს სათანადო თანხა და გადასცეს მას, სასამართლოს აღმასრულებელს.

341. უკეთუ ის პირი, დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაცია, რომელთანაც მსახურობს ან მუშაობს მოვალე, ან რომელიც ვალდებულია გადაუხადოს ავტორს გასამრჯელო მისი გამონაკლისი უფლების გამოყენებისათვის, არ წარუდგენს სასამართლოს აღმასრულებელს ცნობას მოვალის მუშაობისა და ხელფასის შესახებ (მუხ. 340), არ შეასრულებს სასამართლოს აღმასრულებლის მიწერილობას მოვალის სამუშაო ხელფასიდან თანხების დაჭერისა და სასამართლოს აღმასრულებლისათვის გადაცემის თაობაზე (მუხ. 340), ან უკეთუ თავს აარიდებს უშუალოდ გადახდევინებას (მუხ. 338), იგი პასუხს აგებს გადამხდევინებლის წინაშე დასაჭერი თანხის რაოდენობით.

ამ პასუხისმგებლობის დამოუკიდებლად, სათანადო დაწესებულებისა, საწარმოს და ორგანიზაციის ხელმძღვანელს,—სასამართლოს აღმასრულებლის ისეთი მიწერილობის შეუსრულებლობისათვის, რაც ეხება სამუშაო ხელფასის თაობაზე ცნობების მიწოდებას ან სამუშაო ხელფასის დაჭერას, აგრეთვე უშუალოდ გადახდევინებისაგან თავის არიდებისათვის—სახალხო მოსამართლეს, რომლის რაიონშიაც სწარმოებს გადახდევინება, სასამართლოს აღმასრულებლის წარდგენით ან გადამხდევინებლის განცხადებით, შეუძლიან დაადვას ჯარიმა 100 მანეთამდე.

თ ა ვ ი XXXIII.

გადახდევინების მიქცევა იმ ფულსა და ქონებაზე, რაც მესამე პირის ხელშია, და აგრეთვე იმ თანხაზე, რაც მოვალეს მესამე პირისაგან ერგება.

342. გადახდევინების მისაქცევად მოვალის იმ ფულსა და ქონებაზე, რაც მესამე პირის ხელშია, და აგრეთვე, იმ თანხაზე, რაც მოვალეს მესამე პირისაგან ერგება, სასამართლოს აღმასრულებელი გაუგზავნის აღნიშნულ მესამე პირს (სახელმწიფო დაწესებულებას თუ საწარმოს, კოოპერატიულ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციას ან კერძო პირს), რომლის ხელშიაც მოვალის ქონებაა, ან რომლისაგანაც მოვალეს ფულადი თანხა ერგება, შეკითხვას, აქვს თუ არა მას მოვალის რაიმე ქონება, და, თუ აქვს, რა საფუძვლით და რა ვადით არის ეს ქონება მესამე პირისათვის გადაცემული, ან ერგება თუ არა მისგან მოვალეს რაიმე თანხა და რა საფუძვლით.

ამ შეკითხვაში აგრეთვე აღინიშნება:

ა) რომ შეკითხვის მიღების მომენტიდან ქონება და თანხები, რაც მესამე პირის ხელშია, შეკრულად ითვლება გადასახდელის თანხის ფარგლებში;

ბ) რომ იმავე მომენტიდან მესამე პირი ვალდებულია ყველა ის, რაც მოვალეს ერგება, გადასცეს ხოლმე არა მოვალეს, არამედ მას, სასამართლოს აღმასრულებელს, ვიდრე გადასახდელი მთლად არ იქნება გასტუმრებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. გადახდევინების მიქცევა სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში შეტანილ ანაბარზე და შესანახად გადაცემულ ფასიან ქაღალდებზე და მათი შეკვრა შეიძლება სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის წესდების მე-11 მუხლის წესისამებრ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. 38 №-ი, მუხ. 333).

343. მესამე პირი (სახელმწიფო დაწესებულება ან საწარმო, კოოპერატიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კერძო პირი), მიიღებს-რა 342 მუხ. აღნიშნულ შეკითხვას, მოვალეა აცნობოს სასამართლოს აღმასრულებელს, მის მიერ დანიშნულ ვადაზე, მოვალის რა თანხა, რა ფასეულობა და სხვა რა ქონებაა მასთან, ან რა თანხა ერგება მისგან მოვალეს. შეკითხვის მიღების დღიდან მესამე პირს უფლება არ აქვს, სასამართლოს აღმასრულებლის ნებადაურთველად, დაუბრუნოს მოვალეს ქონება ან აძლიოს ფულადი თანხა შეკრულობის ფარგლებში.

344. სასამართლოს აღმასრულებელი, მიიღებს რა მესამე პირისაგან ცნობას იმ ქონების შესახებ, რაც მის ხელშია, მოახდენს აღნიშნული ქონებისა და ფასეულობის აწერას; ამასთანავე, ფულის გადაცემა ან ქონების საჯაროდ გაყიდვა დანიშნულ უნდა იქნეს იმ პირობის მიხედვით, რა პირობითაც იგი მესამე პირს უჭირავს.

უკეთუ მოვალის ქონება ან ფასეულობა სახელმწიფო დაწესებულებისა თუ სახელმწიფო საწარმოს ხელშია, სასამართლოს აღმასრულებელი მას არ ასწერს და ფულის გადაცემა ან ქონების გაყიდვა შეიძლება მარტოოდენ იმ მომენტიდან, როდესაც ქონება მოვალეს უნდა გადაეცეს.

345. უკეთუ მესამე პირი თავს აარიდებს ცნობის მიწოდებას მოვალის იმ ქონებისა და ფასეულობის შესახებ, რაც მის ხელშია, და იმ თანხების თაობაზე, რაც მისგან მოვალეს ერგება, აგრეთვე, უკეთუ იგი არ შეასრულებს მიწერილობას მოვალის ქონების შეკვრისა და მისთვის ფულადი თანხების მიუცემლობის შესახებ, მას, მესამე პირს, გარდა პასუხისმგებლობისა მიყენებული ზარალისათვის, შეიძლება, იმ ადგილის სახალხო მოსამართლის დადგენილებით, სადაც გადახდევინება სწარმოებს, დაედვას აგრეთვე ჯარიმა 100 მანეთამდე.

თავი XXXIV.

გადახდევინების მიქცევა შენობასა და აღნაგობის უფლებაზე.

346. შენობასა და აღნაგობის უფლებაზე გადახდევინების მისაქცევად, საერთო წესების გარდა, დაცულ უნდა იქნეს ქვემომდევნო წესებიც.

347. მოვალისათვის უწყების გაგზავნისათანავე, სასამართლოს აღმასრულებელი შეეკითხება სათანადო სანოტარო კონტორას, რომლის გამგებლობაშიაც სანოტარო არქივია, ან კომუნალურ განყოფილებას და მოსთხოვს წარუდგინოს მას ცნობა: სანოტარო კონტორამ — ეკუთვნის თუ არა მოვალეს ის შენობა, ხოლო კომუნალურმა განყოფილებამ — ეკუთვნის თუ არა მოვალეს ის აღნაგობის უფლება, რომელზედაც გადახდევინება უნდა იქნეს მიქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

348. ამასთან ერთად სასამართლოს აღმასრულებელი გაუგზავნის სათანადო სანოტარო კონტორას, სადაც სწარმოებს შენობისა და აღნაგობის უფლების შეკვრის რეგისტრაცია, მოთხოვნას: ა) წარუდგინოს მას ცნობა, თუ რა შეკვრა უკვე ადევს ამ შენობას ან აღნაგობის უფლებას, და ბ) შეჰკრას შენობა თუ აღნაგობის უფლება გადასახდელის ფარგლებში.

349. ამა თავის წესისამებრ დადებული შეკვრა სავალდებულოა ყველა იმ პირისათვის, ვინც შეიძენს ამა თუ იმ უფლებას შეკვრა-დადებულ შენობაზე ან აღნაგობის უფლებაზე მას შემდეგ, რაც შეკვრა აღნიშნულ იქნება სანოტარო კონტორაში, იმ პირის გარდა, ვინც შეიძენს შენობას თუ აღნაგობის უფლებას საჯარო ვაჭრობაზე.

თ ა ვ ი XXXV.

შეკრული ქონების გაყიდვა.

350. შეკრული ქონება რეალიზებულ უნდა იქნეს შემდეგი წესით:

ა) ის დეფიციტიანი საქონელი, რაც აღნიშნულია საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის მიერ დადგენილ სიაში, გადაეცემა სახელმწიფო სავაჭრო საწარმოს ან კოოპერატიულ ორგანიზაციას მომარაგების ადგილობრივი ორგანოების ჩვენებით და ამ ორგანოების მიერ დადგენილ ფასად;

ბ) კულაკურ მეურნეობაში აწერილი თესლეული გადაეცემა კოლექტიურ მეურნეობას და საგლეხო საურთიერთო დახმარების საზოგადოებას უწყებული ადგილისათვის დადგენილ სადამზადებლო ფასად; ხოლო ყოველგვარი ცოცხალი საქონელი—ხორცეულის მრეწველობის სრულიად საკავშირო შენაერთის („Союзмясо") ორგანოებს იმ ფასად, რასაც თვითეულ ნახევარ წლისათვის დაადგენს მომარაგების სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით;

გ) ძვირფასი ლითონისა და ქვის ნაკეთობა და მარგალიტი გაიგზავნება საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატში სარეალიზაციოდ სპეციალური კანონით გათვალისწინებული წესისამებრ;

დ) სხვაგვარი შეკრული ქონება გაიყიდება საჯარო ვაჭრობით; ხოლო განსაზოგადოებული სექტორის ორგანიზაციას უფლება აქვს შეიძინოს ეს ქონება მომარაგების ადგილობრივი ორგანოების მიერ დადგენილ ფასად.

შენიშვნა. ამა მუხლის „დ" პუნქტში აღნიშნული ქონების რეალიზაციის პირობები და წესი განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს და საქართველოს სსრ მომარაგების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ინსტრუქციით.

351. შეკრული ქონება საჯარო ვაჭრობით გაიყიდება იმ ადგილას, სადაც თვით ეს ქონებაა.

352. შეკრული ქონების გადაზიდვა და გაყიდვის ადგილის შეცვლა შეიძლება მხოლოდ გადამხდევინებლის და მოვალის ურთიერთი შეთანხმებით, მათი ხარჯით და პასუხისმგებლობით, უკეთუ ისინი შეიტანენ საჭირო სახარჯო თანხას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ ქონებაზე მიქცეულია გადახდევინება კოლექტიური და შრომის ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიის გამო, საალიმენტო პრეტენზიის გამო, სიკვდილისა და დაშავების საზღაურის პრეტენზიის გამო და სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს პრეტენზიის გამო, სასამართლოს აღმასრულებელს უფლება აქვს, ვინიცობაა ქონების გასაყიდად დანიშნული პირველი ვაჭრობა არ შესდგა, გადაზიდოს ქონება საჯარო ვაჭრობით გასაყიდად სხვა ადგილას მოვალის თანხმობის გარეშეც. გადასაზიდად საჭირო ხარჯი მიეთვლება საჯარო ვაჭრობის საერთო ხარჯებს.

353. გაყიდვის ვადას დანიშნავს სასამართლოს აღმასრულებელი. ქონების შეკვრისა და გაყიდვის შუა უნდა განვლოს არა ნაკლებ ხუთი დღისა და არა უმეტეს ერთი თვისა, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გასაყიდია ისეთი საგანი, რაც მალე ფუჭდება.

შენიშვნა 1. როდესაც მოვალის შეკრული ქონება იყიდება სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კრედიტის დაწესებულების მიერ გაცემული ვადაგადაცილებული სესხის გადასახდევინებლად, ქონების შეკვრისა და გაყიდვის შუა შეიძლება განვლოს არა უმეტეს ხუთი დღისა.

შენიშვნა 2. შეკრული ნავჭურჭელი არ შეიძლება დაინიშნოს გასაყიდად ხუთმეტი დღის ვადის გასვლამდე იმ დღიდან, რაც წყლის ტრანსპორტის სახალხო კომისარიატი მიიღებს ცნობას ნავჭურჭელზე გადახდევინების მიქცევის შესახებ.

354. 1.000 მანეთზე მეტად შეფასებული ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა სასამართლოს აღმასრულებელმა უნდა გამოაცხადოს არა უგვიანეს, ვიდრე სამი დღით ადრე, ადგილობრივ ოფიციალურ გაზეთში; ხოლო, უკეთუ ასეთი გაზეთი გაყიდვის რაიონის ფარგლებში არ გამოდის, ეს უნდა გამოაცხადოს რესპუბლიკის ან ავტონომიური ოლქის ცენტრალურ ოფიციალურ ორგანოში — კუთვნილებისამებრ. გადამხდევინებელს თუ მოვალეს შეუძლიან ითხოვოს, რომ პუბლიკაცია მოხდეს სხვა გაზეთებშიაც მისი ხარჯით.

განცხადება გაყიდვის შესახებ, აღნიშნული ვადის დაცვით, ყველა შემთხვევაში გამოიკიდება იმ ადგილას, სადაც ვაჭრობა უნდა მოხდეს, და სასამართლოს აღმასრულებლის კანცელარიაში, ხოლო სოფლად განცხადება გაეგზავნება სასოფლო საბჭოს, ქონების გაყიდვის ადგილის მიხედვით, რათა იგი გამოკიდებულ იქნეს სასოფლო საბჭოს სადგომში თვალსაჩინო ადგილას. უკეთუ ქონება 1.000 მანეთზე ნაკლებ არის შეფასებული, პუბლიკაცია მოხდება ერთერთი მხარის მოთხოვნით მის ხარჯზე.

შენიშვნა. სასოფლო-სამეურნეო და სარეწაო კრედიტის დაწესებულების მიერ გაცემული ვადაგადაცილებული სესხის გადასახდევინებლად მოვალის ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვას სასამართლოს აღმასრულებელი გამოაცხადებს ერთი დღის შემდეგ იმ ვადის გასვლისას, რაც მოვალეს ნებაყოფლობითი აღსრულებისათვის მიეცა.

355. უკეთუ ქონება დაგირავებულია, გაყიდვის დღე უნდა ეცნობოს აგრეთვე მოგირავნეს. აღნაგობის უფლების გაყიდვის დღე ეცნობება კომუნალური მეურნეობის ადგილობრივ განყოფილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

356. განცხადებაში აღნიშნულ უნდა იყოს:

ა) გასაყიდი ქონება (ჩამოთვლით), ვისია იგი და ქონების შეფასება;

ბ) გაყიდვის დრო და ადგილი (სოფელი, ქალაქი, ქუჩა და სახლი).

357. მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს, რომ ქონება ამა თუ იმ რიგობით გაიყიდოს. უკეთუ ქონების ნაწილის გაყიდვით მიღებული თანხა საკმარისია გადამხდევინებლის დასაკმაყოფილებლად და გადახდევინების ყველა ხარჯის გასასტუმრებლად, დანარჩენი ქონების გაყიდვა უნდა მოისპოს.

358. მყიდველი მოვალეა, როგორც კი დაინარჩუნებს გასაყიდ საგანს, დაუყოვნებლივ შეიტანოს თანხა არა ნაკლებ პირვანდელი შეფასებისა, ხოლო დანარჩენი ნაწილი არა უგვიანეს მეორე დღისა. უკეთუ მყიდველი აღნიშნულ თანხას დაუყოვნებლივ არ შეიტანს, იგი ჩამოცილებულ უნდა იქნეს ვაჭრობაში მონაწილეობისაგან და საჯარო ვაჭრობა განიგრძობა.

359. ყველა ის, ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ქალაქად მდებარე შენობის საჯარო ვაჭრობაში, მოვალეა წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს სათანადო სანოტარო კონტორისა და კომუნალური მეურნეობის ადგილობრივი განყოფილების ცნობა, რომ არც თითონ მას, არც მის მეუღლეს და არც მის არასრულწლოვან შვილს არა აქვთ იმ ადგილას რაიმე შენობა, და აგრეთვე უნდა მისცეს ხელწერილი, რომ არც თითონ მას და არც ოჯახის ზემოაღნიშნულ წევრებს არა აქვთ შენობა რომელსამე სხვა ადგილას.

360. წინა მუხლში აღნიშნული ცნობისა და ხელწერილის გარდა, მან, ვისაც შენობის ან აღნაგობის უფლების ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება სურს, უნდა შეიტანოს საწინდარი-შენობის ან აღნაგობის უფლების შეფასების 10%. საწინდრის შეტანა არა ვრცელდება სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოზე და განსაზოგადოებული სექტორის სხვა ორგანიზაციაზე.

361. იმ პირის მიერ შეტანილი საწინდარი, ვისაც დარჩა გაყიდული შენობა ან აღნაგობის უფლება, ჩაირიცხება ქონების ნასყიდობის თანხაში. ვაჭრობის დანარჩენ მონაწილეთ საწინდარი დაებრუნებათ დაუყოვნებლივ, ვაჭრობის დამთავრებისთანავე. უკეთუ მყიდველი შვიდი დღის განმავლობაში არ შეიტანს თავის ხვედრ თანხას, მისი საწინდარი ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავლად.

362. საჯარო ვაჭრობით შენობის ან აღნაგობის უფლების ყიდვა, ბათილობის რიდით, დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო სანოტარო კონტორის მიერ, ხოლო შემდეგ დარეგისტრებულ-სანოტარო არქივში და სათანადო კომუნალურ განყოფილებაში, რისთვისაც მყიდველი წარუდგენს სანოტარო კონტორას საჯარო ვაჭრობით გაყიდვის აქტის ასლს.

შენიშვნა. უკეთუ საჯარო ვაჭრობით ნავეურჭელი გაიყიდა, სასამართლოს აღმასრულებელი აცნობებს ამას საზღვაო სავაჭრო პორტის სამმართველოს, ნავეურჭლის მიწერის ადგილის მიხედვით.

363. გაყიდვით შემოსული თანხიდან გასტუმრებულ უნდა იქნეს ქონების შეკვრისა და გაყიდვის ხარჯი, ხოლო დანარჩენი ფული უნდა მოხმარდეს ქონებაზე მიქცეული გადასახდელის გასტუმრებას.

364. ვაჭრობა შემდგრად არ ჩაითვლება:

ა) უკეთუ ვაჭრობისათვის გამოცხადდა ორ კაცზე ნაკლები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უკეთუ გამოცხადებულთაგან არავინ არაფერი დაუმატა შეფასებას, ან

გ) უკეთუ მყიდველმა, ვაჭრობის დამთავრებისას, ვადაზე და სრულად არ შეიტანა თავისი ხვედრი თანხა (მუხ. 358). ასეთ შემთხვევაში მყიდველის მიერ შეტანილი ნასყიდობის თანხის ნაწილი არ დაიბრუნება და მიიქცევა სახელმწიფოს შემოსავლად.

365. უკეთუ ვაჭრობა არ შესდგა, გადამხდევინებელთ შეუძლიანთ სამი დღის განმავლობაში ითხოვონ, რომ გასაყიდი ქონება მათ დაეტოვოს იმ ფასად, რაც განსაზღვრულია შეფასებაში, და იმ რიგობაზე, რაც მათ პრეტენზიების რაოდენობას შეესაბამება.

უკეთუ საჯარო ვაჭრობაზე შეძლეული ფასი ან აწერილი ქონების შეფასება, რა ფასადაც და რა შეფასებადაც გადამხდევინებელს შეუძლიან დაინარჩუნოს ქონება, თვალსაჩინოდ ნაკლებია მის ნამდვილ ღირებულებაზე ან მომარაგების ორგანოების მიერ დადგენილ ფასზე, სასამართლოს აღმასრულებელი შეაჩერებს ვაჭრობას, გარდააფასებს ქონებას და დანიშნავს ახალ ვაჭრობას, ხოლო, უკეთუ ვაჭრობა არ შესდგა აღძრავს სახალხო მოსამართლის წინაშე საკითხს, რა გზით უნდა მოხდეს აღნიშნული ქონების რეალიზაცია.

366. იმ გადამხდევინებელმა, რომელმაც ქონება დაინარჩუნა, სასამართლოს აღმასრულებლის მიერ დანიშნულ ვადაზე, უნდა შეიტანოს სასამართლოს დეპოზიტად განსხვავება დანარჩუნებული ქონების შეფასების თანხასა და იმ თანხას შორის, რაც ერგება თვით გადამხდევინებელს სასამართლოს აღმასრულებლის მიერ შედგენილი გამოანგარიშების მიხედვით. დეპოზიტად შეტანილი თანხა განაწილდება საერთო წესისამებრ.

367. უკეთუ ვაჭრობა არ შესდგა და არც ერთმა გადამხდევინებელმა ქონება არ დაინარჩუნა, ან უკეთუ ქონების დამნარჩუნებელმა გადამხდევინებელმა არ შეიტანა დეპოზიტად თავისი ხვედრი თანხა, სასამართლოს აღმასრულებელი დანიშნავს მეორე ვაჭრობას, არა უადრეს ხუთი დღისა.

უკეთუ საჭიროა და 352 მუხლში აღნიშნული პირობები არსებობს, მეორე ვაჭრობა დაინიშნება სხვა ადგილას.

მეორე ვაჭრობა მოხდება პირველი ვაჭრობისათვის დადგენილი წესების მიხედვით, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი დაიწყება ამ ვაჭრობაზე შეძლეული პირველი ფასიდან და ქონება შეიძლება გაყიდულ იქნეს შეფასებაზე ნაკლებ ფასადაც.

უკეთუ არც მეორე ვაჭრობა შესდგა და არც ერთმა გადამხდევინებელმა ქონება არ დაინარჩუნა, სასამართლოს აღმასრულებელი, რომელიც გადახდევინებას აწარმოებს, აღძრავს სახალხო მოსამართლის წინაშე საკითხს, რა გზით უნდა მოხდეს აწერილი ქონების რეალიზაცია.

უკეთუ ამ გზითაც ქონება რეალიზებულ ვერ იქნა, სასამართლოს აღმასრულებელი მოხსნის ქონებას შეკვრას და ქონება გადაიცემა მოვალის განკარგულებაში. ასეთ შემთხვევაში გადამხდევინებელს შეუძლიან მიაქციოს გადახდევინება მოვალის სხვა ქონებას ან იმავე ქონებას საერთო წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართები

დანართი I.

(309 მუხ. „ა“ პუნქტის
მე-3 ქვეპუნქტისა)

წესები

სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309 მუხლის „ა“ პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის მიხედვით უპირატესად დასაკმაყოფილებელი ალიმენტების ნორმების შესახებ.

1. სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309 მუხლის „ა“ პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, უპირატესად დასაკმაყოფილებელი ალიმენტების ნორმები გამოიანგარიშება დაშავებისაგან გარდაცვალებულ მუშათა და მოსამსახურეთა ოჯახის წევრების სოციალური დაზღვევის წესით უზრუნველყოფის ნორმების მიხედვით.

2. ალიმენტების ნორმების გამოანგარიშების საფუძვლად მიიღება:

ა) როდესაც მოვალე მუშა ან მოსამსახურეა,—მისი საშუალო თვიური სამუშაო ხელფასი, რაც განსაზღვრულ უნდა იქნეს მარჩენალის დაკარგვის გამო გასაცემი პენსიის გამოანგარიშებისათვის დადგენილი წესების თანახმად;

ბ) სხვა შემთხვევაში—სათანადო კატეგორიის მუშისა და მოსამსახურის საშუალო თვიური სამუშაო ხელფასი, მოვალის სოციალური მდგომარეობის მიხედვით.

3. როდესაც გასანაწილებელია მოვალის ჯამაგირიდან დაჭერილი თანხა, უპირატესად დაკმაყოფილების უფლება ვრცელდება გადაწყვეტილი ალიმენტის იმ ნაწილზე, რაც არ აღემატება: ა) იმ ოჯახისათვის, სადაც ერთი შრომისუუნარო პირია, მოვალის ერთ მესამედ საშუალო სამუშაო საშოვარს, რასაც იგი იღებდა ჯამაგირის დაჭერის პერიოდში; ბ) იმ ოჯახისათვის, სადაც ორი შრომისუუნარო პირია, ნახევარ საშუალო სამუშაო საშოვარს; გ) იმ ოჯახისათვის, სადაც სამი შრომისუუნარო პირია, სამმეოთხედ საშუალო სამუშაო საშოვარს.

შენიშვნა 1. უკეთუ ამა მუხლში აღნიშნული თანხები უწყებული ადგილისათვის დაწესებულ მინიმალურ საპენსიო ნორმებზე ნაკლები აღმოჩნდება, ეს თანხები გამოანგარიშებულ უნდა იქნეს მინიმალური საპენსიო ნორმების მიხედვით.

შენიშვნა 2. უკეთუ გადასახდელი მიქცეულია სამუშაო ხელფასზე, სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 339 მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული წესი ძალაში რჩება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. როდესაც გასანაწილებელია ის თანხა, რაც მოვალეს არა ჯამაგირიდან დაეჭირა, უპირატესად დაკმაყოფილების უფლება ვრცელდება გადაწყვეტილი ალიმენტების იმ ნაწილზე, რაც არ აღემატება ზემოაღნიშნული გამოანგარიშების კვალობაზე სამი წლის განმავლობაში გადასახდევინებელ თანხას, უკეთუ გადაწყვეტილებით ალიმენტების გადასახდელად ამაზე უფრო მოკლე ვადა არ არის დანიშნული; ამგვარად მიღებული თანხა შეიტანება სასამართლოს დეპოზიტად ან გადაეცემა სამეურნეო დაწესებულებას გადამხდევინებლისათვის მისაცემად გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვადაზე.

5. გადაწყვეტილი გადასახდელის ის ნაწილი, რაც ალიმენტების ზემოაღნიშნულ ნორმებს აღემატება, სათვალავში მიიღება გადახდევინებული თანხების განაწილების დროს სხვა იმ პრეტენზიების თანაბრად, რომლებზედაც სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309 მუხლით გათვალისწინებული უპირატესად დაკმაყოფილების უფლება არა ვრცელდება. ამასთანავე, როდესაც გასანაწილებელია მოვალის არა ჯამაგირიდან დაჭერილი თანხა, სათვალავში მიიღება ზემოაღნიშნული გამოანგარიშების კვალობაზე ათი წლის განმავლობაში გადასახდევინებელი ალიმენტების თანხა, უკეთუ გადაწყვეტილებით ალიმენტების გადასახდელად ამაზე უფრო მოკლე ვადა არ არის დანიშნული; ამგვარად მიღებული თანხა ინახება და ეძლევა გადამხდევინებელს ამა დანართის მე-4 მუხლში აღნიშნული წესისამებრ.

დანართი II.

(313 მუხლის შენიშვნისა)

წ ე ს ე ბ ი

კერძო — ფიზიკურ და იურიდიულ — პირთა არაშემძლეობის შესახებ.

კ ა რ ი I.

არაშემძლეობის საქმეთა ქვემდებარეობა და წარმოების წესი.

1. არაშემძლეობის საქმე ექვემდებარება სახალხო სასამართლოს. აღნიშნული საქმე აღიძვრის: ა) უკეთუ იგი იურიდიულ პირს ეხება,—იმ ადგილის მიხედვით, სადაც ამ იურიდიული პირის გამგეობა იმყოფება; ბ) უკეთუ ფიზიკურ პირს ეხება,—სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 27-28 მუხლის საერთო წესით.

შენიშვნა. უკეთუ სხვადასხვა სასამართლოში აღძრულია რამდენიმე საქმე ფიზიკური პირის არაშემძლედ ცნობის შესახებ, ყველა ეს საქმე გადაეცემა იმ სასამართლოს, რომელმაც პირველმა სცნო მოვალე არაშემძლედ, ან იმ სასამართლოს, სადაც პირველად იყო აღძრული არაშემძლეობის საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სასამართლოს დადგენილება არაშემძლედ ცნობის ან არაშემძლედ ცნობაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ხუთმეტი დღის ვადაზე დღიდან გადაწყვეტილების გამოცხადებისა. არაშემძლეობის საქმეზე ყველა სხვა გადაწყვეტილება სახალხო მოსამართლეს გამოაქვს ერთპიროვნად და მისი განსაჩივრება შეიძლება სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 284 მუხლის წესით.

3. არაშემძლედ ცნობის შესახებ საქმის აღძვრის უფლება აქვს: ა) კრედიტორს, რომლის მოთხოვნაც მიქცეული იყო იძულებითი აღსრულებისათვის აღსრულების ფურცლის ან სააღსრულებო წარწერის თანახმად ან და უდავო საადმინისტრაციო წესით და დაკმაყოფილებულ არ იქნა; ბ) კრედიტორს, რომელმაც, მისი პრეტენზიის ვადის მიუხედავად, განაცხადა, რომ მოვალის ქონება საკმარისი არ არის მისი ვალის დასაფარავად, უკეთუ ამ მოვალის ქონებაზე სხვა პირის მიერ უკვე მიქცეულია გადახდევინება იძულებითი წესით; გ) მოვალეს; დ) იმ უწყებას (უწყებათ) ან იმ აღმასრულებელი კომიტეტისა თუ საქალაქო საბჭოს განყოფილებას (განყოფილებათ), რომლის კომპეტენციასაც შეადგენს მოაწესრიგოს მეურნეობის ის დარგი, რაც მოვალის საწარმოს ეხება; ე) სასამართლოს, უკეთუ გადახდევინების დროს გამოაშკარავდა სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 318 მუხლის შენიშვნაში აღნიშნული ნიშნები არაშემძლეობისა; ვ) პროკურორს.

4. იმ პირმა და დაწესებულებამ, რომელიც აღძრავს საქმეს არაშემძლეობის შესახებ, უნდა წარუდგინოს სასამართლოს: მოვალემ — თავისი კრედიტორებისა და მოვალეების სია, მათი საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით, და ცნობები თავისი ქონების მდგომარეობის შესახებ; კრედიტორმა — თავისი მოთხოვნის დამამტკიცებელი საბუთები და ცნობები იმის შესახებ, რომ მოვალემ შესწყვიტა ვალების გადახდა; სხვა ორგანოებმა — ცნობები იმის შესახებ, რომ მოვალემ შესწყვიტა ვალების გადახდა.

5. საქმე არაშემძლეობის შესახებ განიხილება სასამართლოსათვის ცნობილი კრედიტორებისა, მოვალისა და სათანადო უწყების ან სათანდო აღმასრულებელი კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს განყოფილების (3 მუხ. „დ“ პუნ.) წარმომადგენლების დაბარებით.

უკეთუ საქმე მოვალის მიერ არ არის აღძრული, მან უნდა წარადგინოს, სასამართლოს მოთხოვნით, სასამართლოს სხდომამდე ხუთი დღით ადრე, სია თავისი კრედიტორებისა და მოვალეებისა და ცნობები თავისი ქონების მდგომარეობის შესახებ.

შენიშვნა. როდესაც გამოირკვევა რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობას არ შეუძლიან მთელი ვალის გასტუმრება, ასეთი ამხანაგობის წევრთა პასუხისმგებლობა ამხანაგობის ვალებისათვის მხედველობაში არ მიიღება.

6. არაშემძლეობის საქმის აღმძვრელ პირთა და დაწესებულებათა თხოვნით სასამართლოს შეუძლიან საქმის გადაწყვეტამდე შეჰკრას მოვალის ქონება სარჩელის უზრუნველყოფის წესისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. სასამართლო, მოვალის არაშემძლედ ცნობის შემდეგ, წინადადებას აძლევს მე-3 მუხლის „დ“ პუნქტში დასახელებულ ორგანოებს დანიშნონ, ხუთი დღის ვადაზე, ერთი ან რამდენიმე ლიკვიდატორი, იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია სალიკვიდაციო საწარმო, და განსაზღვრავს სალიკვიდაციო ვადას.

ეს ვადა დაინიშნება ერთი წლის ფარგლებში; ვადის გადიდება შეიძლება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, სასამართლოს ცალკეული დადგენილებით; ამასთანავე სასამართლო წინადადებას აძლევს აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოს დაუყოვნებლივ დანიშნოს განსაკუთრებული პირი, რომელსაც დაეკისრება საწარმოს ქონების დაცვა იმ დრომდე, ვიდრე ლიკვიდატორები თავიანთ მოვალეობის შესრულებას შეუდგებოდნენ.

შენიშვნა. ამა მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნულ პირს შეუძლიან აგრეთვე მოვალის ქონების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებული მოქმედების შესრულებაც, თუ ეს აუცილებლად საჭიროა.

8. ამა თუ იმ პირის არაშემძლედ ცნობას სასამართლო დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებს გაზეთ „კომუნისტ“-ში და ადგილობრივ ბეჭდვითს ოფიციალურ ორგანოში, უკეთუ იგი არსებობს, და შეატყობინებს სახელმწიფო რეგისტრაციის სათანადო ორგანოს.

პუბლიკაციაში აღნიშნულ უნდა იქნეს ის სასამართლო, რომელმაც დაადგინა არაშემძლედ ცნობა, მოვალის სახელწოდება და სამყოფელი ადგილი და ლიკვიდაციის ვადა. პუბლიკაციის ხარჯი გადახდებათ კრედიტორებს.

კარი II.

არაშემძლეობის შედეგები.

9. სასამართლოს მიერ მოვალის არაშემძლედ ცნობის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან მოხდება შემდეგი:

ა) მოვალის ქონების მართვა-გამგებლობისა და განკარგულების უფლება გადადის ლიკვიდატორებზე; ლიკვიდატორებზე გადადის აგრეთვე უფლება ისარჩელონ და პასუხი აგონ სასამართლოში მოვალის საქმეების გამო, გარდა იმ საქმეებისა, რომლის წარმოებისათვისაც ლიკვიდატორები მისცემენ მოვალეს სპეციალურ ნებართვას;

ბ) მოქმედება არაშემძლეობის გამოცხადების მომენტამდე მოვალის სახელით დადებული ორმხრივი ხელშეკრულებებისა, რაც მთლად ან ნაწილობრივ შესრულებული არ არის ორივე მხარის მიერ, მოისპობა; ხოლო, უკეთუ ლიკვიდატორები მიზანშეწონილად სცნობენ, მათ უფლება აქვთ აღნიშნული ხელშეკრულებები ძალაში დასტოვონ და ეს უნდა აცნობონ კონტრაგენტებს ერთი თვის განმავლობაში იმ დღიდან, რაც ლიკვიდატორები თავიანთი მოვალეობის აღსრულებას შეუდგნენ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აიკრძალება არაშემძლე მოვალის ქონების გასხვისება და გადაცემა, აგრეთვე მისი ვალდებულებების დაფარვა იმ წესის გარეშე, რაც დადგენილია ამა დანართით;

დ) სასამართლოში წარმოებული საქმეები როგორც არაშემძლე მოვალის წინააღმდეგ აღძრული სარჩელით, ისე არაშემძლე მოვალის მიერ მესამე პირის წინააღმდეგ აღძრული სარჩელით შეჩერდება, ვიდრე საქმეში ლიკვიდატორები ჩადგებოდნენ;

ე) მოისპობა ყოველგვარი სააღსრულებო მოქმედება—როგორც სასამართლო, ისე უდავო წესით—არაშემძლე მოვალის ვალების გადახდევინებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადისა და გამოსაღების ნარჩენის გადახდევინებისათვის;

ვ) მოვალის მთელი ქონება შეიკვრება, და მესამე პირი, რომლის ხელშიაც არის მოვალის ქონება, ან რომელსაც გადასახდელი რამ აქვს მოვალის სასარგებლოდ, მოვალეა გადასცეს ლიკვიდატორებს ასეთი ქონება ან გადაუხადოს აღნიშნული გადასახდელი;

ზ) შეჩერდება საურავის და პროცენტების დარიცხვა არაშემძლე მოვალის ყოველგვარ დავალიანებაზე;

თ) კრედიტორებს შეუძლიანთ მოითხოვონ თავიანთი პრეტენზიების დაკმაყოფილება მხოლოდ ლიკვიდატორებისათვის ამ პრეტენზიების განცხადებით;

ი) არაშემძლე მოვალის კრედიტორების ისეთი მოთხოვნის ვადად, რომლის შესრულების ვადაც არ დამდგარა არაშემძლედ ცნობის დღემდე, ჩაითვლება ეს უკანასკნელი დღე; ხოლო არაშემძლე მოვალის თავდების ვალდებულების ვადა, აგრეთვე მის მიერ გაცემულ თამასუქზე წამწერის ვალდებულების ვადა ძალაში რჩება;

კ) არაშემძლე მოვალის კრედიტორების პრეტენზიებისათვის სასარჩელო ხანდაზმულობის დენა შეჩერდება მთლად ლიკვიდაციის დროის განმავლობაში;

ლ) არაშემძლედ ცნობის დღიდან ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ პუბლიკაციის დაბეჭდამდე მოვალეს უფლება არა აქვს აწარმოოს რაიმე ვაჭრობა ან მოაწყოს სამრეწველო თუ სხვა ისეთი საწარმო, სადაც საჭიროა დაქირავებული შრომა, აგრეთვე იკისროს ნარდად მუშაობა და გაყიდვა-მიწოდება.

შენიშვნა 1. ამა მუხლის „გ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული აკრძალვა არა ვრცელდება ლიკვიდაციასთან დაკავშირებულ მიმდინარე ხარჯებზე, აგრეთვე იმ ხარჯებზე, რაც საჭიროა რიგობის მიხედვით პირველი კატეგორიისათვის მიკუთვნებული პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, გარდა სოციალური დაზღვევის ორგანოების პრეტენზიებისა. მალფუჭებადი პროდუქტების გაყიდვა და ცალობით ვაჭრობა არ შესწყდება, უკეთუ სასამართლო ამას სპეციალურად არ აკრძალავს.

შენიშვნა 2. მოვალის არაშემძლედ გამოცხადება არ უსპობს კრედიტორებს უფლებას განაპროტესტონ დადგენილი წესისამებრ მოვალის თამასუქები ამ თამასუქებში აღნიშნული ვადების გასვლისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარი III.

ლიკვიდატორები.

10. ლიკვიდატორები მოვალენი არიან:

ა) მოათავსონ გაზეთ „კომუნისტ"-ში და ადგილობრივ ბეჭდვითს ორგანოში, სადაც იგი არსებობს, პუბლიკაცია იმის შესახებ, რომ ისინი შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის აღსრულებას; იქვე უნდა აღინიშნოს მათი მისამართები;

ბ) შეადგინონ მთელი იმ ქონების აღწერილობა, რაც კი აღმოაჩნდება მოვალეს, და იხმარონ ღონისძიება ამ ქონების დასაკავად;

გ) გამოსძებნონ მოვალის ქონება და ვალები, რაც მოვალეს მესამე პირებისგან ერგება, და გადაახდევინონ მათ ეს ვალები;

დ) შეაფასონ სათანადოდ მთელი ქონება, და რაც შეიძლება მალე მოახდინონ ამ ქონების რეალიზაცია, უკეთუ შეფარდებულ არ უნდა იქნეს ამა დანართის მე-VII კარის (37 46 მუხ.) წესები;

ე) შეადგინონ მოვალის დავალიანების საერთო ანგარიში და განსაზღვრონ კრედიტორების დაკმაყოფილების წესი და ფარგლები.

შენიშვნა. უკეთუ დანიშნული იქნება რამდენიმე ლიკვიდატორი, მათ შორის მოვალეობის განაწილება მოხდება იმ ორგანოს განკარგულებით, რომელმაც ლიკვიდატორები დანიშნა, ხოლო, უკეთუ ასეთი განკარგულება არ იქნება,—ლიკვიდატორთა ურთიერთ შორის შეთანხმებით.

11. უკეთუ მოვალე ცნობილია არაშემძლედ იმ დროს, როდესაც უკვე ხდება მისი საწარმოს ლიკვიდაცია სხვა მიზეზების გამო, სასამართლო, სადაც სწარმოებს არაშემძლეობის საქმე, ლიკვიდატორების წარდგენილ, განსაზღვრავს, —მოვალის არაშემძლედ ცნობამდე ლიკვიდაციის წესით განხორციელებულ მოქმედებათა შორის, სახელდობრ, რა მოქმედება უნდა დარჩეს ძალაში არაშემძლეობის გამო ლიკვიდაციის ჩატარების დროსაც.

12. უკეთუ დანიშნულ იქნა სამზე არანაკლები ლიკვიდატორი, ისინი მოაწყობენ სალიკვიდაციო კომისიას ერთ-ერთი მათგანის თავმჯდომარეობით, რომელსაც დანიშნავს სათანადო სახელმწიფო ორგანო. იმისდა დამოუკიდებლად, მოაწყობენ თუ არა ლიკვიდატორები სალიკვიდაციო კომისიას. ლიკვიდატორები სოლიდარულად პასუხს აგებენ იმ ზარალისათვის, რაც მათ თავიანთი არა სწორი მოქმედებით თუ დაუდევრობით მიაყენეს არაშემძლე პირს ან მის კრედიტორებს.

13. ლიკვიდატორს შეუძლიან იკისროს ისეთი ვალდებულება და დასდვას ისეთი ხელშეკრულება, რაც საჭიროა მოვალის ქონების რეალიზაციისათვის; ხოლო რათა ლიკვიდატორმა იკისროს თამასუქით ვალდებულება და პირგაუტეხელობის ჯარიმა, აგრეთვე იკისროს ისეთი ვალდებულება და დასდვას ისეთი ხელშეკრულება, რაც დაკავშირებულია არაშემძლედ ცნობილის საქმეთა განგრძობასთან ან ლიკვიდაციის ვადის გადადებასთან, აუცილებლად საჭიროა ლიკვიდატორების დამნიშვნელი სახელმწიფო ორგანოს ნებართვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. ლიკვიდატორის სამეურნეო მოქმედებას ზედამხედველობას უწევს ის სახელმწიფო ორგანო, რომელმაც იგი დანიშნა; იმავე ორგანოსაგან იღებს ლიკვიდატორი საჭირო დირექტივებს და მასვე ურდგენს თავისი მოქმედების ანგარიშს.

ლიკვიდატორი მიიღებს ყოველთვიურ გასამრჯელოს სალიკვიდაციო საწარმოს ხარჯზე იმ რაოდენობით, რასაც განსაზღვრავს სასამართლო, თანახმად უზენაესი სასამართლოს მიერ, საქართველოს სსრ შრომის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, გამოცემული ინსტრუქციისა.

15. ლიკვიდატორებს შეეფარდებათ თანამდებობის პირებისათვის დადგენილი წესები.

კარი IV.

სალიკვიდაციო ქონება.

16. სალიკვიდაციო ქონების შედგენილობაში შედის მთელი ის ქონება, რაც მოვალეს ეკუთვნის მისი არაშემძლედ გამოცხადების მომენტს, როგორც ისეთი, რაც მის ხელთ არის, ისე ისეთიც, რაც გამოიხატება მესამე პირებისადმი მოთხოვნაში, აგრეთვე ყოველი ქონება, რაც შეიძლება ერგოს მოვალეს ლიკვიდაციის დამთავრებამდე ან დაებრუნოს მის მიერ დადებული გარიგების გაბათილების გამო.

მოვალის ისეთი ქონება, რაც ჩამოთვლილია სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 318 მუხლის დანართის I-ლი კარის „ბ" ლიტერაში (დანართი III), არ შედის სალიკვიდაციო ქონების შედგენილობაში.

17. მოვალის ქონება, რაც დაგირავებული აქვს მესამე პირს, გირავნობის პრეტენზიის ვადის მიუხედავად, გადაიცემა სალიკვიდაციო ქონების შედგენილობაში, ხოლო კრედიტორები დაკმაყოფილებულ იქნებიან საერთო საპრეტენზიო წესით; ამასთანავე, დაცულ უნდა იქნეს 31 მუხლში გათვალისწინებული უფლება მოგირავნე-კრედიტორის უპირატესად დაკმაყოფილებისა იმ რაოდენობით, რაც არ აღემატება დაგირავებული ქონების რეალიზაციით მიღებულ თანხას.

უკეთუ საკრედიტო დაწესებულებას კანონით ან წესდებით უფლება აქვს მის მიერ გირაოდ მიღებული ქონების უშუალო რეალიზაციისა, მას შეუძლიან ეს უფლება განახორციელოს ისეთი მოვალისაგან გირაოდ მიღებული ქონების მიმართაც, რომლის საქმეთა გამო დაწყებულია სალიკვიდაციო წარმოება; აღნიშნული ქონების რეალიზაციის ვადას საკრედიტო დაწესებულება განსაზღვრავს თავისი შეხედულებით, ხოლო იგი არ უნდა სცილდებოდეს ერთ თვეს არაშემძლეობის ცნობის დღიდან, იმ პირობით კი, რომ რეალიზაციით მიღებული თანხა დაუყოვნებლივ გადაეცეს ლიკვიდატორებს კრედიტორთა შორის გასანაწილებლად 26-31 მუხ. თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული წესი არ აუქმებს სპეციალური კანონით (რკინის გზათა წესდება, წყლის ტრანსპორტის კანონი და კანონი იმ დოკუმენტების შესახებ, რასაც საქონლის საწყობები გასცემენ საქონლის შესანახად მიღების დასადასტურებლად) გათვალისწინებულ უფლებას, რის ძალითაც რკინის გზას, სანაოსნო საწარმოს და საქონლის საწყობს შეუძლიან მოახდინოს თავისი მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მიღებული საქონლისა და ტვირთის რეალიზაცია ზემოაღნიშნულ კანონში განსაზღვრული წესით.

18. სასამართლოს შეუძლიან მოვალის მიერ, არაშემძლედ ცნობამდე, დადებული გარიგება, ფულის გადახდა და გასხვისება გააბათილოს სამოქალაქო სამართლის კოდექსში აღნიშნულ საერთო საფუძველზე და აგრეთვე მე-19 მუხ. გათვალისწინებულ შემთხვევებში.

19. სასამართლოს შეუძლიან მოვალის მიერ დადებული გარიგება, ფულის გადახდა და გასხვისება, ლიკვიდატორების ან კრედიტორების სარჩელით, გააბათილოს იმ შემთხვევაში:

ა) უკეთუ ასეთი გარიგების დადებით, ფულის გადახდით და გასხვისებით მოვალეს განზრახული ჰქონდა თავისი ქონების რაოდენობის ან ღირებულების შემცირება თავისი კრედიტორების საზიანოდ და მისმა კონტრაგენტმა იცოდა ეს მისი განზრახვა; ამასთანავე, უკეთუ მოვალის კონტრაგენტი ძისი ახლო ნათესავი ან მისგან დამოკიდებული პირია, იგულისხმება, რომ მან იცოდა მოვალის განზრახვა;

ბ) უკეთუ მოვალის მიერ, არაშემძლედ ცნობამდე ერთი წლის განმავლობაში, დადებული გარიგება, ფულის გადახდა და გასხვისება უეკვივალენტო იყო;

გ) უკეთუ მოვალემ გარიგება დასდვა, ფული გადაიხადა თუ გაასხვისა რამ იმის შემდეგ, რაც შესწყვიტა ვალების გასტუმრება, ან ერთი თვით ადრე არაშემძლეობის გამოცხადებამდე, და თვით იმ დროს, როდესაც ეს გარიგება, ფულის გადახდა თუ გასხვისება მოხდა, იგი საზარალო იყო მოვალისათვის;

დ) უკეთუ გარიგება მიმართული იყო წინად წარმოშობილი ვალდებულებებით ცალკეული კრედიტორების ვადამდე დასაკმაყოფილებლად, ან დამატებითი უზრუნველყოფის შესაქმნელად, ან და უზრუნველყოფის შესაცვლელად ცალკეული კრედიტორის სასარგებლოდ;

ე) უკეთუ გარიგება მიმართული იყო მხოლოდ ზოგიერთი კრედიტორის დასაკმაყოფილებლად იმ კრედიტორთაგან, რომელთა პრეტენზიების ვადა უკვე დადგა.

შენიშვნა. „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული მოქმედება გაბათილებულ უნდა იქნეს, უკეთუ ეს მოქმედება შესრულებულია სამი თვის განმავლობაში საწარმოს არაშემძლეობის შესახებ საქმის აღძვრამდე და უკეთუ, ამასთანავე, ამ მოქმედების შესრულების დროს მოვალე უკვე ფაქტიურად არაშემძლე იყო; ხოლო „ე“ პუნქტში აღნიშნული მოქმედება, ამის გარდა, —უკეთუ მოვალის ამ მოქმედებამ სხვა კრედიტორებს ზიანი მიაყენა და ეს მხარეებმა იცოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. მე-19 მუხლი არა ვრცელდება ისეთ მოქმედებაზე, რაც მიმართულ იყო პირველი და მეორე კატეგორიის პრეტენზიების (სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 309 მუხლი) დასაკმაყოფილებლად, გარდა სსრკ-ის სახელმწიფო ბანკის საკრედიტო ოპერაციებიდან წარმომდგარი პრეტენზიებისა.

21. უკეთუ, მე-19 მუხლის თანახმად, გარიგება, ფულის გადახდა და გასხვისება გაბათილებულ იქნა, მოვალის კონტრაგენტი ვალდებულია დაუბრუნოს სალიკვიდაციო ქონებას ამ გარიგებით, ფულის გადახდით და გასხვისებით მიღებული ყველა ფულადი თანხა და სხვა ქონება ან მისი ღირებულება, ხოლო ისეთი რაოდენობით, რაც არ აღემატება კრედიტორების სრული დაკმაყოფილებისათვის საჭირო დანაკლის თანხას. ამის შემდეგ ასეთი კონტრაგენტის პრეტენზიები დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს საერთო საფუძველზე სხვა კრედიტორების თანაბრად.

22. უკეთუ გაბათილებულ იქნა ეკვივალენტიანი გარიგება, რომლის დადების დროს მოვალის კონტრაგენტმა იცოდა, რომ იგი მიმართულია კრედიტორების საზიანოდ, კონტრაგენტს უფლება არა აქვს წარადგინოს რაიმე ისეთი პრეტენზია, რაც გამომდინარეობს გარიგებიდან ან გარიგების გაბათილების ფაქტიდან.

23. სარჩელი მოვალის მიერ დადებული გარიგებისა, ფულის გადახდისა ან გასხვისების გაბათილების შესახებ განიხილება საერთო სასარჩელო წესით.

კარი V.

პრეტენზიების განაწილება.

24. კრედიტორების ყველა პრეტენზია, მისი საფუძვლისა და უზრუნველყოფის სახის მიუხედავად, აგრეთვე იმისდა მიუხედავად, დადგა თუ არა მისი აღსრულების ვადა, უნდა განეცხადოს ლიკვიდატორებს სამი თვის ვადაზე არა უგვიანეს დღიდან ლიკვიდატორების პუბლიკაციისა, რომ ისინი შეუდგნენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას (მე-10 მუხ. „ა“ პუნ.). თავისი მხრით ლიკვიდატორები გამოარკვევენ იმ დღისთვის, რა დღესაც გადის პრეტენზიების განცხადების ვადა, საწარმოს ყველა ვალს, იმისდა მიუხედავად, შეიტანენ თუ არა კრედიტორები განცხადებას.

უკეთუ რომელიმე კრედიტორი არ განაცხადებს თავის პრეტენზიას დადგენილ ვადაზე და იმავე დროს არც ლიკვიდატორები გამოარკვევენ მას, კრედიტორს შეუძლიან ეს პრეტენზია განუცხადოს ლიკვიდატორებს ლიკვიდაციის დანარჩენი დროის განმავლობაში; ხოლო, ამასთანავე, ვადის გასვლის შემდეგ განცხადებული და ლიკვიდატორების მიერ აღიარებული ასეთი პრეტენზია დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს დადგენილი რიგობის წესით მხოლოდ საწარმოს იმ ქონებიდან, რაც განცხადების მიღების მომენტისათვის ჯერ კიდევ განაწილებული არ იქნება სხვა კრედიტორებს შორის ლიკვიდატორების დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადის ვასვლის შემდეგ განცხადებულ და ლიკვიდატორების მიერ უარყოფილ პრეტენზიას შეეფარდება 30 და 32 მუხლები განსაჩივრებისა და პრეტენზიების უზრუნველყოფის წესის შესახებ.

25. პრეტენზია განცხადებულ უნდა იქნეს წერილობით, დედანი დოკუმენტების თანდართვით. უკეთუ შეუძლებელია დედანი დოკუმენტების წარდგენა, დედნების ნაცვლად შეიძლება წარდგენილ იქნეს შემოწმებული ასლები, ხოლო იმ პირობით-კი, რომ დედანი დოკუმენტები წარედგინოს ლიკვიდატორებს წინასწარ, ვიდრე სასამართლო დაამტკიცებდეს კრედიტორების დასაკმაყოფილებლად შედგენილ სავარაუდო ანგარიშს.

26. ლიკვიდატორები პრეტენზიებს, მიღებისადაკვალად, შეიტანენ ცალკე რეესტრში. დაინტერესებულ პირს შეუძლიან დაათვალიეროს ეს რეესტრი და დედანი განცხადებები ყველა თანდართული დოკუმენტით.

27. არა უგვიანეს ერთი თვისა იმ ვადის გასვლის დღიდან, რაც დადგენილ იქნება პრეტენზიების განსაცხადებლად, ლიკვიდატორები შეადგენენ და აცნობებენ კრედიტორებს როგორც მათ (ლიკვიდატორების) მიერ ცნობილი, ისე უარყოფილი პრეტენზიების სიას, სადაც აღნიშნავენ პრეტენზიის თანხას, რაც ცნობილია, და აგრეთვე კატეგორიას, რომელსაც პრეტენზია მიეკუთვნა.

ამასთანავე, ის პრეტენზიები, რაც დამყარებულია კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებაზე, და აგრეთვე ის პრეტენზიები, რაც ცნობილ იქნება უდავო წესით გადასახდევინებელ პრეტენზიებად, უკეთუ ეს პრეტენზიები განსაჩივრებულ იქნა (მუხ. 29) და საჩივარი უშედეგოდ დატოვებული, ყოველ შემთხვევაში, შეიტანება აღიარებული პრეტენზიების სიაში.

ვადის გასვლის შემდეგ (24 მუხ. მე-2 ნაწ.) განცხადებული პრეტენზიებისათვის ამა მუხლით დადგენილი ვადა იწყება პრეტენზიის განცხადების დღიდან, ხოლო ამ ვადის დასასრული არ შეიძლება გადასცდეს ლიკვიდაციის დამთავრებისათვის დადგენილ ვადას.

28. საწარმოთა დავალიანების რაოდენობის გამორკვევის დროს შეგებებულ პრეტენზიებს ლიკვიდატორები ჩასთვლიან სრულის თანხით, უკეთუ ეს პრეტენზიები წარმოიშვა მოვალის არაშემძლედ ცნობამდე და უკეთუ კანონით ეს პრეტენზიები ჩასათვლელია.

ჩათვლა არ შეიძლება, უკეთუ არაშემძლე პირის მოვალემ მოთხოვნა მესამე პირისაგან შეიძინა ან უკეთუ არაშემძლე პირის კრედიტორზე ვალი მესამე პირისაგან გადავიდა, იმის შემდეგ რაც სასამართლო წესით აღძრულ იქნა საქმე მოვალის არაშემძლედ ცნობის შესახებ.

ლიკვიდატორების დადგენილება ჩათვლის უარყოფის შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს უარყოფა მოხდა კრედიტორის პრეტენზიის არცნობის გამო; ასეთ შემთხვევაში აღძრულ უნდა იქნეს სარჩელი ქვიმდებარეობის საერთო წესისამებრ; ხოლო სხვა შემთხვევაში საჩივარი შეიტანება იმ სასამართლოში, სადაც სწარმოებს საქმე არაშემძლეობის შესახებ.

29. 27 მუხლში აღნიშნულ ვადაზე ლიკვიდატორები მოვალენი არიან განასაჩივრონ სათანადო ორგანოების წინაშე მათ მიერ მთლად ან ნაწილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არცნობილ პრეტენზიებს შორის ის პრეტენზიები, რაც კანონის თანახმად გადახდევინებულ უნდა იქნეს უდავო წესით და რის გამოც, სალიკვიდაციო კომისიის მოწყობამდე, საჩივარი შეტანილი არ ყოფილა. ასეთი განსაჩივრებისათვის დადგენილი ვადები ლიკვიდატორებისათვის სავალდებულო არ არის.

30. ათი დღის განმავლობაში დღიდან კრედიტორის მიერ შეტყობინების მიღებისა, რომ მისი პრეტენზია მთლად ან ნაწილობრივ არცნობილ პრეტენზიებს მიეკუთვნა, 29 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, კრედიტორს უფლება აქვს აღძრას ლიკვიდატორების წინააღმდეგ, ქვემდებარეობის საერთო წესით, სარჩელი მისი პრეტენზიის ცნობის შესახებ.

24 მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული პრეტენზიებისათვის ამა მუხლით დადგენილი ვადა არ შეიძლება გადასცდეს ლიკვიდაციის დამთავრებისათვის დადგენილ ვადას.

ლიკვიდატორების დადგენილება პრეტენზიების ამა თუ იმ რიგში დაკმაყოფილების შესახებ შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს იმ სასამართლოში, სადაც სწარმოებს საქმე არაშემძლეობის შესახებ.

31. კრედიტორების პრეტენზიათა კატეგორიებზე განაწილება და დაკმაყოფილება მოხდება თანახმად საერთო წესებისა—კრედიტორების პრეტენზიათა რიგობის კატეგორიებზე განაწილების შესახებ,—როდესაც ეს პრეტენზიები დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების წესით (სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 309—313 მუხ.)

მოვალის არაშემძლედ ცნობის შემდეგ წარმოქმნილი საფუძვლიდან გამომდინარე პრეტენზიები დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს საერთო წესით, ისე, თითქო იგი არც-კი ყოფილიყოს არაშემძლედ ცნობილი, გარდა იმ ზარალის ანაზღაურების პრეტენზიისა, რაც მოხდა მოვალის მოქმედების გაბათილების გამო (მუხ. 19).

32. იმ პრეტენზიების უზრუნველსაყოფად, რაც ლიკვიდატორებმა სადავოდ სცნეს და რის გამოც აღძრულია სათანადო სარჩელი (30 მუხ.), გადაიდება თანხა პროპორციულად. ეს თანხა მიეცემა კრედიტორებს, უკეთუ სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით პრეტენზიას უდავოდ სცნობს, ხოლო, უკეთუ იგი აღძრულ სარჩელს არ დააკმაყოფილებს, განაწილდება სხვა კრედიტორებს შორის.

კარი VI.

ლიკვიდაციის დამთავრება.

33. ქონების რეალიზაციას ლიკვიდატორები მოახდენენ იმ სახელმწიფო ორგანოს საერთო ზედამხედველობითა და კონტროლით, რომელმაც დანიშნა ისინი და რომელიც ამტკიცებს ქონების გაყიდვის წესს.

ამ რეალიზაციისათვის ხელის შეწყობის საქმეში, შეძლებისადაგვარად, მონაწილეობა უნდა მიიღონ კრედიტორებმა.

სავაჭრო, სამრეწველო ან სხვა საწარმოს ლიკვიდაციის დროს ლიკვიდატორები მოვალენი არიან იზრუნონ ღონისძიება, რათა ეს ქონება მთლიანად იყოს გასხვისებული. სახელმწიფო დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერატიულ ორგანიზაციას ეკუთვნის, ყველა სხვა თანასწორ პირობებში, უპირატესი უფლება სალიკვიდაციო საწარმოს შეძენისა.

34. მთელი ქონების ლიკვიდაციის დამთავრებისა და კრედიტორების ყველა პრეტენზიის განხილვის შემდეგ, ლიკვიდატორები შეადგენენ მიღებული თანხების საერთო ანგარიშს და კრედიტორთა შორის ამ თანხების განაწილების საბოლოო ანგარიშს. რეალიზაციით მიღებული თანხების ანგარიშის სისწორე უნდა შეამოწმოს იმ სამეურნეო ორგანომ, რომლის კონტროლითაც ხდებოდა ქონების ლიკვიდაცია (მუხ. 33), რის შემდეგ ამ ანგარიშს, აგრეთვე კრედიტორების დაკმაყოფილების სავარაუდო ანგარისშაც ლიკვიდატორები წარუდგენენ დასამტკიცებლად სასამართლოს. სასამართლოში სავარაუდო ანგარიშის დამტკიცებისას, ლიკვიდატორები სასამართლოს მიერ დანიშნულ ვადაზე მისცემენ კრედიტორებს მათ ხვედრ თანხებს, ხოლო იმ თანხებს, რაც კრედიტორების მიერ მიუღებელი დარჩება, შეიტანენ სანოტარო კონტორის დეპოზიტად.

35. მიღებული თანხების კრედიტორთა შორის განაწილებას ლიკვიდატორები აცნობებენ სასამართლოს; ცნობას უნდა დაერთოს მთელი სალიკვიდაციო საქმე. უკეთუ სასამართლო დარწმუნდება, რომ მოვალის მოქმედებაში არ მოიპოვება სოციალურად საშიში ქმედობის ნიშნები, იგი გამოიტანს დადგენილებას ლიკვიდაციის დამთავრებისა და მოვალის უფლებების აღდგენის შესახებ (მე-9 მუხ. „ვ“ პუნქტი), რასაც აცნობებს სახელმწიფო რეგისტრაციის სათანადო ორგანოს.

პუბლიკაცია სასამართლოს დადგენილებისა ლიკვიდაციის დამთავრების შესახებ უნდა მოხდეს იმავე წესით, რაც მიღებულია არაშემძლედ გამოცხადებისათვის (მუხ. 8).

36. უკეთუ კრედიტორს სრული დაკმაყოფილება ლიკვიდაციის პროცესში არ მიუღია, მას უფლება აქვს სასარჩელო ხანდაზმულობის საერთო ვადაზე მიაქციოს მიუღებელი ნაწილის გადახდევინება მოვალის იმ ქონებას, რაც მას შეიძლება მომავალში აღმოაჩნდეს.

კარი VII.

კრედიტორის პრეტენზიის შემცირება, ვადის გადადება, ვადის განაწილება და დაკმაყოფილება.

37. უკეთუ ისეთი სავაჭრო ან სამრეწველო საწარმო, რომლის არსებობაც დაკავშირებულია სახელმწიფოს ინტერესებთან, უსახსრობის გამო ვერ შესძლებს ვალების გადახდას (სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 313 მუხ. შენიშვნა), სასამართლოს შეუძლიან, ამ საწარმოს შესანარჩუნებლად და მისი საქმეების აღსადგენად, შექმნას განსაკუთრებული სამმართველო.

განსაკუთრებულ სამმართველოს უფლება ეძლევა შეამციროს საწარმოს ვალები და გადასდოს ან გაანაწილოს მათი გადახდის ვადა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამა კარის შემდეგ მუხლებში.

38. განსაკუთრებული სამმართველო დაარსდება მე-3 მუხლის „დ“ პუნქტით გათვალისწინებული ორგანოების თხოვნით, რომელშიაც უნდა აღინიშნოს კრედიტორთა პრეტენზიების თანდათანობითი დაკმაყოფილების გეგმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნულ ორგანოებს დაევალებათ აგრეთვე დაუსახელონ სასამართლოს განსაკუთრებული სამმართველოს საწევრო კანდიდატები.

39. განსაკუთრებული სამმართველოს დაარსება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში: ა) უკეთუ პირველი კატეგორიის პრეტენზიები (სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 309 მუხ.) მთლად იქნება დაკმაყოფილებული; ბ) უკეთუ იმ ვალის გადახდის ვადის გადადებისა ან განაწილებისათვის, რაც წარმოშობილია სახელმწიფო გადასახადისა, გამოსაღებისა და სოციალური დაზღვევის თანხების გადაუხდელობით, აგრეთვე მათი ნარჩენის ნაწილობრივი მოხსნისათვის მიღებულ იქნება თანხმობა ფინანსთა ან შრომის სახალხო კომისარიატებისა, კუთვნილებისამებრ.

40. არაშემძლედ ცნობის შემდეგ განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების თხოვნა არ შეიძლება.

41. განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის დროს შეფარდებულ უნდა იქნეს სათანადო ამა წესების 1—8 მუხლი.

უკეთუ სასამართლო უარყოფით გადასწყვეტს განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების საკითხს, მას შეუძლიან, საქმეში მონაწილე პირთა ან ორგანოთა თხოვნით, დაუყოვნებლივ გამოიტანოს დადგენილება არაშემძლედ ცნობისა და ლიკვიდატორების დანიშვნის შესახებ.

42. განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების შემდეგ საწარმოს გამგებლობა მოვალის ხელიდან ამ სამმართველოზე გადადის. ამ დროიდან აღარ შეიძლება არც შეკვრა, არც იძულებითი შესრულება, როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებით, ისე უდავო გადახდევინების წესით, ცალკე კრედიტორების სასარგებლოდ, ისეთი პრეტენზიების გამო, რაც წარმოშობილია განსაკუთრებული სამმართველოს დაარსებამდე, პირველი კატეგორიის პრეტენზიების (სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 309 მუხ.) გარდა.

განსაკუთრებული სამმართველოს დაარსებამდე აღძრული პრეტენზიების დაკმაყოფილება, პირველი კატეგორიის პრეტენზიების (სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 309 მუხ.) გარდა, მოხდება სასამართლოს მიერ განსაკუთრებული სამმართველოს დაარსების დროს დამტკიცებული გეგმის მიხედვით; ამასთანავე, ეს გეგმა შედგენილ უნდა იქნეს სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 309-313 მუხლებში აღნიშნული წესების დაცვით.

43. თავის სამეურნეო მოქმედების მხრით განსაკუთრებული სამმართველო ექვემდებარება მე-3 მუხ. „დ“ პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფო ორგანოს, იღებს მისგან საჭირო დირექტივებს და ურდგენს მას თავისი მუშაობის ანგარიშს.

44. უკეთუ მოვალე, რომლის საწარმოც განსაკუთრებულ სამმართველოს გადაეცა, სააქციო საზოგადოებაა ან შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა, ამ საზოგადოების ან ამხანაგობის წევრთა საერთო კრების უფლებამოსილება შეჩერდება მთლად იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე აღნიშნული სამმართველო იმოქმედებს.

ხოლო, ამასთანავე, განსაკუთრებული სამმართველო მოვალეა ექვს თვეში ერთხელ მაინც მოიწვიოს ზემოაღნიშნული სააქციო საზოგადოებისა ან ამხანა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაგობის წევრთა საერთო კრება და მოახსენოს მას საწარმოს საქმეთა მდგომარეობა.

45. განსაკუთრებული სამმართველო გაუქმდება; ა) კრედიტორების დაკმაყოფილების შემდეგ და ბ) იმ სახელმწიფო ორგანოს წარდგენით, რომელიც ამ სამმართველოს განაგებს.

შენიშვნა 1. ამა მუხლის 1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეფარდებულ უნდა იქნეს ამა წესების 34 მუხლი.

შენიშვნა 2. ამა მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უკეთუ კრედიტორებს ვადაგადაცილებული პრეტენზიების სრული დაკმაყოფილება არ მიუღიათ, მათ უფლება ეძლევათ აღძრან საერთო საფუძველზე საქმე საწარმოს არაშემძლეობის შესახებ.

46. განსაკუთრებული სამმართველოს მოქმედებისათვის დაწესებული ვადის გასვლის შემდეგ სასამართლო დაადგენს ამ სამმართველოს გაუქმებას ან მისი მოქმედების ვადის განგრძობას, რის შესახებაც უნდა მოხდეს სათანადო პუბლიკაცია.

დანართი III.
(318 მუხლისა)

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ისეთი ქონების შესახებ, რომელზედაც გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება.

I. გადახდევინება არ შეიძლება მიქცეულ იქნეს მოვალის ქონებაზე, როგორიც არის:

ა. ხელთქონებული თანხა, მოვალის მიერ მესამე პირთაგან (მათ შორის დაწესებულებათა და ორგანიზაციათაგან) მისაღები თანხა და აგრეთვე ის თანხა, რომელიც ირიცხება მიმდინარე ანგარიშზე საკრედიტო დაწესებულებაში ან შეტანილია ანაბარად,—სულ ისეთი რაოდენობით, რაც საჭიროა მუშა-მოსამსახურეთათვის სამუშაო ხელფასის მისაცემად გასული დროისათვის და წინდაწინ ორი კვირისათვის და აგრეთვე იმავე დროისათვის სოციალური დაზღვევის შესატანისა და ალიმენტების გადასახდელად.

ბ. ყველა სახისა და საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციისა და შრომითი არტელის წევრის საპაიო შენატანი და აგრეთვე შრომის საურთიერთო დახმარების სალაროში შესატანი საწევრო გადასახადი.

გ. თანხა, რაც მოვალეს ერგება სავალდებულო საგანაკვეთო და არასაგანაკვეთო დაზღვევით, უკეთუ ეს თანხა მარტოოდენ დაღუპული ქონების აღდგენას ან სხვა სამეურნეო-საწარმოო მიზანს მოხმარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადახდევინება მიქცეულია სამოქ. სამართ. საპრ. კოდექ. 309 მუხ. „ა“ პუნ. გათვალისწინებული პრეტენზიებით და აგრეთვე სსრკ სახელმწიფო ბანკის და სხვა საკრედიტო დაწესებულების ისეთი პრეტენზიით, რაც უზრუნველყოფილია დაზღვეული ქონების გირავნობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა. ამა ლიტერაში აღნიშნული წესი არა ვრცელდება კულტურულ მეურნეობათათვის მიკუთვნებულ მეურნეობებზე, აგრეთვე იმ პირებზე, რომელნიც იბეგრებიან საშემოსავლო გადასახადის მე-3 №-ის განრიგებით, უკეთუ ამ მეურნეობათ და პირთ უნდა გადაჰხდეთ დავალიანება სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსადმი და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისადმი.

დ. თანხა, რაც მოვალეს მიეცემა სოციალური დაზღვევის და უზრუნველყოფის წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახდევინებელია ოჯახის წევრთა შესანახი თანხა (ალიმენტები).

ე. თანხა, რასაც მოვალეს მისცემს გლეხთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოება დახმარების ან სესხის სახით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახდევინებელია ოჯახის წევრთა შესანახი თანხა (ალიმენტები).

ვ. თანხა, რაც მიეცემა მცირეძალოვან საგლეხო მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებიდან სესხის სახით საწარმოო მიზნისათვის.

ზ. სახელმწიფო ქონება, რის გასხვისება და დაგირავება, მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, არ შეუძლიან იმ ორგანოს, რომელიც ამ ქონებას განაგებს.

თ. სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს შენობა და აგრეთვე ის ქონება, რაც სახელმწიფო საწარმოს ძირითადი კაპიტალის შედგენილობაში შედის.

ი. ნედლეულობა და სათბობი მასალა, რაც საჭიროა საწარმოს ფაქტიური მუშაობისათვის სამი თვის განმავლობაში.

კ. საწარმოო იარაღი, ინსტრუმენტები, სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც საჭიროა როგორც თვით მოვალის, ისე მის რჩენაზე მყოფ ოჯახის წევრთა ხელობისა, შინა-მრეწველობისა და პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის:

1) საწარმოო იარაღი და ინსტრუმენტები, რაც საჭიროა მოვალეთა იმ კატეგორიების ხელობისა და შინა-მრეწველობისათვის, რომელთაც მომქმედი კანონმდებლობის თანახმად მინიჭებული აქვთ საგადასახადო შეღავათები, სახელდობრ: ხუროსა და დურგლისათვის—დაზგა, შალაშინი, ცული, ხელის ხერხი და ბირდაბირი, რანდა, ხვეწი, ჩაქუჩი, სატეხი და სხვ.; მეწაღისათვის—ჩაქუჩი, სადგისი, საწაღე დანები, გადასაჭიმი გაზი, კალაპოტი, არა უმეტეს ხუთი წყვილისა, კავი, არა უმეტეს ერთი წყვილისა, და სხვ.; მჭედლისათვის—ქურა, საბერველი, გრდემლი, ურო, გაზი, ჭოპოსანი და სხვ.; მეწაღე-გამომჭრელისათვის—გამოსაჭრელი მანქანა, მაკრატელი, საწაღე დანები და სხვ.; მლესავისათვის—სალესავი დაზგა; პარიკმახერისათვის—სარკე, სამართებელი, მაკრატლები, თმის საკრეჭი მანქანები, საპარსავი ხელსაწყო და სხვ.; ზეინკლისათვის—საზეინკლო დაზგა, ჩაქუჩი, გაზი, საკავშირებელი ლამპა, ქლიბი, მუხრუჭი, პრტყელტუჩა, საჭვრეტელი და სხვ.; მეშუშისათვის—ალმასი და ხვეწი; შინ მომუშავე ფეიქრისათვის—საფეიქრო ჩარხი; ტრიკოტაჟის მქსოვლისათვის—საქსოვი მანქანა, ნართის ამოსახვევი დაზგა, ჩხირები და სხვ.; მკერავისათვის—საკერავი მანქანა, მაკრატელი და სხვ ; აგრეთვე სხვა საგნები, რაც კი საჭიროა ზემოხსენებული და სხვაგვარი ხელობისა და რეწვისათვის.

2) საწარმოო იარაღი, ინსტრუმენტები, სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც საჭიროა პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის, სახელდობრ: სამეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერო და სამედიცინო დარგის მომუშავეთათვის—სახელმძღვანელოები, ფარგლები და ინსტრუმენტები, რაც შეეფერება თვითეული მათგანის მუშაობის ხასიათსა და სპეციალობას და საჭიროა მისთვის: კბილის ტეხნიკოსისათვის—კბილის ტეხნიკური ინსტრუმენტები, მუსიკოსისა და მომღერლისათვის—ნოტები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვ., მხატვრისათვის—პალიტრა, ფუნჯები, მოლბერტი და სხვ., მხაზავისათვის— დაფა, სახაზავი, საფარგლე და სხვ.; აგრეთვე ზემოხსენებული და სხვაგვარი პირადი პროფესიონალური მუშაობისათვის საჭირო სხვა საგნები.

შენიშვნა. ამა ლიტერაში აღნიშნული საგნები არ ჩამოერთმევა იმავე კატეგორიების პირთ—ზეინკალს, დურგალს, მონტიორს, ექიმს, მუსიკოსს, მხაზავს და სხვ., რომელნიც მსახურობენ ან დაქირავებით მუშაობენ, და აგრეთვე მოსწავლეთ.

ლ. მოვალისა და მის რჩენაზე მყოფი პირისათვის საჭირო საზაფხულო და საზამთრო ტანისამოსი, თეთრეული, ფეხსაცმელი და ოჯახში სახმარებელი სხვა საგნები:

1) საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი ერთ სულზე—ერთი საზაფხულო ან საშემოდგომო პალტო (ან ნაბადი, ზიპუნი, პოდიოვკა და სხვ.), ერთი საზამთრო პალტო (ან ჯუბა, ქურქი., ტყაპუჭი და სხვ.), ერთი ხელი საზამთრო კოსტუმი (ქალისათვის—ორი საზამთრო კაბა), ერთი საზაფხულო კოსტუმი (ქალისათვის—ორი საზაფხულო კაბა), ერთი ყაბალახი, ერთი ფურაჟკა (შლაპა) და ერთი ქუდი, ხოლო ქალისათვის, ამის გარდა, ორი საზაფხულო თავსახვევი და ერთი თბილი მოსახვევი (ან შალი);

2) თეთრეული არა უმეტეს სამი ხელისა ერთ სულზე;

3) ერთი წყვილი ტყავისა და ერთი წყვილი ნაბდის ფეხსაცმელი ერთ სულზე;

4) ოჯახში სახმარებელი სხვა საჭირო საგნები: ა) ერთ სულზე—ერთი სასადილო (თეფში, ჩანგალი, დანა და კოვზი) და ერთი საჩაიე (ჭიქა ან ფინჯანი და ლამბაქი) ხელსაწყო, ერთი სკამი (ტაბურეტი), ერთი ხელი ლოგინი (ლეიბი, ბალიში, ორი ზეწარი, ორი ბალიშის პირი, ერთი საბანი), ერთი საწოლი, ორი პირსახოცი; ბ) ერთ ოჯახზე სამოვარი (ჩაიდანი ან თუჯის რამ ჭურჭელი, წყლის ასადუღებლად), პრიმუსი (ან კეროსინკა), ლამპა, სასადილო მაგიდა, ორი სუფრა, ორი ჩაის ტილო, ორი ჭურჭლის ტილო, ორი ვედრო, ერთი სკივრი (ან მისი მაგიერი სხვა რამ ტანისამოსის შესანახად), სამზარეულოსათვის აუცილებლად საჭირო საციქველი (ქვაბები, თუჯის ჭურჭელი, ქვაბსაჭერი, ვარცლი, ჩეკი და სხვ.).

შენიშვნა. აღნიშნული ნორმების ფარგლებში არ შეიძლება აგრეთვე ისეთი ქონების ჩამორთმევა, რაც ეკუთვნის გლეხის კომლის დროებით წასულ წევრს, რომელიც აღრიცხულია სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გამოანგარიშების დროს.

მ. სათბობი მასალა და სასურსათო პროდუქტები, რაც საჭიროა მოვალის ოჯახის წევრებისათვის და მასთან მცხოვრები ყველა იმ პირისათვის, ვინც მის რჩენაზე იმყოფება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) სათბობი მასალა იმდენი, რამდენიც საჭიროა მოვალის ოჯახისათვის საჭმლის მოსახარშავად და მისი ბინის გასათბობად სამი თვის განმავლობაში;

2) სურსათ-სანოვაგე იმდენი, რამდენიც საჭიროა გამოსაკვებად სამი თვის განმავლობაში შემდეგი ანგარიშით თვითეულ სულზე თვეში: 18 კილოგრ. ფქვილი (ან 21 კილოგრ. მარცვლეული), 16 კილოგრ. კარტოფილი, 2 კილოგრ. ბურღული, 500 გრ. ზეთი, 2 კილოგრ. კაკალი ან საზეთე თესლეული და 4 კილოგრ. ლობიო, ცერცვი და სხვა ბოსტნეული.

შენიშვნა. ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელისათვის სანოვაგე გამოიანგარიშება აღნიშნული ნორმების ფარგლებში იმ რაოდენობით, რაც საჭირო იქნება ახალ მოსავლამდე.

6. სასოფლო-სამეურნეო სულიერი და უსულო ინვენტარი და აგრეთვე საქონლის საკვები:

1) სასოფლო-სამეურნეო სულიერი ინვენტარი: ა) თვითეულ მეურნეობაზე ერთი ძროხა, ერთი ცხენი (ან ერთი აქლემი თუ ჯორი, ან ერთი ულელი ხარი, ან და სათანადო რაოდენობის სხვა მუშა-საქონელი), ერთი მოზარდი მუშა-საქონელი სამ წლისაზე არა მეტი ხნისა და ერთი ხბო $1^1/_2$ წლამდე, ბ) ბულები, უკეთუ მათ საზოგადო ნახირისათვის იყენებენ.

შენიშვნა. წმინდა სამესაქონლეო მეურნეობისათვის დაწესებულია შემდეგი რაოდენობა ოთხფეხი საქონლისა, რომელზედაც გადახდევინება არ მიიქცევა: ა) უკეთუ მეურნეობაში სამ მჭამელზე მეტი არ არის,—შვიდი სული რქოსანი საქონელი, ხოლო თუ მჭამელთა რიცხვი სამზე მეტია,—თვითეულ მეურნეობაზე ცხრა სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი ან სათანადო რაოდენობის სხვა საქონელი; ამასთანავე, ერთ სულ მსხვილფეხა რქოსან საქონელთან გათანაბრებულია ერთი ცხენი, ერთი ჯორი, ერთი აქლემი, ორი ვირი ან ექვსი სული წვრილფეხა საქონელი (ცხვარი და თხა), ბ) მთლად მოზარდი თხა და ცხვარი (ბატკანი და ციკანი).

2) საქონლის საკვები იმდენი, რამდენიც საჭიროა საკვების ახალ მოსავლამდე, შემდეგი ანგარით თვეში: ა) ძროხისათვის—320 კილოგრ. თივა, ბ) წვრილფეხა რქოსანი საქონლისათვის—48 კილოგრ. თივა, გ) ხარისათვის—480 კილოგრ. თივა, დ) ხბოსათვის—208 კილოგრ. თივა, ე) ცხენისათვის—240 კილოგრ. თივა და 136 კილოგრ. შვრია ან სიმინდი, ვ) კვიცისათვის—80 კილოგრ. თივა და 20 კილოგრ. შვრია ან სიმინდი.

შენიშვნა. თივის ნაცვლად შეიძლება იყოს სათანადო რაოდენობის ბზე და ჩალა, ფქვილისა და ქატოს ან სათანადო რაოდენობის კონცენტრირებული საკვების არეევით.

3) სასოფლო-სამეურნეო უსულო ინვენტარი: ა) თვითეულ საგლეხო მეურნეობაზე—ერთი სახნისი, ერთი გუთანი, ერთი ფარცხი, ერთი ურემი, ერთი მარხილი, ცხენის მოკაზმულობა და წვრილი ინვენტარი საჭირო რაოდენობით (ნამგალი, ცელი, ცული, ფოცხი, ორთითი, ნიჩაბი და სხვ.); ბ) ნადირობისა, თევზაობისა და სხვაგვარ რეწვისათვის საჭირო იარაღი ისეთ მეურნეობაში, სადაც ასეთი რეწვა შემოსავლის ძირითადი წყაროა.

ო. საცხოვრებელი და სამეურნეო შენობები, რაც სოფლის მეურნეობის განუყოფელ კუთვნილებას შეადგენს, და აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფასოდ ან შეღავათიანი პირობებით მიღებული და შენობების ასაგებად დანიშნული ხე-ტყე.

პ. მოუწეველი (აუკრეფავი) მოსავალი, გარდა იმ სამრეწველო ხასიათის ბოსტნისა, ბაღისა, ვენახისა, ხმილეულისა (ягодники), თამბაქოს პლანტაციისა და ბაღჩის მოსავლისა, რაც შრომითს კომუნას და კოოპერატიულ ორგანიზაციას არ ეკუთვნის.

ჟ. თესლეულობა იმდენი, რამდენიც საჭიროა მოვალის მიერ დასამუშავებელი მიწის დასათესად მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს, შემდეგი ანგარიშით ფაქტიურად დასათეს ერთ დესეტინა მიწაზე: შვრია, ქერი, საანეულო და საშემოდგომო თესვისათვის საჭირო ხორბალი, თვითეული—320 კილოგრ., კარტოფილი—1.600 კილოგრ., ჭვავი—160 კილოგრ., უგრეხელი—128 კილოგრ. ფეტვი—32 კილოგრ., სიმინდი—32 კილოგრ., ცერცვი, ლობიო, მუხუდო და ოსპი, თვითეული—128 კილოგრ., კანაფის თესლი—128 კილოგრ., მზეუჭვრიტას თესლი—24 კილოგრ., სელის თესლი 96 კილოგრ., საკვები ბალახის თესლი—16 კილოგრ., ბამბის თესლი—64 კილოგრ., კენაფი—32 კილოგრ., აბუსალათინი—48 კილოგრ., სოია—64 კილოგრ., და თამბაქოს თესლი—500 გრამი.

რ. საავტორო უფლება, გარდა იმ შემოსავლისა, რაც გამომდინარეობს ამ უფლების განხორციელებიდან.

ს. პროფესიონალური ორგანიზაციების კუთვნილი: გაფიცვისა და კულტურულ-განმანათლებელი ფონდები, აგრეთვე ორგანიზაციების ნორმალური და დაუბრკოლებელი მუშაობისათვის საჭირო შენობა და გაწყობილობა.

ტ. სასყიდელი, რაც ერგება მოვალეს სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან სასოფლო-სამეურნეო კულტურების კონტრაქტაციის ხელშეკრულებით, აგრეთვე დაკონტრაქტებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, გარდა იმ სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერატიული ორგანიზაციებისა, რომლებმაც დააკონტრაქტეს გადახდევინება-მისაქცევი პროდუქცია.

უ. ნატურალური კმაყოფის საგნები, რასაც იღებენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მერიგეთა და თავმდგომთა შედგენილობის პირნი, და ფულადი კმაყოფა, რასაც იღებენ მუშათა და გლეხთა წითელი არმიის მერიგეთა შედგენილობის პირნი.

ფ. თანხა, რაც, შრომის კანონთა კოდექსის თანახმად, გაიცემა წარვლინებისა და გადაყვანის დროს,—საწარვლინებო, დღიური სარგო და დახმარება.

ქ. თანხა, რაც მიეცემა მუშას თუ მოსამსახურეს კომპენსაციის სახით: 1) გამოუყენებელი შვებულებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახდევინებელია ოჯახის წევრთა შესანახი თანხა (ალიმენტები); 2) ინსტრუმენტის გაცვეთისათვის და 3) სპეცტანისამოსისათვის.

ღ. მუშისა თუ მოსამსახურისათვის დათხოვნის დროს მისაცემი გამოსასვლელი დახმარება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადასახდევინებელია ოჯახის წევრთა შესანახი თანხა (ალიმენტები).

ყ. თანხა, რასაც იღებენ მუშათა ფაკულტეტისა, კომუნისტური უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლის მსმენელნი სტიპენდიის სახით.

მოხელეთა ეროვნული ბიბლიოთეკა

11. დადგენილ იქნეს ამა დებულების I-ლი კარის წესების შემდეგი გამონაკლისი:

ა. საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობების მიერ, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის დაწესებულებების მიერ გაცემული სესხის გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს, რაიმე გამონაკლისის გარეშე, ამ სესხით შეძენილ ყოველგვარ ქონებაზე.

ბ. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა და კოოპერატიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონების გაფლანგვით, მითვისებით და გატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად სისხლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი თანხის გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს მსჯავრდადებულის (მოპასუხის) მთელ ქონებაზე, გარდა შემდეგი ქონებისა:

1) მსჯავრდადებულისა და მის რჩენაზე მყოფ პირთათვის საჭირო საზამთრო და საზაფხულო ტანისამოსი, ფეხსაცმელი და ოჯახში სახმარებელი სხვა საგნები, ამა დანართის I-ლი კარის „ლ" ლიტერის თანახმად;

2) ერთი საცხოვრებელი სახლკარი და საგლეხო შრომითი მეურნეობის საწარმოებლად საჭირო შენობები: ერთი ბეღელი, ერთი სასიმინდე, ერთი მარანი, ერთი საბძელი, ერთი ბოსელი და სხვ.;

3) საჭირო სასოფლო-სამეურნეო უსულო ინვენტარი ამა დანართის I-ლი კარის „ნ" ლიტერის მე-3 პუნქ. თანახმად, აგრეთვე მუშა-საქონელი და საქონლის საკვები: ა) თვითეულ მეურნეობაზე—ერთი ცხენი (ან ერთი აქლემი, თუ ჯორი, ან ერთი უღელი ხარი, ან და სათანადო რაოდენობის სხვა მუშა-საქონელი); ბ) საქონლის საკვები იმდენი, რამდენიც საჭიროა საკვების ახალ მოსავლამდე, შემდეგი ანგარიშით თვეში: ხარისთვის—480 კილგ. თივა, ცხენისთვის—240 კილგ. თივა და 136 კილგ. შვრია;

შენიშვნა. თივის ნაცვლად შეიძლება იყოს სათანადო რაოდენობის ბზე და ჩალა-ფქვილისა, ქატოს და სიმინდის ან სათანადო რაოდენობის კონცენტრირებული საკვების არეულით;

4) თესლეულობა იმდენი, რამდენიც საჭიროა მსჯავრდადებულის მიერ დასამუშავებელი მიწის დასათესად მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელს, ფაქტიურად დასათეს ერთ დესეტინა მიწაზე გამოანგარიშებით ამა დანართის I-ლი კარის „უ" ლიტერაში აღნიშნული ნორმების თანახმად;

5) საწარმოო იარაღი, ინსტრუმენტები, სახელმძღვანელოები და წიგნები, რაც საჭიროა მსჯავრდადებულის ხელობისა, ნინამრეწველობისა და პროფესიონალური მუშაობისათვის,—ამა დანართის I-ლი კარის „კ" ლიტერის თანახმად, უკეთუ მას სასამართლომ არ ჩამოართვა უფლება ამ პროფესიაში მუშაობისა;

6) ყველა სახისა და საფეხურის კოოპერატიული ორგანიზაციისა და შრომითი არტელის წევრის საპაიო შენატანი;

7) სამუშაო ხელფასი იმ რაოდენობით, რასაც სასამართლო განსაზღვრავს, ხოლო არა ნაკლებ უწყებული ადგილისათვის დაწესებული სამუშაო ხელფასის სახელმწიფო მინიმუმისა, აგრეთვე პენსია, დახმარება და დამხმარეები სალაროს მიერ ბავშვის დაბადებისა (მის მოსავლელად და გამოსაკვებად) და ოჯახის წევრის გარდაცვალების (დასამარხავად) გამო გაცემული დახმარება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ შემთხვევაში გადახდევინება შეიძლება მიქცეულ იქნეს აგრეთვე მთლად იმ ქონებაზე, რასაც მსჯავრდადებული (მოპასუხე) ჰფლობს სხვა პირებთან ერთად, მათ შორის იმ გლეხკომლის საერთო ქონებაზედაც, რომლის შედგენილობასაც მსჯავრდადებული (მოპასუხე) ეკუთვნის, აგრეთვე ცოლ-ქმრის საერთო ქონებაზე, უკეთუ სასამართლოს მიერ დადგენილ იქნა, რომ საერთო ქონება ჩადენილი დანაშაულის გამო გადიდდა.

შენიშვნა. ამა ლიტერის მოქმედება გავრცელდება მხოლოდ ისეთ შემთხვევაზე, როდესაც ქონების გაფლანგვისა, მითვისებისა და გატაცების მომენტიდან სისხლის სამართლის წესით დევნის აღძვრის მომენტამდე ორ წელიწადზე მეტი არ გასულა.

გ. ისეთი თანხის გადახდევინება, რაც დაზარალებულის სასარგებლოდ სისხლის ან სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლომ მიუსაჯა იმ პირს, ვინც კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე გაანადგურა დაზარალებულის ქონება ცეცხლის წაკიდებით ან სხვა რამ ხერხით, შეიძლება მიქცეულ იქნეს მსჯავრდადებულის (მოპასუხის) მთელ ქონებაზე, გარდა ამა კარის „ბ“ ლიტერის 1, 2, 3 და 4 პუნქტებში აღნიშნული უსაჭიროესი საგნებისა.

ასეთ შემთხვევაში განაჩენისა თუ გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოს განსაკუთრებული დადგენილებით გადახდევინება შეიძლება მიიქცეს იმ კომლის მთელ ქონებაზედაც, რომელსაც ეკუთვნის მსჯავრდადებული (მოპასუხე), და აგრეთვე ცოლ-ქმრის საერთო ქონებაზე.

დ. უკეთუ ისეთ მეურნეობას, რომელიც, სპეციალური კანონის თანახმად, მიკუთვნებულია კულაკურ მეურნეობათა რიცხვისათვის, ან ისეთ პირს, რომელიც საშემოსავლო გადასახადით იბეგრება მე-3 №-ის განრიგების თანახმად, უნდა გადაჰხდეს დავალიანება სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისადმი, ან ამა დანართის მე-II კარის „ბ“ ლიტერით გათვალისწინებული დავალიანება და აგრეთვე სამუშაო ხელფასისა და ალიმენტების დავალიანება,—ამა დანართის I-ლი კარის „მ“, „ნ“, „ო“, „პ“ და „ჟ“ ლიტერაში აღნიშნული წესები და მე-II კარის „ბ“ ლიტერის მე-2, 3 და 4 პუნქტებში აღნიშნული წესები შეფარდებულ არ უნდა იქნეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

დადგენილება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი.

თავები.		მუხლები.
I.	ძირითადი დებულებანი	1— 13
II.	წარმომადგენლობა სასამართლოში	14— 22
III.	ტვემდებარეობა	23— 37
IV.	სასამართლო ხარჯი	38— 49
V.	ჯარიმა	50— 54
VI.	საპროცესო ვადა	55— 67
VII.	სასამართლოში დაბარება და სხვაგვარი შეტყობინება	68— 76

ნ ა წ ი ლ ი მ ე ო რ ე.

საქმის წარმოება სარჩელის წესით.

VIII.	სარჩელის აღძვრა	77— 85
IX.	სარჩელის უზრუნველყოფა	86— 97
X.	საქმის გარჩევა	98—115
XI.	ოქმი	116—119
XII.	საქმის წარმოების შეჩერება	120—125
XIII.	დამამტკიცებელი საბუთები	126—130
XIV.	დამამტკიცებელი საბუთების სხვადასხვა სახე	
	კარი 1. მოწმის ჩვენება	131—142
	კარი 2. წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები	143—152
XV.	ექსპერტიზა და ადგილობრივი დათვალიერება	153—163
XVI.	პროცესში მონაწილეობა რამდენიმე მოსარჩელისა ან მოპასუხისა და მონაწილეობა მესამე პირისა	164—176
XVII.	გადაწყვეტილების გამოტანა	177—189
XVIII.	აღსრულების ფურცლის გაცემა	190—199

ნ ა წ ი ლ ი მ ე ს ა მ ე.

საქმის წარმოება განსაკუთრებული წესით.

XIX.	ზოგადი დებულებანი	200—201
XX.	სამედიატორო ხელწერილი და გადაწყვეტილება	202—220
XXI.	სამხედრო სამსახურისაგან რელიგიური რწმენის გამო განთავისუფლება	221—224

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავები — მუხლები.

XXII. დაკარგული საწარმდგენელო დოკუმენტიდან გამომდინარე უფლების აღდგენა (საქმის წარმოება გამოწვევითი წესით) . . . . . 225—241
XXIII. საჩივარი ნოტარიუსისა და სანოტარო მოქმედების აღმასრულებელი ორგანოების მოქმედებაზე . . . . . 242—244
XXIV. ამა თუ იმ პირის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება და უგზო-უკვლოდ დაკარგულის გარდაცვალებულად აღიარება . . . . . 245—256
XXV. იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადასტურება . . . . . 257—261
XXVI. საკრედიტო დაწესებულებებში ქონებულ მიმდინარე ანგარიშზე და ანაბარზე უდავო გადასახდევინებლის მიქცევისათვის ნებართვის მიცემის წესი . . . . 262—265

ნაწილი მეოთხე.

სასამართლოს გადაწყვეტილების განსაჩივრება და გადასინჯვა.

XXVII. სასამართლოს გადაწყვეტილების განსაჩივრება . . . . . 266—285
XXVIII. სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა
კარი 1. სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო . . . . . 286—289
კარი 2. სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვა ზედამხედველობის წესით . . . . . 290—294

ნაწილი მეხუთე.

სასამართლოს გადაწყვეტილებისა და დადგენილების აღსრულება.

XXIX. ზოგადი დებულებანი . . . . . 295—317
XXX. გადახდევინების მიქცევა ქონებაზე . . . . . 318—331
XXXI. სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოსათვის და კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის გადახდევინება . . . . . 332—336
XXXII. გადახდევინების მიქცევა მუშა-მოსამსახურის სამუშაო ხელფასზე . . . . . 337—341
XXXIII. გადახდევინების მიქცევა იმ ფულსა და ქონებაზე, რაც მესამე პირის ხელშია, და აგრეთვე იმ თანხაზე, რაც მოვალეს მესამე პირისაგან ერგება . . 342—345
XXXIV. გადახდევინების მიქცევა შენობასა და აღნაგობის უფლებაზე . . . . . 346—349
XXXV. შეკრული ქონების გაყიდვა . . . . . 350—367

დანართები.

დანართი I. წესები სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 309 მუხლის „ა“ პუნქტის მე-3 ქვეპუნქტის მიხედვით უპირატესად დასაკმაყოფილებელი ალიმენტების ნორმების შესახებ . . . . . 1— 5
დანართი II. წესები კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირთა არაშემძლეობის შესახებ. 1—46
დანართი III. დებულება ისეთი ქონების შესახებ, რომელზედაც გადახდევინების მიქცევა არ შეიძლება . . . . . I—II

მთავლ. № 1628. საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა. ტირაჟი 1.020